

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო
უნივერსიტეტი

იურიდიული ფაკულტეტი



ვალერიან ჩუბინიძე

ინკვიზიციურობის პრინციპი საოჯახო საქმეთა განხილვისას

ნაშრომი წარდგენილია სამართლის მაგისტრის აკადემიური ხარისხის
მოსაპოვებლად

სამეცნიერო ხელმძღვანელი - ნუნუ კვანტალიანი

თსუ-ს იურიდიული ფაკულტეტის მოწვეული ლექტორი

თბილისი

2019 წელი

ს ა რ ჩ ე ვ ი

შესავალი.....	2
I. ინკვიზიციურობის პრინციპის ზოგადი მიმოხილვა	3
1. პრინციპის ცნება და ინკვიზიცია.....	3
1.1. საფრანგეთი.....	7
1.2. გერმანია.....	8
1.3. რუსეთი.....	9
2. ინკვიზიციურობის გამოვლინება	10
2.1. ცალკეული ელემენტები	10
2.2. ინკვიზიცია საოჯახო საქმეებზე	12
2.3. ინკვიზიციურობისა და შეჯიბრებითობის პრინციპების ურთიერთმიმართება	14
II. მტკიცების ტვირთის ბუნება.....	16
1. მტკიცების ტვირთის განაწილების წესი	16
1.1. მოწესრიგება ინგლისური სამართლით.....	18
1.2. მტკიცების საგნის სწორად განაწილების პრაქტიკული მნიშვნელობა.....	19
1.3. თავისებურება საოჯახო საქმეებზე	22
III. საოჯახო საქმეთა განხილვის სფეციფიკა.....	27
1. ინკვიზიციის გავრცელება ყველა ტიპის საოჯახო დავაზე ?!.....	27
2. მოწესრიგება გერმანული კანონმდებლობით.....	31
3. ბავშვის საუკეთესო ინტერესები	32
3.1. მოწესრიგება უცხოური სამართლით.....	33
3.1.1. საერთაშორისო კონვენციები და ევროპული სასამართლოს პრეცედენტული გადაწყვეტილებები	33
3.1.2. ისლამური სამართალი	39
3.1.3. ამერიკის შეერთებული შტატები.....	43
3.2. სასამართლოს ფარგლები	47
3.3. დაუსწრებელი გადაწყვეტილების ინსტიტუტი საოჯახო საქმეთა განხილვის დროს	49
დასკვნა.....	54
ბიბლიოგრაფია.....	56

შესავალი

წინამდებარე ნაშრომი მიზნად ისახავს საოჯახოსამართლებრივი ურთიერთობებისათვის დამახასიათებელი თავისებურებების სამართლებრივ ანალიზს. აღნიშნული თემით, ჩემი დაინტერესება გამოიწვია სასამართლო პრაქტიკასა და დოქტრინაში არსებულმა სირთულეებმა, კერძოდ, როცა საქმე ეხება ინკვიზიციურობის პრინციპის მოქმედებას საოჯახო საქმეთა განხილვის დროს. ამასთან, არსებობს სასამართლოს გადაწყვეტილებები, რომლებშიც ცალსახად, მითითებულია, ინკვიზიციურობის პრინციპის არ არსებობაზე სამოქალაქო სამეთა განხილვის დროს, მაშინ, როცა საპროცესო კანონმდებლობა გარკვეულ შემთხვევებში უშვებს მის გამოყენებას, ცხადია, განსაზღვრულ ფარგლებში. აღნიშნულიდან გამომდინარე, შევეცდები საკვლევი საკითხი გადმოვცე ამომწურავად და სრულფასოვნად, რელევანტური სასამართლო პრაქტიკისა და დოქტრინაში არსებული შეხედულებების საფუძვლეზე.

მოცემული თემის ფარგლებში, განხილული იქნება, სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობაში ინკვიზიციურობის პრინციპი და მისი ცალკეული ელემენტები, როგორც შიდა კანონმდებლობაში, ისე უცხოურ სამართალში. განსაკუთრებით საინტერესოა საკითხი, ინკვიზიციურობის პრინციპი საოჯახო საქმეთა განხილვისას. ასევე, გამოიყენება თუ არა ინკვიზიციურობის პრინციპი ამგვარი მოცულობით, როცა საოჯახო დავასთან ერთად განიხილება მისგან წარმოშობილი სხვა ქონებრივ სამართლებრივი დავა, ან მასთან დაკავშირებული სხვა მსგავსი დავა. ამასთან, ინკვიზიცია ვრცელდება თუ არა ყველა ტიპის საოჯახო სამართლებრივ დავაზე, მაშინ, როცა საკანონმდებლო მოწესრიგება და სასამართლო პრაქტიკა, ცალსახად, არ მიუთითებს და აკონკრეტებს მის თაობაზე. არ არის გამორიცხული, რომ მსჯელობის შედეგად მივიდეთ დასკვნამდე, რომ ინკვიზიცია გამოიყენებოდეს ისეთ საოჯახო დავაზე, სადაც ბავშვის საუკეთესო ინტერესი ფიგურირებს. ასეთის არსებობის შემთხვევაში, უნდა განისაზღვროს გამომდინარეობს თუ არა ეს საერთაშორისო კონვენციებიდან და შიდა კანონმდებლობიდან. ამასთან, ბავშვის საუკეთესო ინტერესების შეფასების რა კრიტერიუმები არსებობს საერთაშორისო და ეროვნულ კანონმდებლობაში.

განსახილველ თემაში, შევხები, საოჯახოსამართლებრივი ურთიერთობასთან დაკავშირებულ საქმეებზე სასამართლოს როლსა და ფარგლებს. საინტერესოა,

სასამართლოს ხომ არ აქვს შეუზღუდავი ხასიათის უფლებამოსილება და ფარგლები ამ ტიპის დავების განხილვისას, რამაც შეიძლება გამოიწვიოს სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობით გარანტირებული, უმთავრესი ღირებულებების, შეჯიბრებითობისა და თანასწორობის პრინციპების დარღვევა.

განსახილველი საკითხის ანალიზისათვის მნიშვნელოვანია, გარკვეული წინაპირობების არსებობის შემთხვევაში გამოიყენება თუ არა დაუსწრებელი გადაწყვეტილება საოჯახო საქმეთა განხილვისას, მით უფრო იმ პირობებში, რომ სამოქალაქო საქმეთა განხილვისას, როგორც წესი მოქმედებს ეს ინსტიტუტი სათანადო წინაპირობების არსებობის შემთხვევაში, რომელიც უზრუნველყოფს მხარეთა პასუხისმგებლობის ამაღლებას. იმ შემთხვევისათვის, თუკი დადგინდება, რომ არ გამოიყენება, მაშინ დამატებით უნდა განისაზღვროს დაუსწრებელი გადაწყვეტილება გამოუყენებლობა ვრცელდება თუ არა ყველა ტიპის საოჯახო დავაზე.

შესაბამისად, დასმული საკითხები ერთმანეთთან ლოგიკურ კავშირშია, რაც უზრუნველყოფს საბოლოო ჯამში საკვლევი საკითხის სრულყოფილ ანალიზს. ვფიქრობ, რომ წინამდებარე საკითხი მისი შინაარსიდან გამომდინარე, აქტუალური და საინტერესოა, მეტიც, სწორი აქცენტების გაკეთება უფრო მნიშვნელოვანია.

I. ინკვიზიციურობის პრინციპის ზოგადი მიმოხილვა

1. პრინციპის ცნება და ინკვიზიცია

პრინციპი ლათინური სიტყვაა და ნიშნავს დასწყის, დასაბამს. მოცემულ ტერმინს ხმარობენ რომელიმე თეორიის, მოძღვრების, მეცნიერების ძირითადი ამოსავალი დებულების, სახელმძღვანელო იდეის, აგრეთვე ქცევის ძირითადი წესის აღსანიშნავად.¹

სამოქალაქო საპროცესო სამართლის პრინციპები² თავისი შინაარსითა და დანიშნულებით განსახვავდებიან მეცნიერების სხვადასხვა დარგის პრინციპებისაგან, კერძოდ სამართლის პრინციპები ყოველთვის განმტკიცებულია სამართლებრივი ნორმებით³. ამდენად, სამოქალაქო საპროცესო სამართლის

¹ უცხო სიტყვათა ლექსიკონი, თბილისი 1973 წელი, 333.

² *ლილუაშვილი თ.*, სამოქალაქო საპროცესო სამართალი, II გამოცემა, თბილისი 2005 წელი, 62.

³ *Wolf C., Zeibig N.*, Evidence in civil law – Germany, published 2015 by Institute for Local Self Government and Public Procurement Maribor, 1.

პრინციპი ეწოდება ისეთ სახელმძღვანელო დებულებას, ისეთ ძირითად იდეას, რომელიც განმტკიცებულია სამართლებრივი ნორმით და რომელზეც აგებულია სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობა, სამოქალაქო საპროცესო სამართალი მთლიანად.⁴ ხსენებულიდან გამომდინარე, ინკვიზიციურობის პრინციპზე ზოგადად მითითებულია სსკ-ს მე-4 მუხლის მე-2 ნაწილში, ხოლო კონკრეტული გამოვლინებები რეგლამენტირებულია სამოქალაქო საპროცესო კოდექსის სხვადასხვა ნორმებში. ამასთან, საქართველოს კონსტიტუციის 62-ე მუხლის თანახმად: „სამართალწარმოება ხორციელდება მხარეთა თანასწორობისა და შეჯიბრებითობის საფუძველზე“. უნდა ითქვას, რომ ეს ერთ-ერთი მნიშვნელოვანი კონსტიტუციური ღირებულებაა, რომელიც განმტკიცებულია სსკ-ის მე-4 მუხლშიც.⁵

პროცესის პრინციპის მნიშვნელობა, პირველ რიგში, ვლინდება საკანონმდებლო საქმიანობის დონეზე - სამართალშემოქმედებითი საქმიანობის დროს. კანონმდებელს შეუძლია დაადგინოს გარკვეული გამონაკლისები პრინციპიდან, რასაც სჭირდება შესაბამისი დასაბუთება. სამოქალაქო პროცესში არსებული პრინციპებიდან გაკეთებულია გამონაკლისები (შეზღუდვები), მაგრამ ეს შეზღუდვები გათვალისწინებული უნდა იყოს საკანონმდებლო დონეზე. ეს იმას ნიშნავს, რომ სასამართლოს არ შეუძლია თვითონ დაადგინოს შეზღუდვები, გადაუხვიოს პრინციპის მოქმედებას. პროცესის პრინციპის მეორე მნიშვნელობა ვლინდება სამართალშეფარდებითი (სუბსუმციის) დონეზე, კერძოდ, სასამართლომ კონკრეტული საქმეთა განხილვის დროს განუხრელად დაიცვას საპროცესო სამართლებრივი პრინციპების მოთხოვნები.⁶

სამოქალაქო პროცესში ცნობილია ფაქტების დადგენისა და მხარეთა უფლება მოვალეების გარკვევის ორი ძირითადი მეთოდი: პირველი - სამძებრო ანუ ინკვიზიციურობის მეთოდი⁷, რომლის თანახმადაც, სასამართლო ვერ დასჯერდება მხარეთა მიერ წარმოდგენილ მტკიცებულებებს და თვითონაა

⁴ხრუსტალი ვ., ლილუაშვილი თ., ძლიერიშვილი ზ., ლილუაშვილი გ., სამოქალაქო საპროცესო სამართალი, I ნაწილი, გამომცემლობა „სამართალი“, თბილისი 2014 წელი, 74. ნაშრომიდან: советский гражданский процес под ред М. К. Треушникова М. 1989 гю стр. 24 О. Jauerning, Zivilprozeressrecht, München 1993 s. 73 Luke, Zivilprozeressrecht. Verlag C.H Beck. 1999, 4-5

⁵ ავტორთა კოლექტივი, საქართველოს კონსტიტუციის კომენტარები, გამომცემლობა შპს „პეტიტი“, თბილისი, 2013 წელი, 59-60.

⁶ხრუსტალი ვ., ლილუაშვილი თ., ძლიერიშვილი ზ., ლილუაშვილი გ., სამოქალაქო საპროცესო სამართალი, I ნაწილი, გამომცემლობა „სამართალი“, თბილისი, 2014 წელი, 75-76.

⁷ Wolf C., Zeibig N., Evidence in civil law, Germany, published 2015 by Institute for Local Self Government and Public Procurement Maribor, 14.

ვალდებული თავისი ინიციატივით შეკრიბოს მტკიცებულებები, განსაზღვროს მტკიცების საგანი, მიიღოს ყველა ზომა მხარეთა უფლებებისა და მოვალეობების დასადგენად. მეორე - ესაა შეჯიბრებითობის მეთოდი⁸, რომელიც გულისხმობს მხარეთა აქტიურობას და რომლის მიხედვით, მტკიცების საგნის განსაზღვრა მთლიანად ეკისრებათ მხარეებს. სასამართლოს აქტივობა, მისი ინიციატივით მტკიცების პროცესში ჩარევა დასაშვებია იმ ზომით და ფარგლებში, რაც გათვალისწინებულია სამოქალაქო საპროცესო კოდექსით⁹.

საქართველოს მოქმედი სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მიღებამდე, ინკვიზიციურობის პრინციპზე იყო აგებული საქართველოს 1922, 1932, 1964 წლების სამოქალაქო საპროცესო კოდექსები. 1964 წლის სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-11 მუხლის თანახმად, სასამართლო მოვალეა არ დასჯერდეს წარმოდგენილ მასალებს და ახსნა-განმარტებებს და მიიღოს კანონით გათვალისწინებული ყველა ზომა, რათა ყოველმხრივ, სრულად და ობიექტურად გამოარკვიოს საქმის ნამდვილი გარემოებანი. მოცემული კოდექსის, 52-ე მუხლის მიხედვით, თუ წარმოდგენილი მტკიცებულება საკმარისი არ არის სასამართლო მხარეებსა და საქმეში მონაწილე სხვა პირებს წინადადებას აძლევს წარმოადგინონ დამატებითი მტკიცებულებები ან კრებს მათ თავისი ინიციატივით.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მთლიანად ინკვიზიციურმა ბუნებამ გამოიწვია უარყოფითი შედეგები, კერძოდ პროცესის მონაწილეთა ინერტულობა, ვინაიდან სასამართლო იყო მთლიანად ვალდებული ფაქტების მითითებაზე და მტკიცებულებების მოძიებაზე; ძირითადად, სასამართლო გადაწყვეტილებითა გაუქმება ზემდგომი ინსტანციის მიერ იმ საფუძვლით, რომ ქვედა ინსტანციამ საქმეზე არ დაადგინა ობიექტური ჭეშმარიტება¹⁰.

მოქმედი სამოქალაქო საპროცესო კოდექსის შემოღებით კონცეპტუალურად შეიცვალა სამოქალაქო საქმეებზე მართლმსაჯულების განხორციელების შინაარსი. პროცესის წმინდა ინკვიზიციური ხასიათი დისპოზიციურობის და

⁸ Nunner-Krautgasser B., Anzenberger P., Evidence in civil law, Austria, published 2015 by Institute for Local Self-Government and Public Procurement Maribor, 8.

⁹ ხრუსტალი ვ., ლილუაშვილი თ., საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის კომენტარები, გამომცემლობა „სამართალი“, 2007 წელი, 7.

¹⁰ ლილუაშვილი თ., სამოქალაქო საპროცესო სამართლის საკითხები საქართველოს სსრ სასამართლოების პრაქტიკაში. კრებული საბჭოთა სამოქალაქო სამართლისა და პროცესის აქტუალური საკითხები, თბილისი, 1977 წელი, გამომცემლობა „მეცნიერება“, 104-127.

შეჯიბრებითობის პრინციპზე აგებულმა სისტემამ ჩაანაცვლა¹¹. ამასთან, შეჯიბრებითობის პრინციპი არაა ისეთი დოგმა, რომლის დარღვევა არ შეიძლებოდა. მხარეებს შეიძლება აღმოუჩინოს დახმარება სასამართლომ საქმის გარემოებების გასარკვევად საჭირო მტკიცებულებათა წარდგენაში. ამრიგად, არა სამძებრო პრინციპი შეჯიბრებითობის შეზავებით, არამედ შეჯიბრებითობის პრინციპი სამძებრო ელემენტების შეზავებით¹². თუმცა, ინკვიზიციურობის პრინციპი გარკვეული დოზით გამოიყენება სამოქალაქო სამართლებრივი ურთიერთობის დროს. სსკ-ის მე-4 მუხლის მე-2 ნაწილში საუბარია სასამართლოს ინიციატივაზე მტკიცების პროცესში, მაგრამ სასამართლოს შეუძლია გამოიჩინოს ინიციატივა იმ ფარგლებში, რასაც სამოქალაქო საპროცესო კოდექსი, ცალკეულ შემთხვევებში, ითვალისწინებს. ცხადია, სასამართლოს როლი პროცესის მიმდინარეობის დროს არ უნდა იყოს პასიური¹³, რაც იმას ნიშნავს, რომ მოსამართლე არ უნდა იმყოფებოდეს სტატიკურ მდგომარეობაში, მაგრამ ზომიერება ამ კუთხით დაცული უნდა იყოს, წინააღმდეგ შემთხვევაში სასამართლო მოგვევლინება, როგორც მხარის ადვოკატი.

ამ საკითხთან დაკავშირებით, საინტერესოა XIX-XX საუკუნეების გამოჩენილი პროცესუალისტის ვასკოვის მოსაზრება: „შეჯიბრების პრინციპი სასარგებლო და მიზანშეწონილი მხოლოდ იმ პირობით შეიძლება იყოს, თუ ორივე მოდავე მხარე თანასაწორია, ერთნაირად მომზადებულები და მცოდნე მოწინააღმდეგეა. ამ შემთხვევაში სასამართლოს ის დარჩენია, რომ უსიტყვოდ (ჩუმად) ადევნოს თვალყური მათ ორთაბრძოლას და მიუკერძოებლად გადაწყვიტოს, თუ მათგან ვინ გაიმარჯვა. ხოლო თუ მხარეები თანაბარი შესაძლებლობების მოწინააღმდეგეები არ არიან, მაგალითად, ერთ მხარეს წარმოადგენს განათლებული, ხოლო მეორეს უმეცარი ადამიანი, ან თუ ერთ-ერთ მოდავე მხარეს ეხმარება ადვოკატი, რომელსაც საპროცესო ბრძოლის ყველა ხერხი და საშუალება დაწვრილებით აქვს შესწავლილი და ხანგრძლივი დროის განმავლობაში გამომუშავებული აქვს შესაბამისი ჩვევები, ხოლო მეორე მოდავე მხარე თავს იცავს პირადად, მოკლებულია ამგვარ ჩვევებს, პირველად გამოდის

¹¹ ახალაძე მ., საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის პრაქტიკის ანალიზი, გამომცემლობა „საქართველოს უზენაესი სასამართლოს ეროვნული სასამართლო პრაქტიკის შესწავლისა და განზოგადების განყოფილება“, თბილისი, 2018 წელი, 8.

¹² ლილუაშვილი თ., ხრუსტალი ვ., ძლიერიშვილი ზ., ლილუაშვილი გ., სამოქალაქო საპროცესო სამართალი, I ნაწილი, გამომცემლობა „სამართალი“, თბილისი, 2014 წელი, 89. ნაშრომიდან: Rosenberg, Schwab, Gottwald, Zivilprozessrecht, 1993, 123.

¹³ Wolf C., Zeibig N., Evidence in civil law, Germany, published 2015 by Institute for Local Self Government and Public Procurement Maribor, 15.

პროცესში, მაშინ შეჯიბრებითობის პრინციპი იქნება ძლიერის ზეიმი სუსტზე... ეს კი ეწინააღმდეგება სამართლიანობას¹⁴. დღევანდელი გადასახედიდან, აღნიშნული მოსაზრება უკუსაგდება, ვინაიდან მას შეჯიბრებითობაში თანასწორობა ესმის პირდაპირი გაგებით, მაშინ, როცა უმთავრესია შეჯიბრში თანასწორობის თანაბარი სამართლებრივი ბერკეტები და მხარის მიხედვულებაზეა გამოიყენებს პროცესუალურ თუ მატერიალურ უფლებას.

შეჯიბრებაში გამარჯვებულად გამოცხადდება მხარე, რომელმაც უკეთ შეძლო დაერწმუნებინა სასამართლო თავის მოთხოვნის (შესაგებელის) ფაქტობრივ დასაბუთებულობაში, ანუ მხარე, რომელმაც მიუთითა იურიდიულად ამართლებს მოთხოვნას (შესაგებელს) და წარმოუდგინა სასამართლოს მტკიცებულებები, რომლებიც ადასტურებენ ამ ფაქტებს¹⁵.

საყურადღებოა, რომ მიუხედავად საპროცესო კანონმდებლობით გათვალისწინებული და დაცული მხარეთა შეჯიბრებითობის პრინციპისა საფრანგეთის, გერმანიის, რუსეთის და კონტინენტური ევროპის სხვა ქვეყნების კანონმდებლობები შეიცავს ასევე, ნორმებს, რომლებიც ხაზს უსვამს ინკვიზიციური სამართალწარმოების ნიშნების არსებობასაც¹⁶.

1.1. საფრანგეთი

პროცესში სასამართლოს როლზე მიუთითებს ფრანგი მეცნიერი ჟ. მური, პროცესში მხარეთა აქტიური დამოკიდებულების განვითარების მიუხედავად, კანონმდებელმა არ უნდა დაივიწყოს თავად მოსამართლეთა დისკრეციული უფლებების შესახებ. მოსამართლეს უნდა შეეძლოს, მტკიცებულებათა სწორად შეფასების მიზნით, თანამდებობრივი უფლებამოსილების ფარგლებში, გამოითხოვოს ნებისმიერი მტკიცებულება, რომლებსაც მხარეები ეყრდნობიან, იმისგან დამოუკიდებლად იყო თუ არა ამის შესახებ მხარეთა შუამდგომლობა¹⁷.

¹⁴ Хрестоматия по гражданскому процессу Под М.К Треушникова, 71-72

¹⁵ ლილუაშვილი თ., ხრუსტალი ვ., ძლიერიშვილი ზ., ლილუაშვილი გ., სამოქალაქო საპროცესო სამართალი, I ნაწილი, გამომცემლობა „სამართალი“, თბილისი 2014 წელი, 91.

¹⁶ მერებაშვილი ი., სასამართლოში სამოქალაქო საქმეთა განხილვისას, მხარეთა შეჯიბრებითობისა და მოსამართლეთა აქტიურობის პრინციპების მოქმედება, ჟურნალი „მართლმსაჯულება და კანონი“, საქართველოს მოსამართლეთა ასოციაცია, 2009 წელი, N4 (23), 19.

¹⁷ მერებაშვილი ი., სასამართლოში სამოქალაქო საქმეთა განხილვისას, მხარეთა შეჯიბრებითობისა და მოსამართლეთა აქტიურობის პრინციპების მოქმედება, ჟურნალი „მართლმსაჯულება და კანონი“, საქართველოს მოსამართლეთა ასოციაცია, 2009 წელი, N4 (23), 20. ნაშრომიდან: Moury J. les moyeens de droit a travers les articles 12 et 16 du nouveau Code de procedure civile. TRese. P. 1986. 109.

სასამართლოში საქმისწარმოების პროცედურის ინკვიზიციური ხასიათის ხარისხზე მიუთითებს ისეთი ნორმები, რომლებითაც სასამართლოს აქტიური როლი მართლმსაჯულების განხორციელებაში სავალდებულო ხასიათისაა, თუ ეს მხოლოდ მის უფლებამოსილებათა რიგს განეკუთვნება. იგივე პრინციპებია მოცემული, საფრანგეთის სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 184-185-ე მუხლებში, რაც განსაზღვრულია საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-4 მუხლის მე-2 ნაწილში. თუმცა, საყურადღებოა, საფრანგეთის სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-16 მუხლის დათქმა, რომლის თანახმად, მოსამართლემ უნდა გამოითხოვოს მტკიცებულებები თუ ისინი აუცილებელია საქმის გადაწყვეტისათვის. იგივე შინაარსია გაატარებული, ამავე კოდექსის 254-ე მუხლში, კერძოდ სასამართლოს შეუძლია თავისი ინიციატივით გადაწყვიტოს მტკიცებულების სასამართლოში წარდგენის შესახებ საკითხი, თუ ამ ტკიცებულებას საქმეზე გადაწყვეტილების გამოტანისათვის გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება.

მოსარჩელე და მოპასუხე ვალდებულნი არიან დაარწმუნონ მოსამართლე მტკიცებულებათა გამოთხოვის შესახებ. მიუხედავად იმისა, რომ ფრანგულ სამართალში სასამართლოს არ ეკუთვნის მტკიცების ინიციატივა, თუ მოსამართლე ჩათვლის, რომ გარკვეულ მტკიცებულებებს არსებითი მნიშვნელობა აქვს და ისინი მხარეებს არ წარმოუდგენიათ, მას თავად შეუძლია, თავისი ინიციატივით გამოითხოვოს საჭირო მტკიცებულებები¹⁸.

1.2. გერმანია

საქმის სწრაფად და სწორად გადაწყვეტისათვის, გერმანიაში საპროცესო კანონი ყოველთვის მკაცრად არ იცავს შეჯიბრებითობის პრინციპს¹⁹. ეს პრინციპი გამოირიცხება საქმის ყველა გარემოების მტკიცების ეტაპზე, ასევე, როდესაც საზოგადოებრივი ინტერესი ობიექტურ ფაქტებს გადაწონის, მაგალითად, საოჯახო საქმეთა წარმოებისას²⁰. გერმანიის საპროცესო კოდექსის 616-ე პარაგრაფის მიხედვით, სასამართლოს შეუძლია, საკუთარი ინიციატივით გასცეს

¹⁸ Жюллио Л. де ла Морандьер., Гранданское право Франции, Т. 1, Перевод с французского, М., 1958, 168-169.

¹⁹ Wolf C., Zeibig N., Evidence in civil law, Germany, published 2015 by Institute for Local Self Government and Public Procurement Maribor, 22.

²⁰ მერებაშვილი ი., სასამართლოში სამოქალაქო საქმეთა განხილვისას, მხარეთა შეჯიბრებითობისა და მოსამართლეთა აქტიურობის პრინციპების მოქმედება, ჟურნალი „მართლმსაჯულება და კანონი“, საქართველოს მოსამართლეთა ასოციაცია, 2009 წელი, N4 (23), 21.

განკარგულება მტკიცებულებათა გამოკვლევის შესახებ და მხარეთა მოსმენის შემდეგ, გაითვალისწინოს ის ფაქტები, რომლებიც მხარეთა მიერ არ ყოფილა წარმოდგენილი²¹. გერმანულ საპროცესო კანონმდებლობაში არსებობს შეჯიბრებითობის პრინციპიდან გამონაკლისი ე.წ. „მტკიცების ტვირთის შეზღუდვა“, რომელიც გულისხმობს სასამართლოს მიერ მტკიცებულებათა შეგროვების შესაძლებლობას, მხარეთა შუამდგომლობის გარეშე. არ არის გამორიცხული, რომ სასამართლომ ისეთ გარემოებებზე შეაგროვოს მტკიცებულებები, რასაც მხარეები პროცესზე ეყრდნობიან²².

ცნობილია, რომ გერმანული სამართალი აქტიურ გავლენას ახდენს ავსტრიულ სამართლებრივ სისტემაზე. მიუხედავად ამისა, მას აქვს ორიგინალური ისტორია, რომელიც არ ჰგავს გერმანულს. ავსტრიის სამოქალაქო პროცესის კონცეფცია უარყოფს მოსამართლის პასიურ პოზიციას და ორინეტირებულია მის აქტიურ როლზე²³.

1.3. რუსეთი

ინკვიზიციურობის ელემენტების თვალსაზრისით, მოკრძალებულად გამოიყურება რუსეთის ფედერაციის სამოქალაქო საპროცესო კოდექსი, კერძოდ მე-12 მუხლში განსაზღვრულია, რომ სასამართლო ინარჩუნებას დამოუკიდებლობას, ობიექტურობასა და მიუკერძოებლობას, ხელმძღვანელობს პროცესს²⁴. საქმეში მონაწილე პირებს უხსნის მათ უფლება-მოვალეობებს, აფრთხილებს პროცესუალური მოქმედებისა და მათი შეუსრულებლობის შედეგებზე. ამასთან, ჰქმნის პირობებს, რომ ყოველმხრივ და სრულად იქნეს გამოკვლეული მტკიცებულებები, დადგენილ იქნას გარემოებები და სწორად იქნას გამოყენებული სამოქალაქო საქმეთა განხილვისას და გადაწყვეტისას²⁵.

²¹ Гражданское процессуальное право Германии, М., 2000, 41-44.

²² О.Н. Здрок, Грожданский процесс зарубежных стран, М., 2005, 120.

²³ *მერებაშვილი ი.*, სასამართლოში სამოქალაქო საქმეთა განხილვისას, მხარეთა შეჯიბრებითობისა და მოსამართლეთა აქტიურობის პრინციპების მოქმედება, ჟურნალი „მართლმსაჯულება და კანონი“, საქართველოს მოსამართლეთა ასოციაცია, 2009 წელი, N4 (23), 25. ნაშრომიდან: Н. Г. Елисеев, Гражданское процессуальное право зарубежных стран, 2-е изд., М., 2004, 35.

²⁴ *Maleshin D.*, THE RUSSIAN STYLE OF CIVIL PROCEDURE, Published by Emory International Law Review, 2007, 546.

²⁵ *მერებაშვილი ი.*, სასამართლოში სამოქალაქო საქმეთა განხილვისას, მხარეთა შეჯიბრებითობისა და მოსამართლეთა აქტიურობის პრინციპების მოქმედება, ჟურნალი „მართლმსაჯულება და კანონი“, საქართველოს მოსამართლეთა ასოციაცია, 2009 წელი, N4 (23), 22. ნაშრომიდან: Комментарий к ГПК РФ, М., 2007, 42-43.

2. ინკვიზიციურობის გამოვლინება

2.1. ცალკეული ელემენტები

ინკვიზიციურობის პრინციპის კონკრეტული გამოვლინების დროს ყურადღება უნდა გამახვილდეს სამოქალაქო საპროცესო კოდექსით გათვალისწინებულ შემდეგ ნორმებზე: „საქმის გარემოებათა გასარკვევად სასამართლოს შეუძლია თავისი ინიციატივით მიმართოს ამ კოდექსში გათვალისწინებულ ღონისძიებებს“ (მე-4 მუხლის მე-2 ნაწილი); მოცემულ ნორმაში, საუბარია სასამართლოს ინიციატივაზე მტკიცების პროცესში²⁶. ამასთან, ხსენებული მუხლის ტელეოლოგიური²⁷ განმარტებიდან გამომდინარე, სასამართლომ დაუშვებელია მიმართოს ისეთი ღონისძიების გამოყენებას, რაც განსაზღვრული არ არის სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობით. ასევე, როგორც უკვე ზემოთ აღინიშნა, ნორმის შინაარსი მიუთითებს სამძებრო (ინკვიზიცია) პრინციპის არსებობაზე, ცხადია, იმ ფარგლებში რასაც კანონმდებლობა უშვებს. საქართველოს უზენაესი სასამართლოს ერთ-ერთ²⁸ გადაწყვეტილებით გაუქმდა ქვედა ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება იმ მოტივით, რომ ქვემდგომმა სასამართლომ არ განკარგა, მათ შორის, საპროცესო კანონმდებლობით დადგენილი ინკვიზიციურობის საპროცესო შესაძლებლობა.

„სასამართლოს შეუძლია შესთავაზოს მხარეებს წარმოადგინონ დამატებითი მტკიცებულებები“ (103-ე მუხლის 1-ლი ნაწილი). სასამართლოს მხრიდან ასეთი შეთავაზება უნდა ემსახურებოდეს სიმართლის გარკვევას და არ უნდა კეთდებოდეს რომელიმე მხარის დახმარების მიზნით.

„სასამართლო არ მიიღებს, არ გამოითხოვს ან საქმიდან ამოიღებს მტკიცებულებებს, რომლებსაც საქმისათვის მნიშვნელობა არა აქვთ“ (104-ე მუხლის 1-ლი ნაწილი), ანუ სასამართლოს მიხედულებაზეა დამოკიდებული რომელი მტკიცებულება მიიღოს და რომელი არა. ამასთან, სასამართლოს პრაქტიკაში ხშირია საქმეები, რომლებიც გადატვირთულია ისეთი მასალებით,

²⁶ ლილუაშვილი თ., ხრუსტალი ვ., საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის კომენტარები, გამომცემლობა „სამართალი“, თბილისი, 2007 წელი, 8.

²⁷ ტელეოლოგიური განმარტებისას გადაწყვეტია ნორმის მიზანი დღევანდელი პერსპექტივიდან, რომლის ფარგლებშიც გასათვალისწინებელია ნორმის კონკრეტული განმარტებიდან გამომდინარე სოციალური თანმდევი შედეგები.

²⁸ საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილება, საქმე Nას-85-81-2017, 2017 წლის 27 ოქტომბერი, გადაწყვეტილება ხელმისაწვდომია უზენაესი სასამართლოს ოფიციალურ ვებ-გვერდზე <<http://prg.supremecourt.ge/DetailViewCivil.aspx>> (30.05.2019).

რასაც საქმის გადაწყვეტისათვის არავითარი მნიშვნელობა არა აქვს. ეს დროის ფუჭი ხარჯვაა, მეტიც საკმაოდ ართულებს გადაწყვეტილებათა დასაბუთებულობის შემოწმების შესაძლებლობას ზემდგომი ინსტანციის მიერ²⁹.

„სასამართლოს, მხარეთა მოთხოვნით ან თავისი ინიციატივით, შეუძლია დაადგინოს ნივთიერი და წერილობითი მტკიცებულებების ადგილზე დათვალიერება“ (120-ე მუხლი); „მოსამართლეს უფლება აქვს შეკითხვები მისცეს მხარეებს, რომლებიც ხელს შეუწყობენ საქმის გადაწყვეტისათვის მნიშვნელობის მქონე გარემოებების სრულად და ზუსტად განსაზღვრას“ (128-ე მუხლი); საქართველოს უზენაესი სასამართლო დიდ მნიშვნელობას ანიჭებს ამ მუხლით განსაზღვრული უფლების ეფექტიანად გამოყენების აუცილებლობას და აუქმებს გადაწყვეტილებას დაუსაბუთებლობის მოტივით, როდესაც სასამართლომ არ დაუსვა შესაბამისი შეკითხვები მხარეებს, რაც იმთავითვე ხელს შეუწყობდა საქმეზე სწორი გადაწყვეტილების მიღებას³⁰.

„თუ საქმის განხილვასთან დაკავშირებულ საკითხზე მოსამართლეს სპეციალური ცოდნა არ გააჩნია, სასამართლოს შეუძლია თავისი ინიციატივით დანიშნოს ექსპერტიზა“ (162-ე მუხლის 1-ლი ნაწილი); უნდა აღინიშნოს, რომ ექსპერტიზის დასკვნა, ხშირ შემთხვევაში, წონადი და ვარგისიანი მტკიცებულებაა³¹.

„სასამართლოს მთავარ სხდომაზე განხილვისათვის საქმის მოსამზადებლად მოსამართლეს შეუძლია: დაავალოს მხარეებს შეავსონ, ხოლო საჭიროების შემთხვევაში განმარტონ მათ მიერ წარმოდგენილი წერილობითი მასალები, წინადადება მისცეს მათ წარმოადგინონ საქმისათვის მნიშვნელობის მქონე ნივთები თუ დოკუმენტები“ (203-ე მუხლის, 1-ლი ნაწილის „ა“ პუნქტი); ამდენად, კანონმდებელი შესაძლებლობას აძლევს სასამართლოს, საჭიროებისამებრ დაავალოს მხარეებს, წარადგინონ მტკიცებულებანი სადავო ფაქტობრივი გარემოებების სწორად დადგენაში ხელის შესაწყობად³².

²⁹ ლილუაშვილი თ., ხრუსტალი ვ., საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის კომენტარები, გამომცემლობა „სამართალი“, თბილისი, 2007 წელი, 206.

³⁰ იქვე: 237.

³¹ საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილება, საქმე Nსს-1283-2018, 12 მარტი, 2019 წელი. გადაწყვეტილება ხელმისაწვდომია უზენაესი სასამართლოს ოფიციალურ ვებ-გვერდზე <<http://prg.supremecourt.ge/DetailViewCivil.aspx>> (07.07.2019).

³² საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილება, საქმე Nსს-750-704-2012, 22 ივნისი, 2012 წელი. გადაწყვეტილება ხელმისაწვდომია საქართველოს უზენაესი სასამართლოს ოფიციალურ ვებ-გვერდზე <<http://prg.supremecourt.ge/DetailViewCivil.aspx>> (07.07.2019).

2.2. ინკვიზიცია საოჯახო საქმეებზე

„სასამართლოს შეუძლია თავისი ინიციატივით განსაზღვროს დასადგენ გარემოებათა წრე და მხარეთა ახსნა-განმარტების შემდეგ თვითონ გამოითხოვოს მტკიცებულებები, რომლებზედაც მხარეებს არ მიუთითებიათ“ (სსკ-ს 354-ე მუხლი 1-ლი ნაწილი) და ა.შ. დასახელებული ნორმების შინაარსი კიდევ ერთხელ მიუთითებს ინკვიზიციურობის პრინციპის მნიშვნელობას³³ და მის გამოვლენაზე სამოქალაქო სამართალწარმოების დროს³⁴, კერძოდ საოჯახო საქმეების თავისებურებებთან დაკავშირებით³⁵. ეს უკანასკნელი ნორმა წარმოადგენს საოჯახო საქმეთა განხილვის და გადაწყვეტის საპროცესო გარანტიას, რაც სსკ-ს 244 და 249 მუხლებთან სისტემურ კავშირშია, რომლებიც სასამართლოს ავალდებულებენ, რომ მიიღოს გადაწყვეტილება მოსარჩელის მოთხოვნაზე, გადაწყვეტილების აღწერილობით ნაწილში მიუთითოს სასამართლოს მიერ დადგენილი საქმის გარემოებები, მტკიცებულებები, რომლებსაც ეფუძნება სასამართლოს დასკვნები ამ გარემოების შესახებ მოსაზრებები, რომელთა გამო სასამართლო უარყოფს ამა თუ იმ მტკიცებულებას. ცხადია, ეს არ გულისხმობს და არ უშვებს ნორმის თვითნებური გამოყენების შესაძლებლობას. ასევე, მოცემული ნორმა, პროცესის ხელმძღვანელობის პრინციპიდან გამომდინარეობს და კონსტიტუციის 31-ე მუხლის განხორციელების გარანტიას წარმოადგენს³⁶.

ამდენად, სამოქალაქო სამართალწარმოებით განსახილველ სხვა კატეგორიის საქმეთაგან განსხვავებით, საოჯახო-სამართლებრივი დავების განხილვა

³³ საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებები: საქმე Nას-1273-2018, 2018 წლის 14 დეკემბერი; საქმე Nას-1231-2018, 2018 წლის 30 ნოემბერი; საქმე Nას-1210-1130- 2017, 2018 წლის 7 მარტი; საქმე Nას-1285-1205-2017, 2018 წლის 30 იანვარი; საქმე Nას-604-563-2017, 2017 წლის 13 ოქტომბერი; გადაწყვეტილებები ხელმისაწვდომია საქართველოს უზენაესი სასამართლოს ოფიციალურ ვებ-გვერდზე <<http://prg.supremecourt.ge/DetailViewCivil.aspx>; <http://prg.supremecourt.ge/DetailViewCivil.aspx>; <http://prg.supremecourt.ge/DetailViewCivil.aspx>; <http://prg.supremecourt.ge/DetailViewCivil.aspx>> (30.05.2019).

³⁴ Nunner-Krautgasser B., Anzenberger P., Evidence in civil law, Austria, published 2015 by Institute for Local Self-Government and Public Procurement Maribor, 7.

³⁵ საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებები: საქმე Nას-1139-1095-2016, 2017 წლის 25 სექტემბერი; საქმე Nას-22-20-2017, 2017 წლი 7 ივლისი; საქმე Nას-458-440-2016, 2016 წლის 15 ივლისი; გადაწყვეტილებები ხელმისაწვდომია საქართველოს უზენაესი სასამართლოს ოფიციალურ ვებ-გვერდზე <<http://prg.supremecourt.ge/DetailViewCivil.aspx>; <http://prg.supremecourt.ge/DetailViewCivil.aspx>; <http://prg.supremecourt.ge/DetailViewCivil.aspx>> (30.05.2019).

³⁶ ქურდაძე შ., ხუნაშვილი ნ., საქართველოს სამოქალაქო საპროცესო სამართალი, გამომცემლობა „მერიდიანი“, თბილისი, 2015 წელი. 550.

ინკვიზიციური ელემენტებითაა გაჯერებული და სსკ-ის 354-ე მუხლით კანონმდებელი შესაძლებლად მიიჩნევს საქმის გარემოების დადგენას სასამართლოს ინიციატივითაც³⁷. შესაბამისად, საოჯახო საქმეთა განხილვის პროცესუალური თავისებურება სასამართლო ინკვიზიციურობაა, რაც იმას ნიშნავს, რომ სასამართლოს შეუძლია თავად განსაზღვროს დასადგენ გარემოებათა წრე, რათა მიღწეულ იქნას საქმეზე ჭეშმარიტების დადგენა. ასევე, მოცემული მუხლით დადგენილი ინკვიზიციურობის პრინციპის ფარგლებში სასამართლომ საკუთარი ინიციატივით უნდა შეისწავლოს საქმის ის გარემოებებიც, რომლებიც მხარეს სადავო არ გაუხდია, გამოიკვლიოს საქმეში არსებული მასალები. ბავშვის უფლებასთან დაკავშირებულ საკითხებზე სამართალწარმოებისას სასამართლო ხელმძღვანელობს სსკ-ის 352-ე და 354-ე მუხლებით, რომელთა საფუძველზე დადგენილია საოჯახო საქმეთა განხილვის თავისებურებანი და სასამართლოს მიერ მხარეთა პრეტენზიების არ არსებობის პირობებშიც კი, ბავშვის საუკეთესო და უპირატესი ინტერესების გათვალისწინებით³⁸.

სამოქალაქო პროცესის შეჯიბრებითობის პრინციპი³⁹, მხარეებს უფლებებთან ერთად აკისრებს თავისივე ინტერესებისათვის აუცილებელ საპროცესო მოვალეობებს, რომლის შეუსრულებლობას უკავშირდება ამავე მხარისათვის არახელსაყრელი შედეგი, რაც განმტკიცებულია სსკ-ის მე-4 მუხლით. ამავე კოდექსის 102-ე მუხლის თანახმად, მხარეს ეკისრება როგორც ფაქტების მითითების, ასევე, მათი დამტკიცების ტვირთი, რაც სათანადო მტკიცებულების წარდგენით უნდა განხორციელდეს. სსკ-ის 178-ე მუხლის 1-ლი ნაწილის „ვ“ პუნქტის მიხედვით, სარჩელში უნდა აღინიშნოს, მტკიცებულებები, რომლებიც ადასტურებს მოსარჩელის მიერ მითითებულ გარემოებებს. დასაშვებია, ვიფიქროთ, რომ ხომ არ ეკისრება მხარეს მტკიცებულებათა წარდგენის ვალდებულება. მოყვანილი ნორმის მიზნიდან გამომდინარე, ეს დანაწესი არ გულისხმობს მტკიცებულების წარდგენის ვალდებულებას, წინააღმდეგ შემთხვევაში დაირღვეოდა შეჯიბრებითობის პრინციპი. მოცემული ნორმის

³⁷ საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილება, საქმე Nას-1011-931-2017, 2018 წლის 16 იანვარი. გადაწყვეტილებები ხელმისაწვდომია საქართველოს უზენაესი სასამართლოს ოფიციალურ ვებ-გვერდზე <<http://prg.supremecourt.ge/DetailViewCivil.aspx>> (31.05.2019).

³⁸ საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილება, საქმე Nას-1273-2018, 2018 წლის 14 დეკემბერი. გადაწყვეტილება ხელმისაწვდომია საქართველოს უზენაესი სასამართლოს ოფიციალურ ვებ-გვერდზე <<http://prg.supremecourt.ge/DetailViewCivil.aspx>> (31.05.2019).

³⁹ MICHAEL B., PRINCIPLES OF LAW, Published by D. Reidel Publishing Company, P.O. Box 17,3300 AA Dordrecht, Holland, 1987 y. 34.

მიზანია შემდეგი: თუკი სარჩელში მითითებულია თანდართული დოკუმენტების ნუსხა, მაშინ მოსარჩელეს ეკისრება იმ დოკუმენტების წარდგენის ვალდებულება სასამართლოში, რომლებიც ნუსხშია მითითებული⁴⁰.

სამოქალაქო სამართლის პროცესში ძირითადი და განმსაზღვრელია დისპოზიციურობისა⁴¹ და შეჯიბრებითობის პრინციპი⁴², რაც ასევე გამოიყენება საოჯახოსამართლებრივი ურთიერთობებიდან წარმოშობილი საქმეების განხილვისას. ამასთან, სამოქალაქო სამართალწარმოების სხვა საქმეებისგან განსახვავებით, აგრეთვე გამოიყენება სამძებრო, ანუ ინკვიზიციურობის პრინციპი ამ კატეგორიის საქმეების განხილვის თავისებურების გამო. ფრანგი მეცნიერის გუი ბრეზანის აზრით, „სასამართლო წარმოების ინკვიზიციური პრინციპი პროცესის მიმდინარეობისას სასამართლოს დომინირებას ნიშნავს. სასამართლო ხელმძღვანელობს საქმის განხილვას და უფლება აქვს მოიძიოს და გამოიკვლიოს მტკიცებულებები“⁴³.

2.3. ინკვიზიციურობისა და შეჯიბრებითობის პრინციპების ურთიერთმიმართება

სამოქალაქო პროცესი მიმდინარეობს შეჯიბრებითობის საფუძველზე, რაც დავისათვის სამართლებრივად მნიშვნელოვანი ფაქტების მითითებასა და მათ დამტკიცებაში სასამართლოს ჩაურევლობას გულისხმობს. ამ წესიდან გამონაკლისს წარმოადგენს საოჯახოსამართლებრივი ურთიერთობიდან წარმოშობილი დავები, რა დროსაც სასამართლო აქტიურად ერთვება მტკიცების პროცესში და შეუძლია, საქმისათვის მნიშვნელობის მქონე გარემოება თავისი

⁴⁰ სასამართლოს კანცელარიას სარჩელის ფორმალური დასაშვებობის შემოწმებისას, არ აქვს უფლება, რომ სარჩელის ავტორს მოსთხოვოს ის მტკიცებულებები, რომლებიც სასარჩელო განცხადების ნუსხაში არ არის მითითებული. წინააღმდეგ შემთხვევაში, დაირღვევა შეჯიბრებითობის პრინციპი.

⁴¹ Andrews N., English Civil Procedure, 2006 y. 37.

⁴² Maleshin D., THE RUSSIAN STYLE OF CIVIL PROCEDURE, Published by Emory International Law Review, 2007, 549, 560.

⁴³ ბასილაია გ., საოჯახო საქმეთა განხილვის თავისებურებანი და დაუსწრებელი გადაწყვეტილება, ჟურნ. „მართლმსაჯულება და კანონი“, საქართველოს მოსამართლეთა ასოციაცია, N4 (23), 2009, 31. გუი ბრეზანი, საფრანგეთის ადმინისტრაციული სამართალი, მისი მოსაზრება სახელმძღვანელოდან: ლორია ვ., საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო სამართალი, გამომცემლობა „მერიდიანი“, თბილისი, 2002 წელი, 36.

ინიციატივით დაადგინოს⁴⁴. ამასთან, სამოქალაქო საპროცესო სამართალში არსებული მტკიცების ტვირთის სამართლიანი და ობიექტური განაწილების სტანდარტის თანახმად, მტკიცების ტვირთი უნდა განაწილდეს იმგვარად, რომ მოსარჩელეს და მოპასუხეს დაეკისროთ იმ ფაქტების დამტკიცების ვალდებულება, რომელთა მტკიცება მათთვის ობიექტურად შესაძლებელია⁴⁵.

შეჯიბრებითობისა და ინკვიზიციურობის პრინციპის პარალელურად⁴⁶, სასამართლოს გადაცემული აქვს პროცესის მატერიალური ხელმძღვანელობის⁴⁷ უფლებამოსილება. თუმცა, აქ დგება მოცემული ღირებულების პროპორციის საკითხი. საინტერესოა, რა დოზით უნდა მოხდეს ამ ორი პრინციპის შერწყმა და გამოყენება საქმის განხილვისას. ცხადია, აქცენტი უნდა გაკეთდეს ზომიერების ფარგლებზე, რომლითაც იხელმძღვანელებს მოსამართლე აღნიშნული პრინციპების განხორციელებისას. ამასთან, ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში, უნდა შეფასდეს შესაბამისი კანონმდებლობის საფუძველზე, აქვს კი მოსამართლეს ინკვიზიციურობის პრინციპიდან გამომდინარე, პროცესში აქტიური მონაწილეობის უფლება.

მხარეთა შეჯიბრებითობის პრინციპი არ უნდა იქნეს გაგებული უკიდურესი ფორმით და სასამართლომ არ უნდა დაიცვას პირის უფლებები და ინტერესები, რომ გასცდეს მის ნება-სურვილს, სასამართლომ არ უნდა სცადოს პირთა იმ უფლებების რეალიზაცია, რაც არ ყოფილა მოთხოვნილი⁴⁸. ცხადია, შეჯიბრებითობის პრინციპში არ მოიაზრება სასამართლოს უკიდურესი

⁴⁴ საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილება, საქმე Nას-1062-996-2012, 22 იანვარი, 2013 წელი. გადაწყვეტილება ხელმისაწვდომია უზენაესი სასამართლოს ოფიციალურ ვებ-გვერდზე <<http://prg.supremecourt.ge/DetailViewCivil.aspx>> (05.06.2019).

⁴⁵ საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილება Nას-1003-964-2016, 25 იანვარი, 2017 წელი, ნაშრომიდან: *ახალაძე ბ.*, საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის პრაქტიკის ანალიზი, გამომცემლობა „საქართველოს უზენაესი სასამართლოს ეროვნული სასამართლო პრაქტიკის შესწავლისა და განზოგადების განყოფილება“, თბილისი, 2018 წელი, 13.

⁴⁶ *Machnikowska A., Stawarska-rippel A.*, THE PRINCIPLES OF CIVIL PROCEDURE IN POLAND IN THE TWENTIETH CENTURY. DOCTRINE, DRAFTS AND LAW IN A COMPARATIVE PERSPECTIVE, 2016 y. 91, 94.

⁴⁷ *გაგუა ი.*, სადისერტაციო ნაშრომი, მტკიცების ტვირთი სამოქალაქო საპროცესო სამართალში, 2012 წელი, 98.

⁴⁸ *გაგუა ი.*, სადისერტაციო ნაშრომი, მტკიცების ტვირთი სამოქალაქო საპროცესო სამართალში, 2012 წელი, 98.

პასიურობა⁴⁹. კიდევ ერთხელ უნდა აღინიშნოს, რომ სასამართლომ შეჯიბრებითობისა და ინკვიზიციურობის პრინციპის ფარგლებში უნდა დაიცვას ზომიერება, რაც იმთავითვე ხელს შეუწყობს მხარეთა უფლებების და ინტერესების სრულფასოვან რეალიზაციას. საქართველოს უზენაესი სასამართლო არაერთ გადაწყვეტილებაში⁵⁰ მიუთითებს და განმარტავს შეჯიბრებითობის პრინციპის მნიშვნელობაზე სამოქალაქო სამართლაწარმოების მიმდინარეობისას.

ამდენად, სასამართლომ აქტიურად უნდა გამოიყენოს საპროცესო კანონმდებლობით მინიჭებული უფლებები, იმისათვის, რომ უზრუნველყოს დარღვეული ან სადავოდ გამხადრი უფლების დასაცავად, სასამართლოში მისულ პირთა უფლებებისა და კანონიერი ინტერესების დაცვა⁵¹.

II. მტკიცების ტვირთის ბუნება

1. მტკიცების ტვირთის განაწილების წესი

საქმე განიხილება და გადაწყვეტილება მიიღება მტკიცების საშუალებით. მტკიცების საგანი კი, ერთი მხრივ (ფართო გაგებით), განისაზღვრება, როგორც სამოქალაქო პროცესში სარჩელის საფუძვლისა და შესაგებლის იურიდიული ფაქტების ერთობლიობა, რომელზედაც მიუთითებს მატერიალური სამართლის ნორმა, ხოლო მეორე მხრივ (ვიწრო გაგებით), მტკიცების საგნის განსაზღვრისათვის განსაკუთრებული მნიშვნელობის მქონეა სარჩელში და შესაგებელში მითითებული სადავო იურიდიული მნიშვნელობის ფაქტები.⁵²

⁴⁹ საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებანი სამოქალაქო, სამეწარმეო და სხვა კატეგორიის დავებზე, 2009 წელი, N9, 3.

⁵⁰ საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებები: საქმე Nას-96-2019, 8 მაისი, 2019 წელი; საქმე Nას-1322-2018, 4 აპრილი, 2019 წელი.

გადაწყვეტილებები ხელმისაწვდომია, საქართველოს უზენაესი სასამართლოს ოფიციალურ ვებგვერდზე <<http://prg.supremecourt.ge/DetailViewCivil.aspx>; <http://prg.supremecourt.ge/DetailViewCivil.aspx>> (31.05.2019)

⁵¹ *მერებაშვილი ი.*, სასამართლოში სამოქალაქო საქმეთა განხილვისას, მხარეთა შეჯიბრებითობისა და მოსამართლეთა აქტიურობის პრინციპების მოქმედება. ჟურნალი „მართლმსაჯულება და კანონი“, საქართველოს მოსამართლეთა ასოციაცია, 2009 წელი, N4 (23).

⁵² *გაგუა ი.*, საიდსერტაციო ნაშრომი, მტკიცების ტვირთი სამოქალაქო საპროცესო სამართალში, 2013 წელი, მერიდიანი, 62. ნაშრომიდან: *ახალაძე მ.*, საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის პრაქტიკის ანალიზი, გამომცემლობა „საქართველოს უზენაესი სასამართლოს ეროვნული სასამართლო პრაქტიკის შესწავლისა და განზოგადების განყოფილება“, თბილისი, 2018 წელი, 8.

სასამართლო პრაქტიკის მიხედვითაც, სამოქალაქო პროცესში მტკიცების საგანს წარმოადგენს სადავო მატერიალურსამართლებრივი ფაქტები, რომელზეც მიუთითებს მოსარჩელე და მოპასუხე, მოთხოვნის თუ შესაგებლის დასაბუთების ან გაქარწყლებისათვის.

სამოქალაქო საპროცესო სამართალში მტკიცების საგანს შეადგენს ის გარემოებები, რომელზეც პროცესუალურ სამართალურთიერთობებში წარმოადგენს სამართლებრივი ფაქტები. მხარეთა მიერ მტკიცების ტვირთის რეალიზებასა და მტკიცების საგნის განსაზღვრას ახასიათებს მჭიდრო ურთიერთკავშირი, რადგანაც სასამართლოში ყოველი კონკრეტული სამოქალაქო საქმის გადაწყვეტა დაკავშირებულია განსაზღვრული ფაქტების დადგენასთან. სწორედ ამიტომ, მტკიცების საგანს პროცესუალურ კანონმდებლობასა და პრაქტიკაში პრინციპული მნიშვნელობა აქვს. ასეთივე პრინციპული მნიშვნელობის მქონეა პროცესუალური საკითხი მხარეთა შორის მტკიცების ტვირთის განაწილების შესახებ⁵³.

მხარეებს (ზოგიერთ შემთხვევაში, პროცესის მონაწილეთა სხვა სუბიექტებსაც: მესამე პირები განმცხადებლები) აწევთ დასადგენი ფაქტების (პრეზუმციებისა და სადავო ფაქტების) დამტკიცების ვალდებულება ანუ მტკიცების ტვირთი⁵⁴.

ხსენებული წარმოადგენს სამოქალაქო სამართალწარმოებაში მხარეებისათვის საქმის სწორად გადაწყვეტისათვის მნიშვნელოვანი ფაქტების დამტკიცების მოვალეობის დაკისრება, რომლის შესრულება უზრუნვეყოფილია მატერიალურსამართლებრივი თვალსაზრისით არახელსაყრელი გადაწყვეტილების გამოტანით იმ მხარის მიმართ, რომელმაც ეს ვალდებულება არ ან ვერ შეასრულა⁵⁵. სხვანაირად, მტკიცების ტვირთი არის დავის მონაწილე

⁵³ საქართველოს უზენაესი სასამართლოს დიდი პალატის გადაწყვეტილება, საქმე Nას-664-635-2016, 2 მარტი, 2017 წელი. გადაწყვეტილება ხელმისაწვდომია საქართველოს უზენაესი სასამართლოს ოფიციალურ ვებ-გვერდზე <<http://prg.supremecourt.ge/DetailViewCivil.aspx>> (31.05.2019).

⁵⁴ *Wolf C., Zeibig N.*, Evidence in civil law, Germany, published 2015 by Institute for Local Self Government and Public Procurement Maribor, 2.

⁵⁵ *ახალაძე მ.*, საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის პრაქტიკის ანალიზი, გამომცემლობა „საქართველოს უზენაესი სასამართლოს ეროვნული სასამართლო პრაქტიკის შესწავლისა და განზოგადების განყოფილება“, თბილისი, 2018 წელი, 10. ნაშრომიდან: *ლილუაშვილი თ.*, სამოქალაქო საპროცესო სამართალი, გამომცემლობა „სამართალი“, თბილისი, 2005 წელი, 225.

მხარის იურიდიული მოვალეობა - შეასრულოს გარკვეული პროცესუალური მოქმედება.

1.1. მოწესრიგება ინგლისური სამართლით

ცნობილია, რომ ინგლისი კონტინენტური ევროპის ქვეყნების სასამართლოების საქმისწარმოებისაგან მკვეთრად განსხვავდება. ინგლისში მართლმსაჯულების განხორციელება მხარეთა შეჯიბრებითობის პრინციპის მკაცრად დაცვით მიმდინარეობს, მიუხედავად იმისა, რომ სამოქალაქო საქმისწარმოება განსახვავებული ფორმებით ხასიათდება⁵⁶.

აღსანიშნავია, რომ ინგლისელ მოსამართლეთა და სასამართლოს საქმიანობის პროცესუალური მხარე არ ხასიათდება და არ არის განპირობებული სრულყოფილი საკანონმდებლო ბაზით. ინგლისელი მოსამართლეები ხანგრძლივი დროის განმავლობაში იძულებულნი იყვნენ, თავად, და საკუთარი პასუხისმგებლობით შეექმანთ თავიანთი საქმიანობისათვის აუცილებელი წესები და ფორმები. თუმცა, ქვეყანაში მოქმედებს წესი, რომლის საფუძველზე მოსამართლე ემორჩილება განსაზღვრულ ჩარჩოებს, რომელთა ფარგლებში თავისუფალია პროცესუალური გადაწყვეტილებების მიღებისას. მტკიცების ტვირთი⁵⁷ სამოქალაქო საქმეთა განხილვისას ნაწილდება ორივე მხარეზე⁵⁸. მაგრამ მხარე, რომელსაც მტკიცების ტვირთი ადევს, არ არის ვალდებული, დაამტკიცოს ის, რომლის თაობაზეც აბსოლუტური დარწმუნებით განაცხადებს, ანდა ის გარემოება, ის გარემოება, რაც სასამართლოს მხრიდან არ იწვევს დასაბუთებულ ეჭვს. საკმარისია, სასამართლოს შეექმნას შთაბეჭდილება, რაზეც ლაპარაკობს მოსარჩელე ან მოპასუხე, სინამდვილეს შეესაბამება. სასამართლო უნდა მივიდეს იმ კონდიციამდე, რომ ყველაფერი რის შესახებაც მიუთითებენ მხარეები, სინამდვილეში ასე იქნებოდა და ამაში შეუძლებელი არაფერია⁵⁹.

⁵⁶ *მერებაშვილი ი.*, სასამართლოში სამოქალაქო საქმეთა განხილვისას, მხარეთა შეჯიბრებითობისა და მოსამართლეთა აქტიურობის პრინციპების მოქმედება, ჟურნალი „მართლმსაჯულება და კანონი“, საქართველოს მოსამართლეთა ასოციაცია, 2009 წელი, N4 (23), 23.

⁵⁷ *ლილუაშვილი თ., ხრუსტალი ვ.*, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის კომენტარები, გამომცემლობა „სამართალი“, თბილისი 2007 წელი, 102.

⁵⁸ *ახალაძე მ.*, საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის პრაქტიკის ანალიზი, გამომცემლობა „საქართველოს უზენაესი სასამართლოს ეროვნული სასამართლო პრაქტიკის შესწავლისა და განზოგადების განყოფილება“, თბილისი, 2018 წელი, 11.

⁵⁹ *Романов А.К.*, Правовая система Англии, М., 2002, 232-234.

1.2. მტკიცების საგნის სწორად განაწილების პრაქტიკული მნიშვნელობა

თეორიულად მტკიცების ტვირთს ვერ განვიხილავთ, როგორც „კანონით დადგენილ ვალდებულებას“⁶⁰, რადგან საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი მისი შეუსრულებლობით არ ითვალისწინებს სანქციას პირდაპირი მნიშვნელობით⁶¹.

იერინგმა ჯერ კიდევ ასი წლის წინ აღნიშნა: „სამართლის ცნება თავის თავში მოიაზრებს ორ სრულიად განსხვავებულ კატეგორიას ბრძოლასა და მშვიდობას. პირველი წარმოადგენს მეორეს მიღწევის შესაძლებლობას და ისინი ერთმანეთისგან განუყოფლები არიან. საკუთარი დარღვეული უფლების დაცვა წარმოადგენს პიროვნების თავდაცვის აუცილებელ ელემენტს და გულისხმობს პიროვნების ვალდებულებას, ჯერ საკუთარ თავთან დაიცვას თავისი უფლება და შემდგომ ეს ვალდებულება მას ეკისრება მთელი საზოგადოების წინაშე“⁶².

პრაქტიკული თვალსაზრისით, მტკიცების ტვირთის არასათანდო რეალიზება წარმოადგენს პროცესის მონაწილე სუბიექტების მიმართ მატერიალურსამართლებრივი თვალსაზრისით დაუსაბუთებელი და არახელსაყრელი გადაწყვეტილების წინაპირობას. მტკიცების ტვირთი წარმოგვიდგება, როგორც მოდავე მხარეთა შორის რისკების გადანაწილება, რომელსაც, უპირველეს ყოვლისა, აქვს პრაქტიკული მნიშვნელობა, გამომდინარე იქიდან, რომ მის გარეშე შეუძლებელია საქმისათვის მნიშვნელობის მქონე ფაქტების იმგავარდ დადგენა, როგორც ეს მოხდა სინამდვილეში⁶³.

საინტერესოა, რა ქმედებები უნდა განახორციელოს მტკიცების ტვირთის სუბიექტმა, იმისათვის, რომ მის მიმართ არახელსაყრელი

⁶⁰ „იქ სადაც არსებობენ წესები, მათი დაუცველობა მოასწავებს შეუწყნარებელ რეაგირებას ან სასამართლოს მიერ წესების დამრღვევი პირების მიმართ სანქციის გამოყენებას“. ამგვარად განმარტავს „კანონით დადგენილ ვალდებულებებს“ ჰარტი სამართლის კონცეფციაში, ნაშრომიდან: *გაგუა ი.*, სადისერტაციო ნაშრომი, მტკიცების ტვირთი სამოქალაქო საპროცესო სამართალში, 2012 წელი, 11.

⁶¹ *Machnikowska A., Stawarska-rippel A., THE PRINCIPLES OF CIVIL PROCEDURE IN POLAND IN THE TWENTIETH CENTURY. DOCTRINE, DRAFTS AND LAW IN A COMPARATIVE PERSPECTIVE, 2016 y. 122.*

⁶² *ცერცვაძე გ.*, მედიაცია დავის გადაწყვეტის ალტერნატიული ფორმა (ზოგადი მიმოხილვა), თბილისი, 2010 წელი, 30. ნაშრომიდან: Haft, Fritjof, Verhandlung und Mediation, in: Haft, Fritjof./von Schlieffen, Katherina, (Hrsg.) Handbuch Mediation, 2 aufl, München 2009, 79.

⁶³ *გაგუა ი.*, სადისერტაციო ნაშრომი, მტკიცების ტვირთი სამოქალაქო საპროცესო სამართალში, 2012 წელი, 12.

მატერიალურსამართლებრივი შედეგი არ დადგეს. მოსარჩელე უნდა აპელირდეს და მიუთითოს ყველა ის გარემოებები, რომლებიც კანონის შესაბამისად, ასაბუთებს სასარჩელო მოთხოვნას. ხოლო, წინააღმდეგ შემთხვევაში სარჩელი არ უნდა დაკმაყოფილდეს. თუკი, მოსარჩელის მიერ მითითებული გარემოებები ადასტურებს სასარჩელო მოთხოვნას, მაშინ უკვე მოპასუხეზეა დამოკიდებული საბოლოო შედეგი. კერძოდ, მოსარჩელის მითითებული ფაქტობრივი გარემოებების გასაქარწყლებლად, თუ მოპასუხე ვერ წარადგენს წონად და ვარგისიან არგუმენტებსა და მტკიცებულებებს, ან აღნიშნულ გარემოებები მოპასუხემ სადავოდ არ გადახადა, მაშინ ეს გარემოებები მტკიცების საგანში არ შევა⁶⁴.

მტკიცების ტვირთის განაწილების ზოგადი წესი მოცემულია სსკ-ის 102-ე მუხლის პირველ ნაწილში, რომლის თანახმად, „თითოეულმა მხარემ უნდა დაამტკიცოს გარემოებები, რომლებზედაც იგი ამყარებს თავის მოთხოვნებსა თუ შესაგებელს. ამასთან, ზოგადი წესის თანახმად, ფაქტის მტკიცების ტვირთი ეკისრება ფაქტის მიმთითებელს⁶⁵. აგრეთვე, მტკიცების ტვირთის ობიექტური და სამართლიანი განაწილების წესის თანახმად, მტკიცების ტვირთი ეკისრება მას, ვინც ამტკიცებს და არა მას, ვინც უარყოფს⁶⁶. აღნიშნულიდან არსებობს გამონაკლისები, კერძოდ, სპეციალური წესი - პრეზუმციები, რაც გულისხმობს, რომ მტკიცების ტვირთის განაწილებაზე ცალკეულ შემთხვევებში მატერიალურსამართლებრივი ნორმები მიუთითებს, ეს არ ნიშნავს მტკიცების ტვირთისგან განთავისუფლებას. პრეზუმციებთან დაკავშირებით ასევე უნდა აღინიშნოს, რომ სამოქალაქო საპროცესო სამართალში, „ერთი ჯგუფი ფაქტებისა ივარაუდება მოპასუხის სასარგებლოდ და ამიტომ ისინი უნდა დაამტკიცოს მოსარჩელემ, ხოლო მეორე ჯგუფი ფაქტებისა ივარაუდება მოსარჩელის სასარგებლოდ და ისინი უნდა დაამტკიცოს მოპასუხემ. ფაქტები, რომელთა

⁶⁴ თოდუა მ., ქურდაძე შ., ცალკეული კატეგორიის საქმეებზე გადაწყვეტილების მიღების მეთოდოლოგია, თბილისი, 2005 წელი, 82.

⁶⁵ Nunner-Krautgasser B., Anzenberger P., Evidence in civil law, Austria, published 2015 by Institute for Local Self-Government and Public Procurement Maribor, 1.

⁶⁶ საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილება, N ას-1294-1214-2015, 27 ივნისი, 2015 წელი. ნაშრომიდან: ახალაძე მ., საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის პრაქტიკის ანალიზი, გამომცემლობა „საქართველოს უზენაესი სასამართლოს ეროვნული სასამართლო პრაქტიკის შესწავლისა და განზოგადების განყოფილება“, თბილისი, 2018 წელი, 12.

არსებობა (არარსებობა) ივარაუდება მოპასუხის სასარგებლოდ, ივარაუდება ასეთნაირად ყოველგვარი წინასწარი დამტკიცების გარეშე⁶⁷.

სამოქალაქო სამართალწარმოებისას მტკიცების ტვირთი ნაწილდება ობიექტურად და სამართლიანად. მტკიცების ტვირთის განაწილების ობიექტური და სამართლიანი სტანდარტი განაპირობებს მოსარჩელისა და მოპასუხის მტკიცების საგანში შემავალი გარემოებების წრის განსაზღვრას, რა დროსაც მხედველობაში მიიღება მხარის მიერ მტკიცების ობიექტური განხორციელების შესაძლებლობა. აღნიშნულ პრინციპს ეფუძნება დადებითი მოვლენის მტკიცების ვალდებულება ნეგატიური მოვლენის მტკიცების შეუძლებლობის გამო. მოცემული განმარტებით, სასამართლომ ხაზგასმით მიუთითა ის სამართლებრივი შედეგი, რომელიც მოჰყვება მტკიცების ტვირთის ობიექტური და სამართლიანი განაწილებას⁶⁸.

სასამართლომ უნდა განსაზღვროს, თუ რომელ მხარეს ეკისრება ამ ფაქტის მტკიცების ტვირთი და ფაქტის დაუმტკიცებლობის არახელსაყრელი შედეგები უნდა დააკისროს იმ მხარეს, რომელსაც ამ ფაქტის დამტკიცება ევალებოდა⁶⁹. მტკიცებულებათა წარმოდგენის მოვალეობას საქმისათვის მნიშვნელოვანი ფაქტების დასადგენად, კანონმდებელი აკისრებს იმ მხარეს, რომლისთვისაც ეს უფრო ადვილი და მოსახერხებელია. მოსარჩელე მოვალეა დაამტკიცოს ფაქტები, რომლებიც იურიდიულად ამართლებენ მის მოთხოვნას, ხოლო იმ ფაქტების მტკიცების ტვირთი, რომლებიც ასეთი მოთხოვნის უფლებას გააქარწყლებენ - დაკისრებული აქვს მოპასუხეს.

აღსანიშნავია, რომ მხარეებს შორის, მტკიცების ტვირთი⁷⁰ განაწილებულ უნდა იქნეს იმგვარად, რომ მოსარჩელესა და მოპასუხეს დაეკისროთ იმ ფაქტების დამტკიცება, რომელთა მტკიცება მათთვის ობიექტურად შესაძლებელია.

⁶⁷ *ლილუაშვილი თ.*, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო სამართალი, გამომცემლობა „სამართალი“, თბილისი, 2005 წელი, 229.

⁶⁸ თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის განჩინება, საქმე 28/4372-16, 25 ნოემბერი, 2016 წელი. გადაწყვეტილება ხელმისაწვდომია თბილისის სააპელაციო სასამართლოს ოფიციალურ ვებ-გვერდზე <<http://www.tbappeal.court.ge/?category=g-http://library.court.ge/judgements/2272017-03-07.pdf>> (31.05.2019).

⁶⁹ თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის გადაწყვეტილება, საქმე №28/5993-15, 27 მაისი, 2016 წელი. გადაწყვეტილება ხელმისაწვდომია თბილისის სააპელაციო სასამართლოს ოფიციალურ ვებ-გვერდზე <<http://www.tbappeal.court.ge/?category=g-http://library.court.ge/judgements/2272017-03-07.pdf>> (31.05.2019).

⁷⁰ *Wolf C., Zeibig N.*, Evidence in civil law, Germany, published 2015 by Institute for Local Self-Government and Public Procurement Maribor, 2.

ფაქტების დამტკიცებას იწყებს მოსარჩელე, რომელმაც უნდა დაამტკიცოს მის მიერ მოპასუხისადმი წაყენებული მოთხოვნის ფაქტობრივი საფუძველი. მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც მოსარჩელე დაამტკიცებს ამ ფაქტებს, მტკიცების ტვირთი გადადის მოპასუხეზე. შესაბამისად, მოპასუხე მხარე ვალდებულია დაამტკიცოს ის ფაქტები, რომლებზედაც იგი ამყარებს თავის შესაგებელს, მაშასადამე მან არამართო უნდა გამოთქვას საპირისპირო მოსაზრება კონკრეტულ მტკიცებულებასა და ფაქტთან დაკავშირებით, არამედ უნდა დაასაბუთოს იგი. ფაქტობრივი გარემოებების დადასტურება კი შესაძლებელია თვით მხარეთა (მესამე პირთა) ახსნა-განმარტებით, მოწმეთა ჩვენებით, წერილობითი თუ ნივთიერი მტკიცებულებებითა და ექსპერტთა დასკვნებით⁷¹. ამასთან, საქმის გარემოებანი, რომლებიც კანონის თანახმად, უნდა დადასტურდეს გარკვეული სახის მტკიცებულებებით, არ შეიძლება დადასტურდეს სხვა სახის მტკიცებულებებით⁷².

1.3. თავისებურება საოჯახო საქმეებზე

საოჯახო საქმეთა განხილვის დროს გამოიყენება, მტკიცების ტვირთის განაწილების⁷³, როგორც ზოგადი წესი, ისე - სპეციალური წესი. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი არეგულირებს სასარჩელო და არასასარჩელო წარმოების სახეებს. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მეშვიდე კარით რეგულირებული სამართალწარმოებისათვის დამახასიათებელი თავისებურებებით დაინტერესება გამოწვეულია ამ კატეგორიის საქმეებზე „მტკიცების ტვირთის განაწილების არატრადიციული, არაკლასიკური სახით, რომელიც წარმოდგენილია შერეული ფორმით“⁷⁴.

საოჯახოსამართლებრივი ურთიერთობიდან წარმოშობილი საქმეების განხილვა ცალკე თავის სახით არის გამოყოფილი, რადგან მას ახასიათებს გარკვეული თავისებურებები. ამ სფეროში განაპირობებს, საოჯახო ურთიერთობების

⁷¹ *ლილუაშვილი თ., ხრუსტალი ვ.*, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის კომენტარი, გამომცემლობა „სამართალი“, თბილისი, 2007 წელი, 200-202.

⁷² იქვე: 203.

⁷³ *Eemeren F., Krabbe E., Jacobs S., Woods J.*, ARGUMENTATIVE INDICATORS IN DISCOURSE, Published by Springer, P.O. Box 17, 3300 AA Dordrecht, The Netherland, 2007 y. 63.

⁷⁴ *ქირია გ.*, რეკეტული ქონების ან ქურდული სამყაროს წევრის ქონების ჩამორთმევისა და სახელმწიფოსათვის გადაცემასთან დაკავშირებული წარმოების კომენტარი საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მიხედვით, გრიგოლ რობაქიძის სახელმწიფო უნივერსიტეტი, 2006 წელი, 26. წიგნიდან: *გაგუა ი.*, სადისერტაციო ნაშრომი, მტკიცების ტვირთი სამოქალაქო საპროცესო სამართალში, 2012 წელი, 96.

უპირატესად პირადული და განგრძობადი ხასიათი. მნიშვნელოვანია, რომ ოჯახთა განვითარების ისტორიაში ორგინალური ფენომენია რომაული ოჯახი. კერძოდ, ეს არის სამოქალაქო ოჯახი, რომელიც აგებულია არა იმდენად სისხლით ნათესობის პრინციპზე, რამდენადაც მამის ძალაუფლების ქვეშ გაერთიანების პრინციპზე. მოცემულ შემთხვევაში, ოჯახის არსებას აფუძნებდა მამის ძალაუფლება, ოჯახის წევრად ითვლებოდა ის, ვინც მამის ძალაუფლების ქვეშ იყო და შესაბამისად, მემკვიდრეობის უფლებითაც იგი სარგებლობდა⁷⁵.

ერთ-ერთ ფუნდამენტურ თავისებურებას, სხვა კატეგორიის საქმეთა განხილვისაგან განსხვავებით, წარმოადგენს ინკვიზიციურობის პრინციპის უფრო ფართოდ გამოყენება. შესაბამისად, სასამართლოს, რომელიც იხილავს კონკრეტულ საოჯახო სამართლებრივ დავას უფლება აქვს სსკ-ის მე-4 მუხლის მე-2 ნაწილისა და 354-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, არ დასჯერდეს მხოლოდ მხარეთა მიერ წარმოდგენილ მტკიცებულებებს და თავისი ინიციატივით განსაზღვროს იმ გარემოებათა წრე⁷⁶, რომელთა დადგენის გარეშე შეუძლებელია საქმის სწორად გადაწყვეტა (მტკიცების საგანი), მაშინ, როცა ჩვეულებრივ შემთხვევაში მხარე თვითონ მიუთითებს დასადგენ გარემოებებზე და წარადგენს მათ დასადასტურებლად მტკიცებულებებს⁷⁷. ამასთან, მხარეთა ახსნა-განმარტების მოსმენის შემდეგ თვითონ გამოითხოვს მტკიცებულებებს, რომლებზედაც მხარეებს არ მიუთითებიათ, მაგრამ ამ მტკიცებულებებს მნიშვნელობა აქვს მტკიცების საგანში შემავალ დასადგენ გარემოებათა დასადასტურებლად. საინტერესოა, სასამართლო მტკიცებულებათა გამოთხოვას რატომ ახორციელებს მხარეთა ახსნა-განმარტების შემდგომ და არა მანამდე. მხარეთა ახსნა-განმარტება არის მტკიცებულების ერთ-ერთი სახე (სსკ-ის 102-ე მუხლი მე-2 ნაწილი). ამასთან, საქმისათვის მნიშვნელობის მქონე გარემოებების დადგენის პროცესი იწყება მხარეთა (მესამე პირთა, თანამონაწილეთა, კანონისმიერ წარმომადგენელთა) ახსნა-განმარტების მიღებით: მხარეები იძლევიან ახსნა-განმარტებებს მათთვის ცნობილი და საქმისათვის მნიშვნელობის მქონე გარემოებათა შესახებ (სსკ-ის 127-ე მუხლი 1-ლი ნაწილი). მოყვანილი ნორმის ანალიზიდან გამომდინარე, გარიგებითი წარმომადგენლის მიერ დაფიქსირებულ ინფორმაციას ვერ განვიხილავთ, როგორც ახსნა-განმარტებას,

⁷⁵ ზოიძე ბ., ძველი ქართული ქართული მემკვიდრეობითი სამართალი, თბილისი, 2000 წელი, 31.

⁷⁶ ლილუაშვილი თ., ხრუსტალი ვ., სამოქალაქო საპროცესო კოდექსის კომენტარი, გამომცემლობა „სამართალი“, თბილისი, 2007 წელი, 599.

⁷⁷ საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილება, საქმე Nას-1011-931-2017, 16 იანვარი, 2018 წელი. გადაწყვეტილება ხელმისაწვდომია საქართველოს უზენაესი სასამართლოს ოფიციალურ ვებ-გვერდზე <<http://prg.supremecourt.ge/DetailViewCivil.aspx>> (31.05.2019).

იმიტომ, რომ მხარე - ეს არის პირი, რომელიც სადავო სამართლებრივი ურთიერთობის უშუალო მონაწილეა. ამიტომ, მან ყველაზე კარგად უნდა იცოდეს იმ გარემოებათა შესახებ, რომლებსაც მნიშვნელობა აქვს საქმისთვის. სწორედ, ამგვარი გარემოებები ხდება ცნობილი სასამართლოსთვის მხარეთა ახსნა-განმარტების მოსმენისას, რის შემდგომაც გამოითხოვს მოცემულ გარემოებათა დამადასტურებელ მტკიცებულებებს⁷⁸.

ერთ-ერთ საქმეზე⁷⁹ სასამართლო განმარტავს, რომ სასამართლო უფლებამოსილი იყო, თავისი ინიციატივით განესაზღვრა საქმეზე დასადგენ გარემოებათა წრე, მოსარჩელის იურიდიული ინტერესის დადგენის შემდეგ ჩამოეყალიბებინა მიკუთვნებითი მოთხოვნა და ისე განესაზღვრა იმ პირთა წრე, რომლებსაც პასუხი უნდა ეგოთ სარჩელზე (საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 354-ე მუხლის პირველი ნაწილი). გარდა ამისა, მას შეეძლო, თვითონ გამოეთხოვა მტკიცებულებები, რომლებზედაც მხარეებს არ მიუთითებიათ. იმ გარემოების გათვალისწინებით, რომ არასრულწლოვნის მშობლებმა (კანონიერმა წარმომადგენლებმა) დაარღვიეს შვილის ქონებრივი უფლებები, იპოთეკით დატვირთეს მისი ქონება, რამაც შემდგომში მისი რეალიზაცია და მასზე მოსარჩელის საკუთრების უფლების დაკარგვა განაპირობა, ვლინდება ინტერესთა კონფლიქტი ბავშვსა და მშობლებს შორის⁸⁰. შესაბამისად, სასამართლომ მოსარჩელეს უნდა დაუნიშნოს სპეციალური წარმომადგენელი ამ საქმის წარმოების მიზნებისათვის მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოს სახით. ამასთან, საოჯახო საქმეთა განხილვის პროცესუალური თავისებურება სასამართლო ინკვიზიციურობაა რაც იმას ნიშნავს, რომ სასამართლოს შეუძლია, თავად განსაზღვროს დასადგენ გარემოებათა წრე, რათა მიღწეულ იქნას საქმეზე ჭეშმარიტება⁸¹.

იმ შემთხვევაში, თუკი არსებობს ეჭვი, რაც სასწრაფო რეაგირებას მოითხოვს მშობლის უფლების არასწორად გადაწყვეტისა, ყველა ორგანო, მათ შორის

⁷⁸ ლილუაშვილი თ., ხრუსტალი ვ., სამოქალაქო საპროცესო კოდექსის კომენტარი, გამომცემლობა „სამართალი“, თბილისი, 2007 წელი, 234.

⁷⁹ თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2016 წლის 13 ივლისის განჩინება, საქმე N28/3459-16, 15. გადაწყვეტილება ხელმისაწვდომია თბილისის სააპელაციო სასამართლოს ოფიციალურ ვებ-გვერდზე <<http://library.court.ge/judgements/80912016-09-14.pdf>> (16.06.2019).

⁸⁰ Parkinson P., Family Law and the Indissolubility of Parenthood, Published by cambridge university press, 2011 y. 164.

⁸¹ საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2018 წლის 21 სექტემბრის გადაწყვეტილება Nას-1027-2018, გადაწყვეტილება ხელმისაწვდომია უზენაესი სასამართლოს ოფიციალურ ვებ-გვერდზე <<http://prg.supremecourt.ge/DetailViewCivil.aspx>> (16.06.2019).

უპირველესად, სასამართლო, რომელსაც კანონით სწორედ ამიტომ განესაზღვრა ფაქტობრივი გარემოებებისა გამოკვლევის ინკვიზიციური უფლება, ვალდებულია მიიღოს კანონით გათვალისწინებული ზომები ბავშვის უფლებების დასაცავად და აქტიურად ჩართოს კომპეტენტური ორგანოები ამ მდგომარეობის გამოსასწორებლად. დავის გადაწყვეტისას ყურადსაღებია სკ-ს 1198-ე მუხლის დანაწესი, რომელიც ავალდებულებს მეურვეებისა და მზრუნველობის ორგანოს აქტიურად ჩაერთონ არასრულწლოვანთა უფლებების დასაცავად და არა ზოგადი დაკვირვებებითა და მხოლოდ საცხოვრებელი პირობების შესწავლით შემოიფარგლოს⁸².

სხვა საქმეზე⁸³, რომელშიც დავა არ იყო საოჯახო-სამართლებრივი ტიპის სასამართლო განმარტავს, რომ სამოქალაქო სამართალწარმოებაში სასამართლო მოკლებულია ინკვიზიციურობას და ხელმძღვანელობს შეჯიბრობითობის პრინციპით⁸⁴, რაც გადაწყვეტი და განმსაზღვრელია სამოქალაქო დავისას მხარის მიერ მისივე პროცესუალური აქტიურობით თავისთვის ხელსაყრელი შედეგის მისაღწევად. სამოქალაქო სამართალწარმოება მიმდინარეობს შეჯიბრობითობის საფუძველზე, რაც გულისხმობს მოდავე მხარეთა აქტიურობას სადავო ფაქტების დამტკიცების ფარგლებში, ხოლო სასამართლოს აქტივობა ამა თუ იმ ფაქტის მტკიცების წრეში შეზღუდულია მხარეთა მიერ წარმოდგენილი მტკიცებულებებით. შესაბამისად, სამოქალაქო წესით დავის წარმოებისას ამოსავალი პრინციპი სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობის მიხედვით, ფაქტობრივ გარემოებათა მტკიცების ტვირთის მხარეებზე გადატანაა.

ამდენად, სსკ-ს 354-ე მუხლის 1-ლი ნაწილი, სასამართლოს ანიჭებს ორ სხვადასხვა უფლებამოსილებას პროცესუალური თვალსაზრისით, რომლის თანახმად, ამ კატეგორიის საქმეთა განხილვის დროს სასამართლოს შეუძლია: ა) თავად განსაზღვროს მტკიცების საგანი ე.ი. სადავო იურიდიული მნიშვნელობის ფაქტები; ბ) თავისი ინიციატივით გამოითხოვოს მტკიცებულებები, რომლებზეც

⁸² საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილება, საქმე Nას-211-203-2012, 22 იანვარი, 2013 წელი. გადაწყვეტილება ხელმისაწვდომია საქართველოს უზენაესი სასამართლოს ოფიციალურ ვებ-გვერდზე <<http://prg.supremecourt.ge/DetailViewCivil.aspx>> (31.05.2019).

⁸³ საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილება, საქმე Nას-1239-1184-2013, 28 აპრილი, 2014 წელი. ხელმისაწვდომია საქართველოს უზენაესი სასამართლოს ოფიციალურ ვებ-გვერდზე <<http://prg.supremecourt.ge/DetailViewCivil.aspx>> (31.05.2019).

⁸⁴ *Mareshin D.*, THE RUSSIAN STYLE OF CIVIL PROCEDURE, Published by Emory International Law Review, 2007, 543.

მხარეებს არ მიუთითებიათ, მაგრამ აქვთ მნიშვნელობა მტკიცების საგანში შემავალი ფაქტების დასადგენად.

საოჯახო საქმეთა განხილვისას დაშვებული ინკვიზიციისას⁸⁵, საგულისხმოა, რომ ამ დანაწესის გამოყენებისას არ უნდა იქნას დარღვეული მხარეთა თანასწორობის სამართლიანი ბალანსი. თანასწორობა, როგორც კანონისმიერი პროცესუალური ღირებულება განმტკიცებულია სსკ-ს მე-5 მუხლში, რომლისგანაც გამომდინარეობს სამი დამოუკიდებელი პრინციპი, მართლმსაჯულების განხორციელება მხოლოდ სასამართლოს მიერ; კანონის წინაშე ყველა პირის თანასწორობა; სასამართლოს წინაშე ყველა პირის თანასწორობა⁸⁶.

საყურადღებოა, რომ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 354-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული დებულება არის სპეციალური ნორმა და მას უპირატესობა ენიჭება ამავე კოდექსის 103-ე მუხლით გათვალისწინებულ ზოგად ნორმასთან შედარებით⁸⁷.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის XLIII თავით განსაზღვრულია საოჯახოსამართლებრივი ურთიერთობიდან წარმოშობილი დავების განხილვა ინკვიზიციურობის პრინციპით, მაგრამ აღნიშნული არ გულისხმობს იმას, რომ მხარე გათავისუფლებულია მის მიერ წარმოდგენილი ფაქტებისა და გარემოებების მტკიცების ტვირთისაგან⁸⁸. ამ თვალსაზრისით, სანტერესოა, ერთ-ერთი გადაწყვეტილება, რომელიც შეეხებოდა განქორწინების დავას, სადაც განმარტებულია, რომ „სადავო გარემოების დადასტურებასთან დაკავშირებით, სამოქალაქო სამართლისა და საპროცესო სამართალში მოქმედი მტკიცების ტვირთის სამართლიანი და ობიექტური განაწილების სტანდარტი, კერძოდ, მოქმედი კანონმდებლობა თითოეულ მოდავე მხარეს ავალებს იმ გარემოების მტკიცების ტვირთს, რომლებსაც იგი საკუთარი მოთხოვნის საფუძვლად

⁸⁵ საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილება, საქმე Nას-749-701-2017, 29 სექტემბერი, 2017 წელი. გადაწყვეტილება ხელმისაწვდომია საქართველოს უზენაესი სასამართლოს ოფიციალურ ვებ-გვერდზე <<http://prg.supremecourt.ge/DetailViewCivil.aspx>> (31.05.2019).

⁸⁶ *ლილუაშვილი თ., ხრუსტალი ვ.*, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის კომენტარები, გამომცემლობა „სამართალი“, თბილისი, 2007 წელი, 9.

⁸⁷ საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილება, საქმე Nას-53-51-2016, 6 ივლისი, 2016 წელი. გადაწყვეტილება ხელმისაწვდომია საქართველოს უზენაესი სასამართლოს ოფიციალურ ვებ-გვერდზე <<http://prg.supremecourt.ge/DetailViewCivil.aspx>> (31.05.2019).

⁸⁸ საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილება, საქმე N ას-929-894-2016, 12 ივნისი, 2017 წელი. გადაწყვეტილება ხელმისაწვდომია საქართველოს უზენაესი სასამართლოს ოფიციალურ ვებ-გვერდზე <<http://prg.supremecourt.ge/DetailViewCivil.aspx>> (31.05.2019).

უთითებს (სსკ-ის 102-ე მუხლი). ამასთან, მტკიცების მოვალეობა ეკისრება იმ მხარეს, რომელიც ამა თუ იმ ფაქტის არსებობას ამტკიცებს და არა მოწინააღმდეგეს, რომელიც ასეთს უარყოფს⁸⁹. ასევე, მტკიცების ტვირთის განაწილების ზოგად წესზე უთითებს სასამართლო, მეუღლეთა ქონების განაწილებასა და საერთო ვალების დაფარვასთან დაკავშირებულ დავაზე⁹⁰.

III. საოჯახო საქმეთა განხილვის სფერო

1. ინკვიზიციის გავრცელება ყველა ტიპის საოჯახო დავაზე ?!

სამოქალაქო სამართლის პროცესი, ანუ სამოქალაქო სამართალწარმოება სახეობად იყოფა იმის მიხედვით, თუ რა კატეგორიის საქმეები განიხილება სასამართლოში. ვინაიდან, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო სამართალი არეგულირებს განსხვავებული უფლებებისა და ინტერესების სასამართლო დაცვის წესს, ამ საქმეების მატერიალურსამართლებრივი ბუნება, ბევრ შემთხვევაში, გავლენას ახდენს მათი განხილვის პროცედურასა და ფორმაზე⁹¹. აღნიშნულიდან გამომდინარე, მოქმედი სამოქალაქო საპროცესო კოდექსით გათალისწინებულია ოთხი სახის წარმოება: სასარჩელო წარმოება, გამარტივებული წარმოება, უდავო წარმოება, საოჯახო ურთიერთობიდან წარმოშობილი საქმეების წარმოება. საოჯახოსამართლებრივი ურთიერთობიდან წარმოშობილი საქმეების განხილვა ხდება სამოქალაქო საპროცესო კოდექსით დადგენილი წესით. ამასთან, ცალკე თავის სახითაა გამოყოფილი საოჯახო-სამართლებრივი ურთიერთობიდან წარმოშობილი დავები, რომლებსაც, როგორც უკვე აღინიშნა, გარკვეული თავისებურებები ახასიათებს⁹².

საოჯახო საქმეთა მთავარი სფერო ის არის, რომ მნიშვნელოვნად გამოიყენება ინკვიზიციურობის (სამძებრო) პრინციპი, რაც გულისხმობს შემდეგს:

⁸⁹ საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილება, საქმე Nას-749-717-2016, 12 ოქტომბერი, 2016 წელი. გადაწყვეტილება ხლემისაწვდომია, უზენაესი სასამართლოს ოფიციალურ ვებ-გვერდზე <<http://prg.supremecourt.ge/DetailViewCivil.aspx>> (05.06.2019).

⁹⁰ საქართველოს უზენაესი სასამართლოს განჩინება, საქმე Nას-605-579-2016, 17 თებერვალი, 2017 წელი. გადაწყვეტილება ხლემისაწვდომია, უზენაესი სასამართლოს ოფიციალურ ვებ-გვერდზე <<http://prg.supremecourt.ge/DetailViewCivil.aspx>> (05.06.2019).

⁹¹ კობახიძე ა., სამოქალაქო საპროცესო სამართალი, გამომცემლობა „საქართველოს მაცნე“, თბილისი, 2003 წელი, 23-24.

⁹² ბასილაია გ., საოჯახო საქმეთა განხილვის თავისებურებანი და დაუსწრებელი გადაწყვეტილება, ჟურნალი „მართლმსაჯულება და კანონი“, საქართველოს მოსამართლეთა ასოციაცია, N4 (23), 2009, 30. წიგნიდან: ლილუაშვილი თ., სამოქალაქო საპროცესო სამართალი, II გამოცემა, თბილისი, 2005 წელი, 354.

სასამართლოს თავად შეუძლია განსაზღვროს მტკიცების საგანი, თვითონ გამოითხოვოს მტკიცებულებები, რომლებზედაც მხარეებს არ მიუთითებიათ.

ამასთან, საოჯახო-სამართლებრივი ურთიერთობები, მართალია, განეკუთვნება კერძო სამართლებრივი ურთიერთობის სფეროს, მაგრამ ამ ურთიერთობების განვითარებითა და სიმტკიცით დაინტერესებულია მთელი საზოგადოება⁹³.

მოსარჩელეს შეუძლია, სარჩელში გააერთიანოს სასამართლოს განსჯადი რამდენიმე მოთხოვნა ერთიდაიგივე მოპასუხის მიმართ, იმისგან დამოუკიდებლად, ერთსა და იმავე საფუძველს ემყარება თუ არა ეს მოთხოვნები⁹⁴. განსხვავებით სარჩელების სუბიექტური გაერთიანებისა, რომელიც წარმოშობს თანამონაწილეობას, მოცემული დანაწესი ითვალისწინებს სარჩელის ობიექტური განაწილების შესაძლებლობას ერთი და იმავე მოპასუხის მიმართ. ამ უფლების რეალიზაცია დასაშვებია, თუ ყველა მოთხოვნა ცალ-ცალკე აღებული ამ სასამართლოს განსჯადია და სარჩელი აღძრულია ერთიდაიმავე მოპასუხის მიმართ⁹⁵. საოჯახო-სამართლებრივი ურთიერთობიდან წარმოშობილი სამართლებრივი საქმეები არ შეიძლება განიხილებოდეს სხვა ხასიათის მოთხოვნების შესახებ აღძრულ საქმეებთან ერთად (სსკ-ის 354-ე მუხლის მე-2 ნაწილი). მოცემულ ნორმებს, თუ განვიხილავთ ერთობლიობაში, მივალთ იმ დასკვნამდე, რომ საოჯახო-სამართლებრივი დავების განხილვის დროს ასეთი გაერთიანება, შეერთება რამდენიმე მოთხოვნის დასაშვებია, მხოლოდ ერთი პირობით - თუ ეს მოთხოვნები საოჯახო-სამართლებრივი ურთიერთობიდან წარმოიშვა⁹⁶.

დასადგენი და შესფასებელია, თუ რა ტიპის საოჯახო დავებზე ვრცელდება სსკ-ის 354-ე მუხლი. არ არის გამორიცხული, რომ ეს ნორმა ყველა ტიპის საოჯახო-სამართლებრივ დავაზე ვრცელდება ამ დასკვნამდე მისვლა შესაძლებელია ნორმის გრამატიკული განმარტებიდან⁹⁷ გამომდინარე. თუმცა, ნორმის მოქმედების არეალი ვიწროა და ძირითადად, ეს ნორმა საოჯახო

⁹³ *ლილუაშვილი თ., ხრუსტალი ვ., ძლიერიშვილი ზ.*, სამოქალაქო საპროცესო სამართალი, I ნაწილი, გამომცემლობა „მერიდიანი“, თბილისი, 2014 წელი, 384.

⁹⁴ *ლილუაშვილი თ., ხრუსტალი ვ.*, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის კომენტარები, გამომცემლობა „სამართალი“, თბილისი 2007 წელი, 164.

⁹⁵ იქვე: 314.

⁹⁶ *ქურდაძე შ., ხუნაშვილი ნ.*, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო სამართალი, გამომცემლობა „მერიდიანი“, თბილისი, 2012 წელი, 530.

⁹⁷ გრამატიკული განმარტება ორიენტირებულია განსამარტავი სამართლებრივი შემადგენლობის სიტყვა-სიტყვით აღქმაზე.

საქმეებზე მაშინ უნდა გამოვიყენოთ, როდესაც გადაწყვეტილებით განისაზღვრება ბავშვის უფლებები⁹⁸. საკვანძო ნორმა უნდა განიმარტოს ტელეოლოგიურად და სისტემურ-ლოგიკურად⁹⁹ ამ თავში მოცემულ ნორმებთან ერთობლიობაში. ცხადია, ყველა ნორმის დისპოზიციის გადმოწერა არარელევანტურია, მაგრამ მთავარი ისაა, რომ თითქმის, აღნიშნულ თავში, ყველა მომდევნო ნორმა კონცენტრირებულია ბავშვის უფლებებსა და ინტერესებზე. ბავშვის უფლებათა შესახებ კონვენციის დებულებები, რომლებიც იმპლემენტირებულია ეროვნულ კანონმდებლობაში, უპირველესად ბავშვის ინტერესების უპირატესობას აღიარებს¹⁰⁰. ამასთან, ბავშვთან დაკავშირებით გადაწყვეტილების მიღებისას სასამართლომ აპრიორი პრიორიტეტი უნდა მიანიჭოს და მოქმედებდეს ბავშვის ინტერესებში. სწორედ ამიტომ, მიანიჭა კანონმდებელმა სასამართლოს სსკ-ის 354-ე მუხლით გათვალისწინებული დიდი უფლებამოსილება, რათა სრულფასოვნად მოხდეს ბავშვის ინტერესებისა და უფლებების ჯეროვანი განხორციელება¹⁰¹.

ბავშვის უფლებასთან დაკავშირებულ საკითხებზე სამართალწარმოებისას სასამართლო ხელმძღვანელობს სსკ-ის 352-ე და 354-ე მუხლებით, რომელთა საფუძველზე დადგენილია საოჯახო საქმეთა განხილვის თავისებურებანი და სასამართლოს მიერ მხარეთა პრეტენზიების არარსებობის პირობებშიც კი, ბავშვის საუკეთესო და უპირატესი ინტერესების გათვალისწინებით, სასამართლო ხელმძღვანელობს სამართალწარმოების ინკვიზიციურობის პრინციპით¹⁰².

საოჯახო საქმეთა განხილვის პროცესუალური თავისებურება სასამართლო ინკვიზიციურობაა, რაც იმას ნიშნავს, რომ სასამართლოს შეუძლია, თავად განსაზღვროს დასადგენ გარემოებათა წრე, რათა მიღწეულ იქნას საქმეზე

⁹⁸ საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2018 წლის 16 იანვრის გადაწყვეტილება Nას-1011-931-2017. გადაწყვეტილება ხელმისაწვდომია საქართველოს უზენაესი სასამართლოს ოფიციალურ ვებ-გვერდზე <<http://prg.supremecourt.ge/DetailViewCivil.aspx>> (16.06.2019).

⁹⁹ მის კრიტერიუმს წარმოადგენს ნორმის განსამარტავი შემადგენლობის (ცნების) ადგილი კანონის სისტემატიკაში. ნორმები უნდა განიმარტოს იმგვარად, რომ აიგოს მწყობრი (არაურთიერთწინააღმდეგობრივი) სისტემა.

¹⁰⁰ *Guggenheim M.*, What's Wrong with Children's Rights, Published by HARVARD UNIVERSITY PRESS, 2005 y. 35.

¹⁰¹ ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილება, საქმე No.1638/03 MASLOV v. AUSTRIA, 23 ივნისი, 2008 წელი.

¹⁰² საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილება, საქმე Nას-1273-2018, 14 დეკემბერი, 2018 წელი. გადაწყვეტილება ხელმისაწვდომია საქართველოს უზენაესი სასამართლოს ოფიციალურ ვებ-გვერდზე <<http://prg.supremecourt.ge/DetailViewCivil.aspx>> (01.06.2019).

ჭემმარიტების დადგენა, რა დროსაც გასათვალისწინებელია ბავშვის ინტერესთა უპირატესობის პრინციპი¹⁰³. ერთ-ერთ სხვა საქმეზე უზენაესი სასამართლო ხაზგასმით აღნიშნავს, რომ საოჯახო დავა განხილვა სსკ-ს 352-356-ე მუხლებით დაშვებული ინკვიზიციურობის გათვალისწინებით, არასრულწლოვანთა საუკეთესო ინტერესების გამორკვევის მიზნით¹⁰⁴.

ამასთან, არსებობს სასამართლოს გადაწყვეტილებები, რომლებშიც მითითებულია ინკვიზიციურობის პრინციპის არ არსებობაზე სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობაში¹⁰⁵. ცხადია, სასამართლოს ამგვარი მიდგომა არაა გასათვალისწინებელი, მით უფრო იმ პირობებში, რომ ინკვიზიციის ელემენტებითაა გაჯერებული სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მთელი რიგი ნორმები, რომელთა შესახებ ზემოთ აღნიშნულია. ამასთან, საოჯახო საქმეთა თავისებურება სწორედ ისაა, რომ ინკვიზიციური ბუნებისაა. ცხადია, საოჯახო საქმეებთან დაკავშირებით, გამოიყენება, რა თქმა უნდა, დისპოზიციურობის და შეჯიბრებითობის პრინციპი და მათ პარალელურად, ამ კატეგორიის საქმეების განხილვისათვის დამახასიათებელი თავისებურებების გამო, აქ აგრეთვე, გამოიყენება სამძებრო, ანუ ინკვიზიციურობის პრინციპი¹⁰⁶. ამდენად, სასამართლო პრაქტიკის ანალიზის საუფუძველზე, ძირითადად, ინკვიზიციურობის პრინციპი საოჯახო საქმეთა განხილვისას გამოიყენება მხოლოდ ისეთი საოჯახო საქმეების კატეგორიაზე, სადაც ბავშვის ინტერესები ფიგურირებს, რაც იმთავითვე მისაღები და გასაზიარებელია. უფრო მეტიც, სასამართლომ ყოველი კონკრეტული საქმის განხილვისას, საოჯახო საქმეზე, უნდა გამოარკვიოს არასრულწლოვანი ბავშვის საუკეთესო ინტერესი, რაც აპრიორი უზრუნველყოფს სამართლიანი გადაწყვეტილების მიღებას¹⁰⁷.

¹⁰³ საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილება, საქმე Nას-1231-2018, 30 ნოემბერი, 2018 წელი. გადაწყვეტილება ხელმისაწვდომია საქართველოს უზენაესი სასამართლოს ოფიციალურ ვებ-გვერდზე <<http://prg.supremecourt.ge/DetailViewCivil.aspx>> (01.06.2019).

¹⁰⁴ საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილება, საქმე Nას-1210-1130- 2017, 7 მარტი 2018 წელი. გადაწყვეტილება ხელმისაწვდომია საქართველოს უზენაესი სასამართლოს ოფიციალურ ვებ-გვერდზე <<http://prg.supremecourt.ge/DetailViewCivil.aspx>> (01.06.2019).

¹⁰⁵ საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებები: საქმე Nას-552-552-2018, 4 ივლისი, 2018 წელი; საქმე Nას-1117-1051-2015, 20 იანვარი, 2016 წელი. გადაწყვეტილებები ხელმისაწვდომია საქართველოს უზენაესი სასამართლოს ოფიციალურ ვებ-გვერდზე <<http://prg.supremecourt.ge/DetailViewCivil.aspx>; <<http://prg.supremecourt.ge/DetailViewCivil.aspx>> (01.06.2019).

¹⁰⁶ გავუა ი., სადისერტაციო ნაშრომი, მტკიცების ტვირთი სამოქალაქო საპროცესო სამართალში, 2012 წელი, 99.

¹⁰⁷ Goldstein J., Freud A., Solnit A., the Best Interests of the Child, Published by Free Press, New York, 1979 y, 50.

ამასთან, გარკვეულ სასამართლოს გადაწყვეტილებებსა და დოქტრინაში, ხშირ შემთხვევაში, მითითებულია ზოგადი სახით, რომ საოჯახო საქმეებზე ვრცელდება ინკვიზიცია, რაც, რა თქმა უნდა, საჭიროებს უფრო მეტ კონკრეტიკას. შესაბამისად, სასამართლოსთვის სახელმძღვანელო პრინციპი უნდა იყოს ბავშვის საუკეთესო ინტერესებში მოქმედება, რაც ნაკარნახევია ეროვნული კანონმდებლობიდან, საერთაშორისო სამართლებრივი აქტებიდან, სასამართლო პრაქტიკიდან.

2. მოწესრიგება გერმანული კანონმდებლობით

საოჯახო საქმეთა განხილვისას პროცესის გაჭიანურების თავიდან აცილების მიზნით, გერმანიის სამოქალაქო საპროცესო კოდექსი სასამართლოს აძლევს უფლებას გაუძღვეს საქმისწარმოებას¹⁰⁸. ეს ნიშნავს, რომ სასამართლო არსებით გავლენას ახდენს საქმის მიმდინარეობაზე და პროცესის შედეგებზე სასამართლო საქმის მიმდინარეობის ნებისმიერ ეტაპზე უზრუნველყოფს, რომ მხარეებმა წარადგინონ განმარტებები და შესაბამისი შუამდგომლობები. სასამართლოს ეკისრება ვალდებულება, მხარეებს მისცეს განმარტებები, რომლითაც ისინი გადალახავენ დისპოზიციურობისა და შეჯიბრებითობის პრინციპიდან გამომდინარე სიძნეელებს¹⁰⁹. თუმცა, იმავდროულად მხარეები თავისუფლად გადაწყვეტენ აპირებენ თუ არა მოსამართლის განმარტებების გათვალისწინებასა და გამოყენებას¹¹⁰.

თუკი, პარალელს გავავლებთ ეროვნულ კანონმდებლობასთან დავინახავთ, რომ მსგავსი შინაარსის მოწესრიგება გვაქვს, კერძოდ, მოქმედი კანონმდებლობის მიხედვით, მოსამართლე საოჯახო სამართლებრივი დავის განხილვის დროს უშუალოდ თვითონ განსაზღვრავს დასადგენ გარემოებათა წრეს და საჭიროების შემთხვევაში მას მტკიცებულებათა გამოთხოვის უფლება აქვს. ასევე, მტკიცების საგნის განსაზღვრის შემდეგ, ის გარემოებები, რაც მხარეებმა უნდა დაამტკიცოს,

¹⁰⁸ *Давтян А. Г.*, Гражданское процессуальное право Германии, М., 2000, 41-44.

¹⁰⁹ საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილება, საქმე №ს-198-2019, 28 მაისი, 2019 წელი. გადაწყვეტილება ხელმისაწვდომია უზენაესი სასამართლოს ოფიციალურ ვებ-გვერდზე <<http://prg.supremecourt.ge/DetailViewCivil.aspx>> (05.06.2019).

¹¹⁰ *გაგუა ი.*, სადისერტაციო ნაშრომი, მტკიცების ტვირთი სამოქალაქო საპროცესო სამართალში, 2012 წელი, 98. ნაშრომიდან: *Grunsky W.*, Zivilprozessrecht, München, 11 Aufl, 2003, 36; *Luke W.*, Zivilprozessrecht, München, 8 Aufl, 2003, 5.

მოსამართლე ვალდებულია მიუთითოს მხარეებს ისეთ მტკიცებულებებზე, რომლებითაც მხარეები დადასტურდებენ გარემოებებს¹¹¹.

3. ბავშვის საუკეთესო ინტერესები

ბავშვის საუკეთესო ინტერესების დაცვა განსაზღვრულია, როგორც ეროვნული კანონმდებლობით, ისე საერთაშორისო სამართლებრივი აქტებით¹¹².

საქართველოს კონსტიტუციის 30-ე მუხლის მე-2 პუნქტის მიხედვით, „ბავშვთა უფლებები დაცულია კანონით“, რომელშიც მოაიზრება ის საკანონმდებლო ბაზა, რაც ამ კუთხით მოქმედებს.

სამოქალაქო კოდექსის 1199-ე მუხლის თანახმად, „მშობლების უფლებები არ უნდა განხორციელდეს ისე, რომ ამით ზიანი მიადგეს ბავშვის ინტერესებს.“ შვილების ინტერესში იგულისხმება ზნეობისა და კანონის მოთხოვნათა შესაბამისად მათ აღზრდასთან დაკავშირებული ყველა ინტერესი¹¹³.

ამასთან, უნდა აღინიშნოს, რომ სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 352-356-ე მუხლები წარმოადგენს ბავშვის საუკეთესო ინტერესების გამორკვევის პროცესუალურსამართლებრივ მექანიზმს. სწორედაც, რომ მოყვანილი ნორმების რეგლამენტირებით კანონმდებელმა შექმნა ბავშვის ინტერესების დაცვის მაღალი სტანდარტი საოჯახო საქმის განხილვისას. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის აღნიშნული ნორმები სრულად შეესაბამება ბავშვთა უფლებების შესახებ კონვენციით ბავშვთა უფლებების დამცავ ნორმებს, რომლებიც ერთმნიშვნელოვნად ადგენს ბავშვის ინტერესების დაცვის პრიორიტეტს. ამასთან, ეს ინტერესი არ შეიძლება ვიწროდ იქნეს გაგებული¹¹⁴.

არ არის გამორიცხული, რომ მშობლების მხრივ, შვილების ინტერესების საწინააღმდეგო მოქმედებამ გამოიწვიას შესაბამისი პასუხიმგებლობა. მშობლის

¹¹¹ Christian W., Zeibig N., Evidence in civil law, Germany, published 2015 by Institute for Local Self Government and Public Procurement Maribor, 10, 13.

¹¹² Falch-Eriksen A., Backe-Hansen E., Human Rights in Child Protection, Norway 2018 y, 31-32.

¹¹³ შენგელია რ., შენგელია ე., საოჯახო და მემკვიდრეობის სამართალი, გამომცემლობა „მერიდიანი“, თბილისი, 2017 წელი, 172.

¹¹⁴ საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილება, საქმე Nას-1062-996-2012, 22 იანვარი, 2013 წელი. გადაწყვეტილება ხელმისაწვდომია უზენაესი სასამართლოს ოფიციალურ ვებ-გვერდზე <<http://prg.supremecourt.ge/DetailViewCivil.aspx>> (05.06.2019).

უფლება-მოვალეობანი, ძირითადად, ბავშვის პირადად აღზრდის უფლებითაა განპირობებული, ისინი მშობლებს გააჩნიათ ბავშვის სრულწლოვანებამდე. სრულწლოვანების შემდეგ შვილი სრული ქმედუნარიანი¹¹⁵ ხდება და მშობლის მიერ მათი აღზრდისა და ინტერესების დაცვის აუცილებლობა აღარ არსებობს. ამასთან, შვილების აღზრდასთან დაკავშირებულ უფლება-მოვალეობებს მშობლები ურთიერთშეთანხმებით ახორციელებენ და ბავშვის აღზრდა ოჯახის ძირითადი ამოცანაა. ბავშვი ეკუთვნის არა მარტო მშობლებს, არამედ მთელ საზოგადოებას, სახელმწიფოს. ამიტომ ბავშვის აღზრდა განიხილება, როგორც დიდმნიშვნელოვანი სახელმწიფო საქმე და მიიჩნევა არა მარტო ზნეობრივ, არამედ სამართლებრივ მოვალეობადაც¹¹⁶.

3.1. მოწესრიგება უცხოური სამართლით

3.1.1. საერთაშორისო კონვენციები და ევროპული სასამართლოს პრეცედენტული გადაწყვეტილებები

ბავშვთა უფლებების დაცვის პრიორიტეტულ განხორციელებას საფუძვლად დაედო გაერთიანებული ერების ორგანიზაციის 1989 წლის კონვენცია ბავშვის უფლებების შესახებ და 1993 წლის ჰააგის კონვენცია ბავშვთა დაცვისა და საერთაშორისო გაშვილების სფეროში თანამშრომლობის შესახებ. ამ კონვენციის რეკომენდაციები, რომლებსაც სახელმწიფოს უმრავლესობა აღიარებს, მათ შორის, საქართველოც, მშობლებისა და შვილების ახალი და აშკარად პროგრესული ხედვის წარმოჩენას ემსახურება¹¹⁷.

მშობლის პასუხისმგებლობის შესახებ ევროსაბჭოს წევრი სახელმწიფოების მინისტრთა კომიტეტის რეკომენდაციის პირველი პრინციპის თანახმად, მშობლის პასუხისმგებლობა არის ვალდებულებებისა და უფლებამოსილებების ერთობლიობა რომელიც მოწოდებულია უზრუნველყოს ბავშვის მორალური და მატერიალური კეთილდღეობა, კერძოდ, ბავშვის მოვლა, ბავშვთან პირადი

¹¹⁵ *ჭანტურია ლ.*, სამოქალაქო სამართლის ზოგადი ნაწილი, გამომცემლობა „სამართალი“, თბილისი, 2011 წელი, 179.

¹¹⁶ *შენგელია რ., ჭანტურია ლ., ახვლედიანი ზ.*, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარები, წიგნი მეხუთე, საოჯახო და მემკვიდრეობითი სამართალი, გამომცემლობა „სამართალი“, თბილისი, 2000 წელი, 169.

¹¹⁷ *შენგელია რ., შენგელია ე.*, საოჯახო და მემკვიდრეობის სამართალი, გამომცემლობა „მერიდიანი“, თბილისი, 2017 წელი, 164.

ურთიერთობების შენარჩუნება, და მისი უზრუნველყოფა განათლებით, რჩენისათვის საჭირო სახსრებით, ოფიციალური წარმომადგენლობით და მისი ქონების ადმინისტრირებით¹¹⁸. ამავე რეკომენდაციის მე-2 პრინციპის თანახმად, უფლებამოსილი ორგანოს ნებისმიერი გადაწყვეტილება მშობლის პასუხისმგებლობის განსაზღვრასთან ან მისი განხორციელების გზებთან დაკავშირებით, უპირველესად უნდა ეფუძნებოდეს ბავშვის ინტერესებს¹¹⁹. 1950 წლის 4 ნოემბრის „ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა ევროპული დაცვის კონვენციის“ მე-8 მუხლი დაკავშირებულია პირადი და ოჯახური ცხოვრების პატივისცემის უფლებასთან, რომლის 1-ლი პუნქტის თანახმად, „ყველას აქვს უფლება, პატივი სცენ მის პირად და ოჯახურ ცხოვრებას, მის საცხოვრებელსა და მიმოწერას“. მოცემული ნორმის ანალიზიდან გამომდინარე, უნდა ითქვას, რომ მშობლისა და ბავშვის მიერ მათი ერთად ყოფნით სიამოვნების მიღება ქმნის ოჯახური ცხოვრების ფუნდამენტურ ელემენტს¹²⁰. აღნიშნული ნორმის ფარგლებში, ფასდება მოხდა თუ არა შიდა სასამართლოების მიერ კანონის დარღვევით საოჯახო დავათა განხილვა, მათ შორის, ისეთი დავები რაც დაკავშირებულია ბავშვის საუკეთესო ინტერესებთან.

სასამართლოსათვის ამოსავალი პრინციპია, ბავშვის არა დაცვის ობიექტად მიჩნევა, არამედ მისი, როგორც სუბიექტის უფლებების აღიარება და დაცვა¹²¹. საკითხი განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს ბავშვის უფლებასთან და საუკეთესო ინტერესთან დაკავშირებული თითოეული საქმის განხილვისა და ინდივიდუალური შეფასებისას, რათა ეროვნული სასამართლოს გადაწყვეტილებებში, იქ, სადაც საქმე ეხება ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-8 მუხლით გათვალისწინებული მშობლისა და ბავშვის უფლებებს, უპირატესობა უნდა მიენიჭოს ბავშვის უფლებებს.

იმ შემთხვევაშიც კი, თუ საჭიროა ინტერესთა დაბალანსება, პრიორიტეტულია ბავშვის საუკეთესო ინტერესის კვლევა და მისი შესატყვისი გადაწყვეტილების

¹¹⁸ Falch-Eriksen A., Backe-Hansen E., Human Rights in Child Protection, Norway 2018 y, 10.

¹¹⁹ საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილება, საქმე Nას-53-51-2016, 6 ივლისი, 2016 წელი. გადაწყვეტილება ხელმისაწვდომია უზენაესი სასამართლოს ოფიციალურ ვებ-გვერდზე <<http://prg.supremecourt.ge/DetailViewCivil.aspx>> (01.06.2019).

¹²⁰ ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებები, საქმე ოლსონი შვედეთის წინააღმდეგ (No.1), § 59, სერიები A No.130, 24 მარტი, 1988 წელი; საქმე მონორი რუმინეთისა და უნგრეთის წინააღმდეგ, No. 71099/01, § 70, 5 აპრილი, 2005 წელი.

¹²¹ Falch-Eriksen A., Backe-Hansen E., Human Rights in Child Protection, Norway 2018 y, 33-34.

მიღება¹²². „ბავშვის უფლებების შესახებ“ კონვენციის მე-3 მუხლის 1-ლი პუნქტის მიხედვით, „ბავშვების მიმართ ყველა მოქმედებაში იმის მიუხედავად, მიმართავენ მას სოციალური უზრუნველყოფის საკითხებზე მომუშავე სახელმწიფო თუ კერძო დაწესებულებები, სასამართლოები, ადმინისტრაციული თუ საკანონმდებლო ორგანოები, უპურველესი ყურადღება ეთმობა ბავშვის საუკეთესო ინტერესების უზრუნველყოფას“¹²³. ამავე კონვენციის, მე-12 მუხლის 1-ლი და მე-2 მუხლის თანახმად, „მონაწილე სახელმწიფოები უზრუნველყოფენ საკუთარი შეხედულებების ჩამოყალიბების უნარის მქონე ბავშვის უფლებას, თავისუფლად გამოხატოს ეს შეხედულებანი ბავშვთან დაკავშირებულ ყველა საკითხზე, ამასთან ბავშვის შეხედულებებს სათანადო ყურადღება ეთმობა ბავშვის ასაკისა და მოწიფულობის შესაბამისად. ამ მიზნით ბავშვს, კერძოდ, ეძლევა შესაძლებლობა მოსმენილი იქნეს ბავშვთან დაკავშირებული ნებისმიერი, ან წარმომადგენლის ან შესაბამისი ორგანოს მეშვეობით იმ წესით, რომელიც გათვალისწინებულია ეროვნული კანონმდებლობის პროცესუალური ნორმებით“. საინტერესოა, კონვენციის მოყვანილ ნორმები ურთიერთშემავსებელი ფუნქციისაა, თუ წინააღმდეგობრივი ხასიათის. ამ საკითხის გარკვევა მნიშვნელოვანია, რადგან ნორმებში საუბარია „ბავშვის საუკეთესო ინტერესზე“, „ბავშვის უფლება თავისუფლად გამოხატოს შეხედულებანი“.

კონვენციის, მიზანია მსოფლიოს ყველა ბავშვი სარგებლობდეს სიცოცხლის, ჯანმრთელობის დაცვასა და განათლების უფლებით¹²⁴; უზრუნველყოფილი იყოს მზრუნველი ოჯახური გარემოთი, გართობისა და კულტურასთან ზიარების უფლებით. ბავშვის ჭეშმარიტი ინტერესები უნდა იყოს პირველ რიგში გათვალისწინებული ყველა იმ გადაწყვეტილების მიღებისას და განხორციელებისას, რომლებიც ეხებათ ბავშვებს ან ბავშვთა ჯგუფებს. ბავშვის უფლებათა კონვენციის მე-18 მუხლის მეორე ნაწილის მეორე წინადადების თანახმად, მშობლებს ან კანონიერ მეურვეებს ეკისრებათ ძირითადი

¹²² საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილება, საქმე Nას-967-916-2015, 25 თებერვალი, 2016 წელი. გადაწყვეტილებებიდან: Elsholz v. Germany, # 25735/94, 31.07.2000, პარ. 52. TK და KM გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ - TK and KM v. UK, # 28945/95, 10.05.2001, პარ.72. გადაწყვეტილება ხელმისაწვდომია საქართველოს უზენაესი სასამართლოს ოფიციალურ ვებ-გვერდზე <<http://prg.supremecourt.ge/DetailViewCivil.aspx>> (01.06.2019).

¹²³ *Apodaca C.*, Child Hunger and Human Rights, First published 2010 by Routledge 2 Park Square, Milton Park, Abingdon, Oxon OX14 4RN Simultaneously published in the USA and Canada, 26.

¹²⁴ *QUINTERO S.*, CHILD WELFARE ISSUES AND PERSPECTIVES, Published by Nova Science Publishers, New York, 2009 y. 17-18.

პასუხისმგებლობა ბავშვის აღზრდასა და განვითარებაზე, ბავშვის ყველაზე ჭეშმარიტი ინტერესები წარმოადგენს მათი ზრუნვის მთავარ საგანს¹²⁵. მოცემულ დავაში, ბავშვის დაცვის ჭეშმარიტი ინტერესია მისთვის ჯანსაღი და უსაფრთხო გარემოს შექმნა, რაც სახელმწიფოს კომპეტენტური ორგანოების უმთავრესი ზრუნვის საგანს წარმოადგენს¹²⁶.

მე-3 მუხლის პირველ პუნქტსა და მე-12 მუხლს ურთიერთშემავსებელი როლი აქვს: პირველის მიზანს ბავშვის საუკეთესო ინტერესების რეალიზაცია წარმოადგენს, ხოლო მეორე ადგენს მეთოდოლოგიას ბავშვის ან ბავშვების მოსაზრებების მოსმენისა და მათი ჩართვისათვის ყველა იმ საკითხში, რომელიც მათ შეეხება, მათ შორის მათი საუკეთესო ინტერესების შეფასების პროცესში. მე-3 მუხლის პირველი პუნქტის სათანადო გამოყენება ვერ მოხდება, თუ არ დაკმაყოფილდა მე-12 მუხლის მოთხოვნები. მსგავსად ამისა, მე-3 მუხლის პირველი პუნქტი აძლიერებს მე-12 მუხლის ფუნქციურობას, ყურადღებას ამახვილებს რა ბავშვების არსებით როლზე მათ ცხოვრებაზე ზეგავლენის მომხდენი ნებისმიერი გადაწყვეტილების მიღებაში¹²⁷.

ამ კუთხით, ასევე მნიშვნელოვანია, რომ ბავშვის სახელით განხორციელებულ ნებისმიერ ქმედებაში მაქსიმალურად უნდა იქნას გათვალისწინებული ბავშვის საუკეთესო ინტერესები. ბავშვის საუკეთესო ინტერესები არის იმ საპროცესო უფლებების მსგავსი, რომელიც სახელმწიფოს ავალდებულებს ქმედების პროცესში დანერგოს ისეთი ნაბიჯები, რომლითაც უზრუნველყოფილი იქნება ბავშვის საუკეთესო ინტერესების გათვალისწინება. კონვენცია სახელმწიფო მხარეს ავალდებულებს, უზრუნველყოს ქმედებებზე პასუხისმგებელი ერთეულების მიერ ბავშვის მოსმენა, მუხლი 12-ის შესაბამისად, რაც სავალდებულო ხასიათისაა. ბავშვის საუკეთესო ინტერესები, რომლებიც ბავშვთან კონსულტაციის გზით განისაზღვრება, არ წარმოადგენს იმ ერთადერთ ფაქტორს, რომელიც თავიანთ ქმედებებში უნდა გაითვალისწინონ დაწესებულებებმა, ორგანოებმა და ადმინისტრაციამ. თუმცა, ეს ფაქტორი მნიშვნელოვანია, ისევე როგორც ბავშვის

¹²⁵ Yassari N., Möller L., Gallala-Arndt I., Parental Care and the Best Interests of the Child in Muslim Countries, Published by t.m.c. assen press, The Hague, The Netherlands www.asserpress.nl, 2017 y, 63.

¹²⁶ საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილება, საქმე Nას-1213-1064-2010, 14 მარტი, 2011 წელი. გადაწყვეტილება ხელმისაწვდომია უზენაესი სასამართლოს ოფიციალურ ვებ-გვერდზე <<http://prg.supremecourt.ge/DetailViewCivil.aspx>> (05.06.2019).

¹²⁷ ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილება, საქმე ნ.წ. და სხვები საქართველოს წინააღმდეგ, 2 თებერვალი, 2016 წელი, 17.

შეხედულებები¹²⁸. აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით, ეროვნულ კანონმდებლობაში ქმედითი ნაბიჯები გადაიდგა, როგორც მატერიალურსამართლებრივი კუთხით, ისე პროცესუალურსამართლებრივი გაგებით. მაგალითად, სსკ-ს 352-356-ე მუხლები ემსახურება ბავშვის საუკეთესო ინტერესის გარკვევას.

შესაბამისად, როდესაც საქმე ეხება ბავშვის საუკეთესო ინტერესებს¹²⁹ და უფლებას, მოუსმინონ, გათვალისწინებული უნდა იქნეს ბავშვის განვითარებადი უნარები („ბავშვის უფლებების შესახებ“ კონვენცია მუხ.14.2) ბავშვის მომწიფებასთან ერთად მის მოსაზრებებს მეტი მნიშვნელობა უნდა მიენიჭოს მისი საუკეთესო ინტერესების შეფასებისას. ჩვილებსა და მცირეწლოვან ბავშვებს იგივე უფლებები აქვთ, რაც ყველა ბავშვს, მათი საუკეთესო ინტერესების შეფასების მხრივ, მიუხედავად იმისა, რომ მათ არ შეუძლიათ თავიანთი მოსაზრების გამოხატვა ან საკუთარი თავის წარმოდგენა ისე, როგორც უფრო მოზრდილ ბავშვებს. კონვენციის მე-12 მუხლი ადგენს ბავშვის უფლებას, გამოხატოს თავისი მოსაზრებები ნებისმიერი იმ გადაწყვეტილების შესახებ, რომელიც მას შეეხება. ნებისმიერი გადაწყვეტილება, რომელიც არ ითვალისწინებს ბავშვის მოსაზრებებს ან არ ანიჭებს მის მოსაზრებებს სათანადო მნიშვნელობას ბავშვის ასაკისა და სიმწიფის ხარისხის მიხედვით, არ სცემს პატივს ბავშვის ან ბავშვების შესაძლებლობას, ზეგავლენას ახდენს საუკეთესო ინტერესების განსაზღვრაზე¹³⁰. დასაშვებია, ვიფიქროთ, რომ მე-12 მუხლი არ ადგენს ასაკობრივ შეზღუდვას ბავშვის უფლებაზე გამოხატოს მისი მოსაზრებები, და არ უჭერს მხარს სახელმწიფოების მიერ ასაკობრივი შეზღუდვების დაწესებას კანონში ან პრაქტიკაში, რაც შეზღუდავდა ბავშვის უფლებას, მოუსმინონ, ყველა იმ საკითხზე, რომელიც მას ეხება¹³¹.

კონვენციით სხვა უფლებებთან ერთად ყველა ბავშვს აქვს უფლება ისარგებლოს ალტერნატიული მზრუნველობით, როდესაც ოჯახური გარემოს შენარჩუნება ვერ ხერხდება. კონვენცია მხედველობაში იღებს ბავშვის უფლებათა დეკლარაციის მითითებას, რომ „ბავშვს, მისი ფიზიკური და გონებრივი მომწიფებლობის გამო,

¹²⁸ ბავშვის უფლებების კომიტეტის ზოგადი კომენტარი, „ბავშვის უფლებების შესახებ“ კონვენციის მუხლი 12-ის შესაბამის ნაწილებში, გამოაქვეყნა (CRC/C/GC/12), 20 ივლისი, 2009 წელი.

¹²⁹ ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილება, საქმე No.1638/03 MASLOV v. AUSTRIA, 23 ივნისი, 2008 წელი.

¹³⁰ ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილება, საქმე ნ.წ. და სხვები საქართველოს წინააღმდეგ, 2 თებერვალი, 2016 წელი.

¹³¹ Goldstein J., Freud A, Solnit A.,, the Best Interests of the Child, Published by Free Press, New York, 1979 y, 48-49.

ესაჭიროება სპეციალური დაცვა და ზრუნვა, შესატყვისი სამართლებრივი დაცვის ჩათვლით, როგორც დაბადებამდე, ისე დაბადების შემდეგ¹³².

ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საკითხია ბავშვის უფლებების რეალიზაციისათვის, წარმომადგენლობა¹³³. ბავშვს შეიძლება ჰყავდეს, როგორც ადვოკატი, ისე კანონისმიერი წარმომადგენელი. „სხვისი სახელით მოქმედ პირს ეწოდება წარმომადგენელი, ხოლო მის უფლებამოსილებას, წარმოადგინოს სხვა პირი - წარმომადგენლობითი უფლებამოსილება“¹³⁴. ამასთან, თუკი ბავშვი გადაწყვეტს, რომ კონკრეტულ საქმესთან მიმართებით გამოთქვას შეხედულებები, მაშინ მისი უფლებაა ეს შეხედულებები თვითონ ან წარმომადგენლის მეშვეობით განახორციელოს. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო არაერთ გადაწყვეტილებაში¹³⁵ მიუთითებს, განმცხადებელი ბავშვის უფლებების დაცვასთან დაკავშირებით, გარდა კანონისმიერ წარმომადგენლისა და ადვოკატისა შეიძლება იყოს სხვა პირიც, მაგალითად, ბავშვის დეიდა¹³⁶. აღნიშნულ საკითხთან მიმართებით, ასევე, საინტერესოა, სასამართლოს პრეცედენტული საქმე, სადაც, ადამიანის უფლებათა დაცვის ინტერესებიდან გამომდინარე, უახლოეს ნათესავს მიეცა გარდაცვლილი მომჩივანის სახელით განაცხადის გაკეთების უფლება¹³⁷.

1989 წლის 20 ნოემბერის „ბავშვთა უფლებების შესახებ“ კონვენციის მე-18 მუხლის პირველ პუნქტზე, რომლის შესაბამისად, მშობლებს ან შესაბამის შემთხვევებში, კანონიერ მეურვეებს ეკისრებათ ძირითადი პასუხისმგებლობა ბავშვის აღზრდასა და განვითარებაზე, ბავშვის ყველაზე ჭეშმარიტი ინტერესები წარმოადგენს მათი ზრუნვის მთავარ საგანს. ამავე კონვენციის 27-ე მუხლის

¹³² საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილება, საქმე Nას-1231-1064-2010, 14 მარტი, 2011 წელი, გადაწყვეტილება ხელმისაწვდომია საქართველოს უზენაესი სასამართლოს ოფიციალურ ვებ-გვერდზე <<http://prg.supremecourt.ge/DetailViewCivil.aspx>> (02.06.2019).

¹³³ *ჰანტურია ლ.*, სამოქალაქო სამართლის ზოგადი ნაწილი, გამომცემლობა „სამართალი“, 2011 წელი, 421.

¹³⁴ *ზოიძე ბ., გორბენაძე ს., ახვლედიანი ზ., ნინიძე თ., ჰანტურია ლ.*, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი პირველი, გამომცემლობა „სამართალი“, თბილისი, 2002 წელი, მუხლი 103, 276.

¹³⁵ ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებები, ილჰანი თურქეთის წინააღმდეგ [GC], No.22277/93, §§ 49-55, ECHR 2000-VII, და Y.F. თურქეთის წინააღმდეგ, No.24209/94, § 31, ECHR 2003-IX.

¹³⁶ ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილება, საქმე ნ.წ. და სხვები საქართველოს წინააღმდეგ, 2 თებერვალი, 2016 წელი.

¹³⁷ ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებები, საქმე კარნერი ავსტრიის წინააღმდეგ, No.40016/98, §§ 24-28, ECHR 2003-IX; საქმე მიკალეფი მალტას წინააღმდეგ, No. 17056/06, §§ 44-51, 15 იანვარი, 2008 წელი.

პირველი პუნქტის თანახმად, მშობელს (მშობლებს) ან ბავშვის სხვა აღმზრდელს ეკისრებათ ძირითადი პასუხისმგებლობა, თავისი უნარისა და ფინანსური შესაძლებლობების ფარგლებში უზრუნველყონ ბავშვის განვითარებისათვის საჭირო ცხოვრების პირობები¹³⁸. ამდენად, სასამართლოს პრეცედენტული სამართლის შესაბამისად, განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა დაზარალებულთა უმწეობას მათი ასაკის, სქესისა ან უნარშეზღუდულობის გამო, ისეთ შემთხვევებში, როდესაც ეს ფაქტორები განაპირობებს მათ უუნარობას ამ საქმეზე სასამართლოში საჩივრის შეტანის თვალსაზრისით¹³⁹.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ნებისმიერი ორგანოს გადაწყვეტილება, რომელიც დაკავშირებული იქნება ბავშვთან, გათვალისწინებული და დაცული უნდა იყოს ბავშვის საუკეთესო ინტერესის პრინციპი¹⁴⁰. წინააღმდეგ შემთხვევაში, როგორც საერთაშორისო კონვენციებში, ისე შიდა სამართლებრივ აქტებში დეკლარირებული ღირებულებები დაირღვევა. რაც იმთავითვე მიუღებელია, რადგან ბავშვი არის სამართლის დაცვის განსაკუთრებული სუბიექტი, ძირითადად, მისი უმწეობიდან გამომდინარე. ამასთან, სასამართლო გადაწყვეტილებებისა და დოქტრინალური შეხედულებების საფუძველზე, ის, რაც დასაშვებია საოჯახო სამართლებრივი ურთიერთობიდან წარმოშობილი საქმეების განხილვისას, დაუშვებელია სხვა კატეგორიის საქმეთა განხილვისას¹⁴¹.

3.1.2. ისლამური სამართალი

ბავშვის საუკეთესო ინტერესის სტანდარტთან დაკავშირებით არსებობს საერთაშორისო კონსენსუსი, როგორც ზოგადი პრინციპი. მისი ზუსტი მნიშვნელობა განსაზღვრული არ არის. საუკეთესო ინტერესების პრინციპი უმეტესწილად, სუბიექტურია და შეიძლება განიმარტოს განსახვავებული კულტურული კონტექსტის მიხედვით. პრაქტიკაში ეს პრინციპი დარჩა მოსამართლეთა დისკრეციაზე¹⁴². აღნიშნულთან დაკავშირებით, თვალსაჩინოა,

¹³⁸ საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილება, საქმე Nას-198-2019, 28 მაისი, 2019 წელი. გადაწყვეტილება ხელმისაწვდომია უზენაესი სასამართლოს ოფიციალურ ვებ-გვერდზე <http://prg.supremecourt.ge/DetailViewCivil.aspx> (05.06.2019).

¹³⁹ ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებები, საქმე S.D., D.P. და A.T. გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ, No. 23715/94, 20 მაისი, 1996 წელი; საქმე გიუსტო, ბორნაჩინი და ვ. იტალიის წინააღმდეგ, No.38972/06, 15 მაისი, 2007 წელი. საქმე ა.კ. და ლ. ხორვატიის წინააღმდეგ, No. 37956/11, § 47, 8 იანვარი, 2013 წელი.

¹⁴⁰ Swennen F., Contractualisation of Family Law Global Perspectives, Published by AG Switzerland is part of Springer Science+Business Media (www.springer.com), Belgium 2015 y, 18.

¹⁴¹ ლილუაშვილი თ., სამოქალაქო საპროცესო სამართალი, II გამოცემა, თბილისი, 2005 წელი, 88.

¹⁴² Yassari N., Möller L., Gallala-Arndt I., Parental Care and the Best Interests of the Child in Muslim Countries, Published by t.m.c. assen press, The Hague, The Netherlands www.assenpress.nl, 2017 y, 2.

ეგვიპტის მაგალითი, სადაც ბავშვის უფლებების რეალიზებისათვის 1996 წელს მოახდინა „ბავშვთა უფლებების შესახებ“ კონვენციის რატიფიცირება. ფორმალურად ინკორპორირებული იქნა ბავშვის საუკეთესო ინტერესების პრინციპი, როგორც ყოვლისმომცველი ეგვიპტის კანონმდებლობაში¹⁴³.

ეს დებულება, პრაქტიკულად განმეორებულია ბავშვის უფლებებასთან დაკავშირებული ახალი კანონით. ამასთან, კანონში ბავშვის ინტერესები ჩანაცვლდა ბავშვის საუკეთესო ინტერესებით. საყურადღებოა, რომ 1996 წლიდან შარიათით¹⁴⁴ განისაზღვრა, რომ მათ უფლება აქვთ ცხოვრობდნენ და იზრდებოდნენ მშობლებთან ერთად, უზრუნველყოფილი იყვნენ კარგი გარემო-პირობებით, ასევე, ისარგებლონ პირადი სტატუსით კანონმდებლობის შესაბამისად.

ეგვიპტის ახალი კონსტიტუცია მიღებულია 2014 წელს, რომელშიც პირველად ეგვიპტის ისტორიაში ბავშვის საუკეთესო ინტერესების ცნება კონსტიტუციურ დონეზე განისაზღვრა. კერძოდ, მე-80 მუხლის მიხედვით, სახელმწიფომ ყველა ზომა უნდა მიიღოს იმისათვის, რომ დაიცვას ბავშვთა ინტერესები. მიუხედავად იმისა, რომ ნათელია ეგვიპტის კანონმდებლობაში ბავშვთა საუკეთესო ინტერესებთა ცნების აღიარება, პრაქტიკაში მისი გამოყენება დაკავშირებულია გარკვეულ დაბრკოლებებთან, რომლის მთავარ მიზეზს, უმეტესწილად, წარმოადგენს საკანონმდებლო რეგულაციის სავარაუდო კოლიზია შარიათთან¹⁴⁵. ერთ-ერთ საქმეზე, რომელიც დაკავშირებული იყო ბავშვისა და დედის ურთიერთობის საკითხთან სასამართლომ აღნიშნა, რომ დედას შეუძლია ბავშვის ხელში ჩაგდება და იმისათვის, რომ აცილებული იყოს უფრო დიდი ზიანი, აუცილებელია ბავშვის საუკეთესო ინტერესების განსაზღვრა და დაცვა¹⁴⁶.

¹⁴³ Consideration of Reports Submitted by States Parties Under Article 44 of the Convention, Committee on the Rights of the Child (11 November 1999), CRC/C/65/Add.9, p. 21, para 53; 64.

¹⁴⁴ შარია - (არაბული სიტყვაა) (ჭეშმარიტი) გზა, ერთგვარი ქცევის კოდექსი - აერთიანებს ისლამის უფლებებს, მორალურ-ეთიკურ და რეგლიგიურ ნორმებს. საზღვრავს მუსლიმანის ცხოვრებას და ისლამში მიიჩნევა "მარადიულ და შეუცვლელ" ღვთიურ დადგენილებად. რელიგიური უფლებების ერთ-ერთი აღმსარებლობითი ფორმაა. განმარტება იხ. <<https://ka.wikipedia.org/wiki/8> > (03.06.2019).

¹⁴⁵ Yassari N., Möller L., Gallala-Arndt I., Parental Care and the Best Interests of the Child in Muslim Countries, Published by t.m.c. asser press, The Hague, The Netherlands www.asserpress.nl, 2017 y, 3.

¹⁴⁶ Court of Cassation, Case no. 75 for the 53rd Judicial Y, (19 March 1985). From the book: Yassari N., Möller L., Gallala-Arndt I., Parental Care and the Best Interests of the Child in Muslim Countries, Published by t.m.c. asser press, The Hague, The Netherlands www.asserpress.nl, 2017 y, 19.

ამდენად, ეგვიპტის საკანონმდებლო დებულებებში შარიათს ეფუძნება მშობელთა შორის საერთო პასუხისმგებლობის ცნება შვილების მიმართ. მიუხედავად იმისა, რომ ეგვიპტის 2008 წლის ბავშვის უფლებებთან დაკავშირებული კანონისა და 2014 წლის კონსტიტუციაში განსაზღვრულია ბავშვის საუკეთესო ინტერესები, ჯერ კიდევ არსებობს პრინციპის პრაქტიკაში გამოყენების პრობლემა¹⁴⁷.

ამ კუთხით ევოლუცია, სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკაში არც თუ ისე მარტივად გამოიყურება. ბავშვის საუკეთესო ინტერესების კონცეფცია უკავშირდება - მზრუნველობის სფეროს, კომუნიკაციას, მეურვეობასა და მოვლას, რომლებიც წარმოადგენს მშობლების პასუხისმგებლობის საკითხს, ცხადია, ბავშვის პოზიციის გათვალისწინებით¹⁴⁸. დავის შემთხვევაში, საუკეთესო ინტერესების ცნების განსაზღვრისათვის მხედველობაში უნდა იქნეს გათვალისწინებული, როგორც შიდა კანონმდებლობა, ასევე საერთაშორისო ინსტრუმენტები. ამ თვალსაზრისით მნიშვნელოვანია კონსტიტუცია, ბავშვის უფლებებთან დაკავშირებული სამართლებრივი აქტები და მუსლიმური ქორწინების კანონი¹⁴⁹.

1994 წლემდე უკვე არსებობს რამდენიმე კანონი და საერთაშორისო კონვენცია, რომლებიც გავლენას ახდენს ბავშვების ცხოვრებაზე. თუმცა, ნათელი გახდა, რომ საკანონმდებლო მოწესრიგებას არ შეეძლო ყველა ბავშვის დაცვა და მხარდაჭერა, ვინაიდან მრავალეთნიკური ერია სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკა. ამდენად, 1994 წლიდან მოყოლებული ბავშვის უფლებებთან დაკავშირებულმა საკანონმდებლო რეგულაციებში განხორციელდა საკმაოდ ცვლილებები. შედეგად კი, დღეს არსებობს სხვადასხვა კანონმდებლობა, რომლებიც კონკრეტულად მიზნად ისახავს ბავშვის უფლებებისა და საუკეთესო ინტერესების ხეშეწყობას, დაცვას. კონსტიტუციის 28-ე მუხლი ეხება ბავშვებს, კერძოდ უზრუნველყოფს ბავშვის საუკეთესო ინტერესების მნიშვნელობას, როგორც პრინციპს. ისევე, როგორც ყველა სხვა უფლებები (რელიგიის თავისუფლება, თანასწორობა) შეიძლება დაექვემდებაროს შეზღუდვას. ბავშვის უფლებებთან დაკავშირებული სამართლებრივი აქტი ავალდებულებს სასამართლოს, რომ გადაწყვეტილების

¹⁴⁷ Yassari N., Möller L., Gallala-Arndt I., Parental Care and the Best Interests of the Child in Muslim Countries, Published by t.m.c. asser press, The Hague, The Netherlands www.asserpress.nl, 2017 y, 26.

¹⁴⁸ Guggenheim M., What's Wrong with Children's Rights, Published by HARVARD UNIVERSITY PRESS, 2005 y, 158.

¹⁴⁹ See General Notice 37 GG 33946 of 21 January 2011. The 2010 MMB is available at www.justice.gov.za/legislation/bills/2010_muslim-marriages-bill.pdf.

მიღებისას საუკეთესო ინტერესებს უმთავრესი მნიშვნელობა აქვს ბავშვზე გავლენის ყველა საკითხში. ხსენებულ აქტში შეზღუდული არ არის სამართალწარმოება საუკეთესო ინტერესების გასარკვევად, რასაც ვერ ვიტყვით კონსტიტუციის 28-ე მუხლზე¹⁵⁰.

ბავშვის საუკეთესო ინტერესები უნდა იყოს გადაწყვეტილების განსაზღვრის ფაქტორი, რაც გათვალისწინებულია სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკის კერძო სამართლით. ბავშვის საუკეთესო ინტერესები ასევე, წარმოადგენს ძირითად და სახელმძღვანელო პრინციპს¹⁵¹. სამწუხაროდ, კონსტიტუცია მკაფიოდ არ განსაზღვრავს საუკეთესო ინტერესების ცნებას, მას მიენიჭა სასამართლოს მხრიდან მრავალფეროვანი ინტერპრეტაცია.

სინამდვილეში, ბავშვის საუკეთესო ინტერესის სტანდარტი არ არის ახალი კონცეფცია სამხრეთ აფრიკის კანონმდებლობაში, როგორც ეს უკვე განმტკიცებულია ერთ-ერთ საქმეში¹⁵². თუმცა, სასამართლომ ამ საქმეში არ დააკონკრეტა, თუ რას წარმოადგენს ბავშვის საუკეთესო ინტერესი და არც რაიმე კონკრეტული კრიტერიუმი განსაზღვრა.

ბავშვის უფლებების აქტში მოცემულია ის ფაქტორები, რომლებიც განმსაზღვრელია ბავშვის საუკეთესო ინტერესის შეფასებისას, თუმცა არა ამომწურავად. როგორცაა: პირადი ურთიერთობების ბუნება - ბავშვი და მშობლები, მზრუნველობა; მშობლების დამოკიდებულება, პასუხსიმგებლობა და უფლებები ბავშვის მიმართ; მშობლის შესაძლებლობები ბავშვის მოთხოვნილებების უზრუნველსაყოფად, მათ შორის ემოციური და ინტელექტუალური ხასიათის მოთხოვნილებები; ნებისმიერი ცვლილების სავარაუდო გავლენა ბავშვზე; მშობლებთან ბავშვის ურთიერთობების პრაქტიკული შეფასება და სიძნელები; ბავშვის დარჩენა დიდ ოჯახში, ტრადიციებისა და კულტურის შენარჩუნება; ბავშვის ფიზიკური და სულიერი უსაფრთხოება, სოციალური და კულტურული განვითარება, მათ შორის, შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ბავშვის; ბავშვის ოჯახურ და მზრუნველ გარემოში აღზრდა; ბავშვის დასაცავად ნებისმიერი ფიზიკური და

¹⁵⁰ *Yassari N., Möller L., Gallala-Arndt I.*, Parental Care and the Best Interests of the Child in Muslim Countries, Published by t.m.c. assen press, The Hague, The Netherlands www.assenpress.nl, 2017 y, 230.

¹⁵¹ *Swennen F.*, Contractualisation of Family Law Global Perspectives, Published by AG Switzerland is part of Springer Science+Business Media (www.springer.com), Belgium 2015 y, 94

¹⁵² *Yassari N., Möller L., Gallala-Arndt I.*, Parental Care and the Best Interests of the Child in Muslim Countries, Published by t.m.c. assen press, The Hague, The Netherlands www.assenpress.nl, 2017 y, 231. From the decision: *Fletcher v. Fletcher* 1948 (1) SA 130 (A).

ფსიქოლოგიური ზიანის თავიდან აცილება, გამოწვეული იქნება ეს ექსპლუატაციით, ოჯახში ძალადობით, ცუდი მოპყრობით.

ამდენად, სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკა ბავშვის უფლებებთან დაკავშირებული საკანონმდებლო მოწესრიგება, საკმაოდ პროგრესულია, რომლითაც ისარგებლებს ქვეყანაში მცხოვრები ყველა ბავშვი. შედეგად, ბავშვის საუკეთესო ინტერესების კონცეფციას გადამწყვეტი ფაქტორი უნდა ეკავოს ყველა კანონმდებლობაში, მათ შორის რეცეფცირებულ კანონებში, სადაც მნიშვნელოვანია მუსლიმი ბავშვის კეთილდღეობა. ისლამური სამართლის თვალსაზრისით, ბავშვისათვის გარანტირებული უფლებები ოპტიმალურად უნდა იქნეს გამოყენებული, რაც იმას ნიშნავს, რომ უფლების დაცვა სეკულარული ძალით უნდა განხორციელდეს კანონისა და რელიგიური ორგანოების ურთიერთანამშრომლობით¹⁵³.

მუსლიმური სახელმწიფოები არიან გაეროს იმ კონვენციათა მონაწილენი, რომლებითაც გარანტირებულია ბავშვის უფლებების დაცვა¹⁵⁴. მაგრამ მათ ერთსულოვან რატიფიკაციას თან ახლავს დათქმა, რომელიც დაკავშირებულია ევროკონვენციებისა და რელიგიის ურთიერთავსებადობასთან, რითაც საბოლოო ჯამში, მიიღწევა ბავშვთა უფლებების დაცვა. საერთაშორისო კონვენციებისა და ხელშეკრულებების რატიფიცირებისას მნიშვნელოვანია, ისლამური სახელმწიფოების პრაქტიკა და ისლამის მრავალეროვანი სამართლებრივი ტრადიციები¹⁵⁵. ამდენად, მუსლიმური სახელმწიფოების პრაქტიკაზე დაკვირვებით აშკარად შეინიშნება, ბავშვის უფლებებთან დაკავშირებული საკითხების გაუმჯობესება და პროგრესი.

3.1.3. ამერიკის შეერთებული შტატები

ბავშვის ინტერესის საკითხთან დაკავშირებით, საინტერესოა, ამერიკის შეერთებული შტატების გამოცდილება, მიდგომა და საკანონმდებლო რეგულირება. მინიმუმ ორი მიზეზის გამო შეიძლება ითქვას, რომ ბავშვთა ინტერესები კარგად არის გათვალისწინებული. პირველი, მშობლები

¹⁵³ Yassari N., Möller L, Gallala-Arndt I., Parental Care and the Best Interests of the Child in Muslim Countries, Published by t.m.c. asser press, The Hague, The Netherlands www.asserpress.nl, 2017 y, 254.

¹⁵⁴ ერთ-ერთი პირველია ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაცია, რომელიც 1981 წელსაა მიღებული მუსლიმი მკვლევარების მიერ. შემდგომ, ამას მოჰყვა კაიროს 1990 წლის დეკლარაცია ადამიანის უფლებებში. 1994 წლის ბავშვთა უფლებებისა და მოვლის შესახებ დეკლარაცია ისლამში. 2005 წლის დეკლარაცია, რომელიც კონცენტრირებულია სპეციალურად ბავშვის უფლებებზე.

¹⁵⁵ Yassari N., Möller L, Gallala-Arndt I., Parental Care and the Best Interests of the Child in Muslim Countries, Published by t.m.c. asser press, The Hague, The Netherlands www.asserpress.nl, 2017 y, 286-287.

ბუნებრივად უფრო მიდრეკილნი არიან შთაბეჭდილება მოახდინონ შვილებზე, ცხადია, დადებითი კუთხით. ხოლო მეორე შემთხვევაში, ბუნებრივი ემოციები არის ძირითადი მოტივაცია, რათა მშობლებმა იმოქმედონ ბავშვების საუკეთესო ინტერესებში. ხსენებული მიზეზებით, მშობლები წინასწარ განსაზღვრავენ, რომ ეს საჭიროა მათი შვილების მოთხოვნილებების დასაკმაყოფილებლად. უზენაესმა სასამართლომ განმარტა, რომ ბუნებრივი კავშირი გამოიწვევს მშობლის მოქმედებას შვილის საუკეთესო ინტერესებში. ეს არგუმენტი განსხვავდება ბუნებითი სამართლის თეორიისგან, იმიტომ, რომ ეს ემპირიული მოთხოვნაა, რომ ბიოლოგიური მშობელი უფრო კარგი მზრუნველია შვილისთვის¹⁵⁶.

საუკეთესო ინტერესთა სტანდარტი აუცილებლად იწვევს იმას, რომ მოსამართლე დაეყრდნოს მის საკუთარ ღირებულებებს და მიუკერძოებლად გადაწყვიტოს საქმე. საკითხავია საუკეთესო ინტერესების შეფასებისას, განხილულ უნდა იქნეს თუ არა გრძელვადიანი ან მოკლევადიანი პერსპექტივა. ეს შეიძლება იყოს ერთ წლიანი, ოცდაათ წლიანი, სამოცდაათწლიანი ბედნიერება? საბოლოოდ სირთულე ის არის, რომ უნდა განისაზღვროს ბავშვის სიცოცხლის მიზნები და ფიქრები. იმ შემთხვევაში, თუ მოსამართლეები პროცესის მიმდინარეობისას ან გადაწყვეტილებებში არღვევენ პრინციპებს, რაც დაკავშირებულია ბავშვის უფლებებთან, მაშინ ისინი ყოველთვის გაჯერებული იქნება უკონტროლო, დაუსაბუთებელი მოტივებით. ხოლო რეალურად კი, რა არის ბავშვის უფლებების ძალა სასამართლო გადაწყვეტილებების მიღმა აღმოჩნდება. მშობელთა უფლებების დოქტრინა მშობლებს უფლებას აძლევს მათ გაზარდონ ბავშვი, როგორც სწორია და შეესაბამება ბავშვის ინტერესებს, თუნდაც სხვები არ ეთანხმებოდნენ საუკეთესო ინტერესების განსხვავებულ მიდგომას¹⁵⁷. ამასთან, ზოგი კონსერვატორი შემფოთებას გამოთქვამს, ბავშვის კეთილდღეობასთან დაკავშირებით, ვინაიდან საკმაოდ რთულია მისი უზრუნველყოფა¹⁵⁸. კონსერვატორებს ისტორიულად არ სურთ გამოიყენონ სახელმწიფოს რესურსები, რათა დაეხმაროს მართლაც მშობელს შვილის აღზრდაში. ისინი ეწინააღმდეგებიან, რომ სახელმწიფო სუბსიდიარები ბავშვის ზრუნვასთან დაკავშირებით მიმართულია მხოლოდ ისეთი ოჯახებისკენ, რომლებსაც დაბალი შემოსავალი აქვთ¹⁵⁹. ასევე, ბევრი სკეპტიკურად უყურებს განქორწინების

¹⁵⁶ *Guggenheim M.*, What's Wrong with Children's Rights, Published by HARVARD UNIVERSITY PRESS, 2005 y, 36.

¹⁵⁷ იქვე: 55-56.

¹⁵⁸ *Falch-Eriksen A, Backe-Hansen E.*, Human Rights in Child Protection, Norway 2018 y, 23.

¹⁵⁹ *Swennen F.*, Contractualisation of Family Law Global Perspectives, Published by AG Switzerland is part of Springer Science+Business Media (www.springer.com), Belgium 2015 y, 95.

წინააღმდეგ ბრძოლას, რაც ერთგვარად იცავს ბავშვის საუკეთესო ინტერესებს. კონსერვატიული განქორწინების რეფორმის მიზანი არის ქორწინების ვიწრო და მორალისტური ხედვა¹⁶⁰.

არ მოიძებნება ორი ისეთი სახელმწიფო, სადაც ბავშვის საუკეთესო ინტერესების სტანდარტს ერთიადიმავე ფაქტორით განსაზღვრავენ. ძირითადად, ეს სტანდარტი დამოკიდებულია ბავშვის ურთიერთობა მის მშობელთან ან მშობლებთან, ნებისმიერ სხვა პირთან, რაც აისახება ბავშვის საუკეთესო ინტერესებში; ბავშვის ცვლილება საკუთარ სახლში, სკოლაში და საზოგადოებაში; ბავშვის სურვილების განსაზღვრა; ფიზიკური და ფსიქიკური ჯანმრთელობის უზრუნველყოფა. ბავშვის საუკეთესო ინტერესების სტანდარტი¹⁶¹ პოპულარულია, არა მხოლოდ იმის გამო, მას ახასიათებს გენდერული ნეიტრალიტეტი, არამედ ბავშვის ინტერესებს აყენებს მოზრდილთა ინტერესების ზემოთ. ამასთან, ეს სტანდარტი არ არის შემუშავებული ბავშვებთან ერთად და ნაკლებად არის ბავშვზე ორიენტირებული პოლიტიკა, ვიდრე ამას ისტორია გვთავაზობს. რეალურად, საუკეთესო ინტერესების შინაარსი მოქმედებს უკიდურესად შეზღუდულად, რაც მიუღებელია. განქორწინებულ ოჯახებში, ხშირად, მშობლები არც კი ცდილობენ საუკეთესო ინტერესის გარკვევას, ასე, რომ ვთქვათ, თავიდან იცილებენ ამ ვალდებულებას¹⁶².

ბავშვის უფლება, რომ შეზღუდოს მშობლის უფლებამოსილებები, მხოლოდ იმ გადაწყვეტილებებში ჰპოვებს ასახვას, როცა ბავშვის საუკეთესო ინტერესები უზრუნველყოფა ამგვარი შეზღუდვითაა შესაძლებელი. თუ ბავშვი სწორად აფასებს ამა თუ იმ გარემოებას, რაც მასთანაა დაკავშირებული, ვიდრე მშობელი, მაშინ მშობლის უფლების შეზღუდვა ლეგიტიმურია. ხოლო, განსახილველ შემთხვევაში, სახელმწიფო უფრო მეტად არის ვალდებული შეუქმნას ბავშვს განვითარების ყველა საშუალება¹⁶³.

¹⁶⁰ *Guggenheim M.*, What's Wrong with Children's Rights, Published by HARVARD UNIVERSITY PRESS, 2005 y, 139.

¹⁶¹ *Goldstein J., Freud A., Solnit A.*, the Best Interests of the Child, Published by Free Press, New York, 1979 y, 25.

¹⁶² *Guggenheim M.*, What's Wrong with Children's Rights, Published by HARVARD UNIVERSITY PRESS, 2005 y, 153.

¹⁶³ იქვე: 247.

საუკეთესო ინტერესთა კონცეფცია განურჩეველია, თუმცა არსებობს განსხვავებული მიდგომები თუ რა არის ბავშვის საუკეთესო ინტერესები¹⁶⁴. ზოგისთვის საუკეთესო ინტერესები შეიძლება შემცირდეს მატერიალური მოთხოვნების დაკმაყოფილების შედეგად. სიღარიბე და უსახლკარობა ნათლად არ შედის საუკეთესო ინტერესებში. შესაბამისად, ზოგი ხაზს უსვამს ფიზიკურ და ფსიქიკურ უსაფრთხოებას, რაც ხელს უწყობს ინტერესების განვითარებას. ამასთან, დღეს ნაკლებად არსებობს მორალური და რელიგიური კეთილდღეობა¹⁶⁵. მორალური მთლიანობა მოითხოვს ბავშვისათვის უსაფრთხო გარემოს, კერძოდ ძალადობისაგან, ალკოჰოლისგან, ნარკოტიკსგან დაცვა. ნიშნდობლივია, რომ განათლება, ნამდვილად, მოიაზრება საუკეთესო ინტერესებში, თუმცა, განათლება არ არის მარტო ბავშვის სკოლაში სწავლა.

არსებობს რამდენიმე მიზეზი, რის გამოც ბავშვის საუკეთესო ინტერესები უნდა იყოს უმთავრესი და პრიორიტეტული განხილვის საგანი. სკეპტიკოსები ამ არგუმენტს აკრიტიკებენ. პირველი, შეიძლება ითქვას, რომ ბავშვებს აქვს უფლება ჰქონდეთ საკუთარი კეთილდღეობა. მეორე, ბავშვთა დაცვა, ზოგადი ხასიათის ცნებაა მაგრამ მასში მოიაზრება ბავშვის ინტერესების დაცვა. მესამე, ბავშვებს უნდა მიეცეთ შესაძლებლობა გახდნენ წარმატებული მოზარდები. როგორც ლიბი პურვესმა აღნიშნა: „ჩვენ მათ უნდა მივულოცოთ მოწვევა ჩვენს ცხოვრებაში“¹⁶⁶. მეოთხე, ის, ვინც საკუთარი შვილისთვის საკუთარ ინტერესებს შეწირავს ნამდვილად ყოფილა მშობელი. ამდენად, შეიძლება ითქვას, რომ არაერთი არგუმენტი არსებობს ბავშვთა ინტერესების პრიორიტეტულობის სასარგებლოდ. ამ საკითხის უფრო მეტად აქტუალობა გაზრდის საზოგადოების კეთილდღეობას. ბარტონი და დუგლასი ამტკიცებდა, რომ ბავშვები მნიშვნელოვანია იმისათვის, რომ წესრიგის უწყვეტობა იყოს საზოგადოებაში¹⁶⁷. შესაბამისად, ბავშვები მომავლის მშენებლობის უმთავრესი გზაა¹⁶⁸.

ნათელია, რომ საუკეთესო ინტერესების პრინციპის გადმოღება კანონმდებლობაში ყოველთვის უფრო მარტივია, ვიდრე პრაქტიკაში განხორციელება. ამ კუთხით, საერთო კრიტიკა არის ის, რომ პრინციპის შინაარში სრულად არ არის ათვისებული და სწორად ინტეგრირებული პოლიტიკის

¹⁶⁴ Freeman M., A Commentary on the United Nations Convention on the Rights of the Child, the best interes of child, Published by Martinus Nijhoff, Boston, 2007 y, 27-28.

¹⁶⁵ იქვე: 28.

¹⁶⁶ იქვე: 40.

¹⁶⁷ იქვე: 41.

¹⁶⁸ იქვე: 41.

განხორციელებაში. ერთმნიშვნელოვნად უნდა ითქვას, რომ კულტურა, რელიგია და ტრადიცია არღვევს ბავშვის საუკეთესო ინტერესებს, რაც საბოლოო ჯამში ართულებს პრინციპის ერთიანი ცნების ჩამოყალიბებას.¹⁶⁹

3.2. სასამართლოს ფარგლები

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-4 მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, „საქმის გარემოებათა გასარკვევად სასამართლოს შეუძლია თავისი ინიციატივით მიმართოს ამ კოდექსში გათვალისწინებულ ღონისძიებებს“. აღნიშნული დანაწესი ამკვიდრებს ორ მთავარ იდეას: საქმის გარემოებათა, ანუ გადაწყვეტილებისათვის მნიშვნელოვანი გარემოებების (მტკიცების საგნის) გასარკვევად სასამართლოს შეუძლია გამოიჩინოს ინიციატივა; ამასთან სასამართლოს ინიციატივის ფარგლები არ შეიძლება იყოს განუსაზღვრელი, რასაც შეუძლია შეჯიბრებითობის პრინციპის არამართლზომიერი შეზღუდვა ან დარღვევა¹⁷⁰. ამ თვალსაზრისით, უკიდურესად განსხვავებული მდგომარეობა გვაქვს საოჯახო საქმეთა განხილვისას¹⁷¹. იმიტომ, რომ ინკვიზიციურობის პრინციპის მოქმედების ფარგლებში, სასამართლოს მატერიალური ნორმების გათვალისწინებით, შეუძლია თავისი ინიციატივით განსაზღვროს დასადგენ გარემოებათა წრე, ანუ მტკიცების საგანი და მხარეთა ახსნა-განმარტების შემდეგ თვითონ გამოითხოვოს მტკიცებულებები, რომლებზედაც მხარეებს არ მიუთითებიათ¹⁷² (სსკ-ს მუხ. 354.1).

ნიშანდობლივია, რომ სამოქალაქო პროცესი აგებულია შეჯიბრებითობისა და დისპოზიციურობის პრინციპებზე¹⁷³. ამასთან, მხარეთა მიერ წარმოდგენილი მოთხოვნებისა და მოხსენებელი ფაქტობრივი გარემოებების სამართლებრივი შეფასება, მხოლოდ სასამართლოს პრეროგატივაა. აღნიშნულისგან განსახვავებით, საოჯახო დავების განხილვისას სასამართლო ვალდებულია აქტიურად ჩაერთოს დარღვეული უფლებისა და ინტერესების

¹⁶⁹ Freeman M., A Commentary on the United Nations Convention on the Rights of the Child, the best interest of child, Published by Martinus Nijhoff, Boston, 2007 y, 41. From the book: Law and Parenthood (London, Butterworths, 1996), 42.

¹⁷⁰ ლილუაშვილი თ., ხრუსტალი ვ., ლილუაშვილი გ., ძლიერიშვილი ზ., სამოქალაქო საპროცესო სამართალი, I ნაწილი, გამომცემლობა „სამართალი“, თბილისი, 2014 წელი, 94.

¹⁷¹ იქვე: 93.

¹⁷² საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილება, საქმე Nას-440-417-2012, 3 მაისი, 2012 წელი. გადაწყვეტილება ხელმისაწვდომია საქართველოს უზენაესი სასამართლოს ოფიციალურ ვებ გვერდზე <<http://prg.supremecourt.ge/DetailViewCivil.aspx>> (04.06.2019).

¹⁷³ Machnikowska A., Stawarska-rippel A., THE PRINCIPLES OF CIVIL PROCEDURE IN POLAND IN THE TWENTIETH CENTURY. DOCTRINE, DRAFTS AND LAW IN A COMPARATIVE PERSPECTIVE, 2016 y, 103.

სრულყოფილად და ეფექტურად დაცვაში. მითითებული დასკვნა გამომდინარეობს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 354-ე მუხლის პირველი ნაწილიდან. მეტიც, სასამართლო კანონით გათვალისწინებულ (მათ შორის ბავშვის უფლებების დადგენის) შემთხვევებში, ამავე კოდექსის 355-ე მუხლიდან გამომდინარე, უფლებამოსილია, მიიღოს დროებითი განკარგულება, რაც სამოქალაქო სამართალწარმოებაში გამონაკლისს წარმოადგენს და უზრუნველყოფს ამ სფეროში უფლებების დარღვევაზე სწრაფ და ეფექტურ რეაგირებას¹⁷⁴. ამდენად, საოჯახო დავების განხილვისას სასამართლო არ არის შეზღუდული შეჯიბრებითობის პრინციპით, მაშინაც კი, თუ მხარეები განსაზღვრულ საკითხებთან მიმართებით არასწორ ან არამყარ სამართლებრივ პოზიციას ირჩევენ. კანონიერი და დასაბუთებული გადაწყვეტილების მიღების მიზნით სასამართლომ უნდა იმოქმედოს სამძებრო (ინკვიზიციური პრინციპით) - თავის ინიციატივით უტყუარად უნდა გამოარკვიოს და დაადგინოს ფაქტები, რაც უზრუნველყოფს ბავშვის დარღვეული უფლებებისა და ინტერესების სრულყოფილად და ეფექტურად დაცვას¹⁷⁵.

ისეთი განქორწინების საქმეზე, სადაც ფიგურირებს ბავშვის ინტერესები, სასამართლო განსაზღვრავს მტკიცების საგანს, კერძოდ: სარჩელის საფუძვლად მითითებულ ფაქტებს; შესაგებლის ფაქტებს, რომლებსაც მოსარჩელის აღძრული მოთხოვნის საწინააღმდეგოდ ემყარება მოპასუხე; სხვა ფაქტებს, რომლებსაც არსებითი მნიშვნელობა აქვს საქმის სწორად გადაწყვეტისათვის. არსებობს შემთხვევები, როცა საქმის ობიექტურად განხილვას სჭირდება დამატებითი მასალების შეკრება სასამართლოს მიერ. რა დროსაც არ შეიძლება ბავშვის დატოვება სათანადო მატერიალური უზრუნველყოფის გარეშე. ამ მიზნით განქორწინებისა და შვილების სასარგებლოდ ალიმენტის გადახდევინების საქმის განხილვისას მოსამართლემ თავისი ინიციატივით უნდა გაარკვიოს, მონაწილეობს თუ არა მოპასუხე შვილების რჩენაში. თუ სასამართლო დაადგენს, რომ ამ ვალდებულებას არ ასრულებს მოპასუხე, მაშინ სსკ-ს 355-ე მუხლის შესაბამისად¹⁷⁶, სასამართლოს მხარეთა შუამდგომლობის საფუძველზე შეუძლია მიიღოს დროებითი განკარგულება საქმის საბოლოო განხილვამდე, რათა

¹⁷⁴ ლილუაშვილი თ., ხრუსტალი ვ., სამოქალაქო საპროცესო კოდექსის კომენტარი, გამომცემლობა „სამართალი“, თბილისი 2007 წელი, 600.

¹⁷⁵ საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილება, საქმე Nას-1213-1064-2010, 14 მარტი, 2011 წელი. გადაწყვეტილება ხელმისაწვდომია უზენაესი სასამართლოს ოფიციალურ ვებ-გვერდზე <<http://prg.supremecourt.ge/DetailViewCivil.aspx>> (05.06.2019).

¹⁷⁶ ლილუაშვილი თ., ხრუსტალი ვ., სამოქალაქო საპროცესო კოდექსის კომენტარი, გამომცემლობა „სამართალი“, თბილისი 2007 წელი, 601.

უზრუნველყოფილ იქნეს მშობლებსა და შვილს შორის ურთიერთობა¹⁷⁷. საოჯახო-სამართლებრივი ურთიერთობიდან წარმოშობილი დავები განიხილება ინკვიზიციური პრინციპით, მაგრამ აღნიშნული არ გულისხმობს იმას, რომ მხარე გათავისუფლებულია მის მიერ წარმოდგენილი ფაქტებისა და გარემოებების მტკიცების ტვირთისაგან¹⁷⁸.

ამდენად, საოჯახო საქმეთა თავისებურებებიდან გამომდინარე, სასამართლოს ფარგლების შეუზღუდავი ხასიათი თავადვე ნორმის შინაარსიდან იკითხება (სსკ-ს მუხ. 354.1). ნათელია, რომ ეს სფეციფიკა მდგომარეებს, სწორედაც, რომ ამ კატეგორიის დავების ინკვიზიციური ბუნებით¹⁷⁹, თუმცა, იმ დათქმით, რომ ინკვიზიცია ვრცელდება საოჯახო საქმეებზე, სადაც ბავშვის ინტერესები ფიგურირებს. ამასთან, სასამართლოს ეს შეუზღუდავი ფარგლები არ უნდა იყოს თვითმიზანი, არამედ განსაზღვრული მიზნის მიღწევის საშუალება, კერძოდ მხოლოდ და მხოლოდ ბავშვის საუკეთესო ინტერესებში მოქმედება¹⁸⁰.

3.3. დაუსწრებელი გადაწყვეტილების ინსტიტუტი საოჯახო საქმეთა განხილვის დროს

სამოქალაქო სამართლის პროცესში დაუსწრებელი გადაწყვეტილება ეფუძნება შეჯიბრებითობისა და დისპოზიციურობის პრინციპებს¹⁸¹. დისპოზიციურობის პრინციპის მიხედვით¹⁸², მხარეები სასამართლოში საქმისწარმოებას იწყებენ, სარჩელის ან განცხადების შეტანის გზით. ისინი განსაზღვრავენ დავის საგანს და

¹⁷⁷ *გაგუა ი.*, სადისერტაციო ნაშრომი, მტკიცების ტვირთი სამოქალაქო საპროცესო სამართალში, 2012 წელი, 99.

¹⁷⁸ საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილება, საქმე Nას-929-894-2016, 12 ივნისი, 2017 წელი. გადაწყვეტილება ხელმისაწვდომია საქართველოს უზენაესი სასამართლოს ოფიციალურ ვებ-გვერდზე <<http://prg.supremecourt.ge/DetailViewCivil.aspx>> (04.06.2019).

¹⁷⁹ საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილება, საქმე Nას-1027-2018, 21 სექტემბერი, 2018 წელი. საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილება, საქმე Nას-476-450-2014, 9 ოქტომბერი, 2015 წელი.

გადაწყვეტილებები ხელმისაწვდომია საქართველოს უზენაესი სასამართლოს ოფიციალურ ვებ-გვერდზე-<<http://prg.supremecourt.ge/DetailViewCivil.aspx>; <http://prg.supremecourt.ge/DetailViewCivil.aspx>> (04.06.2019).

¹⁸⁰ *Parkinson P.*, Family Law and the Indissolubility of Parenthood, Published by cambridge university press, 2011 y, 150-151.

¹⁸¹ *ბასილაია ფ.*, საოჯახო საქმეთა განხილვის თავისებურებანი და დაუსწრებელი გადაწყვეტილება, ჟურნ. „მართლმსაჯულება და კანონი“, საქართველოს მოსამართლეთა ასოციაცია, N4 (23), 2009, 31.

¹⁸² *Nunner-Krautgasser B., Anzenberger P.*, Evidence in civil law Austria, published 2015 by Institute for Local Self-Government and Public Procurement Maribor, 9.

თვითონვე იღებენ გადაწყვეტილებას სარჩელის (განცხადების) შეტანის თაობაზე. სწორედ, აღნიშნულიდან გამომდინარეობს ვარაუდი, რომ სასამართლოს მთავარ სხდომაზე გამოუცხადებელმა მოსარჩელემ უარი განაცხადა სარჩელზე.

საინტერესოა, საოჯახო-სამართლებრივი ურთიერთობიდან წარმოშობილი დავების განხილვის დროს, რამდენად შესაძლებელია დაუსწრებელი გადაწყვეტილების ინსტიტუტის გამოყენება. იმის გათვალისწინებით, რომ სამოქალაქო საქმეთა განხილვისას, დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოყენება დასაშვებია, თუკი შესაბამისი წინაპირობები სახეზეა¹⁸³.

დაუსწრებელი გადაწყვეტილების ინსტიტუტი სამოქალაქო საპროცესო კოდექსით რეგულირებული სფეროა. დაუსწრებელი გადაწყვეტილება გამოიატნება სამი პირობის კუმულაციურად არსებობის შემთხვევაში, მაშინ, როცა მოპასუხე არ გამოცხადდა სასამართლო სხდომაზე: I - მოსარჩელე შუამდგომლობს სასამართლოს წინაშე, რათა მან გამოიტანოს დაუსწრებელი გადაწყვეტილება სარჩელის დაკმაყოფილების შესახებ მოპასუხის გამოუცხადებლობის გამო; II – არ არსებობს დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანის დამაბრკოლებელი გარემოებები, რომლებიც გათვალისწინებულია სსკ-ის 233-ე მუხლის პირველი ნაწილით; III – სარჩელში მითითებული დამტკიცებულად ჩათვლილი გარემოებები იურიდიულად უნდა ამართლებდეს მოთხოვნას. შესაბამისად, კანონით გათვალისწინებული პირობების არსებობისას სასამართლო უფლებამოსილია გამოცხადებული მხარის შუამდგომლობის საფუძველზე, გამოუცხადებელი მხარის დაუსწრებლად განიხილოს საქმე¹⁸⁴. მოსარჩელის გამოუცხადებლობის დროს დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანისას სასამართლო არ აფასებს არც საქმეში არსებულ მტკიცებულებებს და არც საქმეს ფაქტობრივი თვალსაზრისით. საქმის ფაქტობრივი გარემოებები დადგენილად მიიჩნევა მხარის გამოუცხადებლობის გამო და არა მათი არსებითად განხილვის შედეგად. ამ თვალსაზრისით, დაუსწრებელი გადაწყვეტილების¹⁸⁵ ინსტიტუტი წარმოადგენს მხარეთა პასუხისმგებლობის დონის ამაღლების დამატებით გარანტიას¹⁸⁶, რომელიც ხელს უწყობს დავების გადაწყვეტის დაჩქარებას და

¹⁸³ ლილუაშვილი თ., *ხრუსტალი ვ.*, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის კომენტარები, გამომცემლობა „სამართალი“, თბილისი, 2007 წელი, 413.

¹⁸⁴ ლილუაშვილი თ., *ხრუსტალი ვ.*, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის კომენტარები, გამომცემლობა „სამართალი“, თბილისი, 2007 წელი, 414-415.

¹⁸⁵ Nunner-Krautgasser B., Anzenberger P., Evidence in civil law Austria, published 2015 by Institute for Local Self-Government and Public Procurement Maribor, 4.

¹⁸⁶ გაგუა ი., სადისერტაციო ნაშრომი, მტკიცების ტვირთი სამოქალაქო საპროცესო სამართალში, 2012 წელი, 100.

სასამართლოს განტვირთვას. დაუსწრებელი გადაწყვეტილების მიღების ერთ-ერთ პირობას წარმოადგენს, რომ მოპასუხემ ცნო სარჩელი, ამიტომ დაკარგა თავდაცვის ინტერესი. ამ შემთხვევაში, დაუსწრებელი გადაწყვეტილების მიღება ლოგიკური და გამართლებულია¹⁸⁷. თუმცა იმ მოპასუხის მიმართ, რომლის გამოუცხადებლობამაც სასამართლოს ვერ შეუქმნა ამგვარი რწმენა, დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანა გაუმართლებელია.

აღნიშნული წესი, არ უნდა იქნეს გამოყენებული საოჯახო-სამართლებრივი დავების განხილვის დროს შემდეგ გარემოებათა გამო: კანონმდებელი გვთავაზობს განსხვავებულ რეგულაციას, რაც იმაში მდგომარეობს, რომ საოჯახო საქმეების განხილვისას, სხვა სასარჩელო წარმოებისაგან განსხვავებით, მოსარჩელის გამოუცხადებლობა სასამართლოს მთავარ სხდომაზე არ იძლევა მის მიერ სარჩელზე უარის თქმის ვარაუდის საფუძველს.

ამას განაპირობებს ის გარემოებაც, რომ ამ წარმოებაში სასამართლომ თავად უნდა გამოითხოვოს მტკიცებულებები, რომლებზედაც მხარეებს არ მიუთითებიათ, მხარეთა გამოუცხადებლობა არ აბრკოლებს საკითხის გადაწყვეტას. სასამართლოს მიერ თავისი ინიციატივით მტკიცებულებათა გამოთხოვის გამო, მოპასუხის მთავარ სხდომაზე გამოუცხადებლობა არ წარმოადგენს სარჩელში მითითებული ფაქტობრივი გარემოებების აღიარებასა და სარჩელის ცნობის ვარაუდს. ამიტომ, სასამართლომ გამოუცხადებელი მხარის გარეშე, საქმეში არსებული მასალების საფუძველზე უნდა განიხილოს და გადაწყვიტოს საოჯახო საქმე. თუ საქმის მასალები არ იძლევა დასაბუთებული გადაწყვეტილების გამოტანის შესაძლებლობას, სასამართლომ უნდა გამოითხოვოს შესაბამისი მტკიცებულებები, გადადოს საქმის განხილვა სხვა დროისათვის და მოცემულ საოჯახო დავასთან დაკავშირებით ყველა მტკიცებულების მოპოვების შემდეგ არსებითად გადაწყვიტოს დავა, ჩვეულებრივი და არა დაუსწრებელი გადაწყვეტილებით¹⁸⁸. სასამართლომ, არა მარტო მხარეთა მიერ წარმოდგენილი მტკიცებულებებით, არამედ თავისი ინიციატივითაც მოპოვებული მტკიცებულებებით უნდა გადაწყვიტოს დავა¹⁸⁹. ამასთან, უნდა დადგინდეს,

¹⁸⁷ *Wolf C., Zeibig N.*, Evidence in civil law Germany, published 2015 by Institute for Local Self Government and Public Procurement Maribor, 46.

¹⁸⁸ *გაგუა ი.*, სადისერტაციო ნაშრომი, მტკიცების ტვირთი სამოქალაქო საპროცესო სამართალში, 2012 წელი, 100.

¹⁸⁹ *ბასილაია ფ.*, საოჯახო საქმეთა განხილვის თავისებურებანი და დაუსწრებელი გადაწყვეტილება, ჟურნ. „მართლმსაჯულება და კანონი“, საქართველოს მოსამართლეთა ასოციაცია, N4 (23), 2009, 26.

გარემოებები, რომლებიც ექვემდებარება დამტკიცებას მთლიან საქმეზე, შემდეგ კი ის ფაქტები, რომლებიც უნდა დამტკიცდეს კონკრეტული მხარის მიერ. მტკიცებას დაქვემდებარებული ფაქტები გამომდინარებს მატერიალური სამართლის ნორმის დისპოზიციიდან, რაც მიუთითებს ისეთ ფაქტობრივ გარემოებებზე, რომლებიც უნდა დადგინდეს უნდა დამტკიცდეს განსახილველი კატეგორიის საქმეზე¹⁹⁰. საოჯახო საქმეთა განხილვის თავისებურება იმაში მდგომარეობს, რომ „მოსამართლე განსაზღვრავს თუ რომელ გარემოებებს აქვთ საქმისათვის მნიშვნელობა. განუმარტავს მხარეებს, რომ თითოეულმა მხარემ უნდა დაამტკიცოს ის გარემოებები, რომლებზედაც ისინი ამყარებენ თავიანთ მოთხოვნებსა და შესაგებელს. ამ მიზნით, მოსამართლემ ასევე, უნდა განუმარტოს მხარეებს თუ რა მტკიცებულებებით შეუძლიათ მათ მიერ მითითებული გარემოებების დადასტურება“¹⁹¹.

დაუსწრებელ გადაწყვეტილებასთან¹⁹² დაკავშირებით, ერთ-ერთ საქმეში¹⁹³ აღნიშნულია, რომ მოპასუხის მხრიდან დადგენილ ვადაში, შესაგებლის წარმოდგენის პროცესუალური ვალდებულების შეუსრულებლობა, არ მიიჩნევა, მის წინააღმდეგ დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანის აუცილებელ განმაპირობებელ ფაქტორად; რამეთუ, სასამართლოში იხილებოდა არასრულწლოვანი ბავშვის რჩენა-აღზრდისათვის ალიმენტის დაკისრების (კონკრეტულ შემთხვევაში, გაზრდის) საკითხი, რა დროსაც, სახელმწიფოს ეკისრებოდა პოზიტიური ვალდებულება ბავშვის საუკეთესო ინტერესების დაცვის ასპექტში. სახელმწიფო აღნიშნული ვალდებულების წყაროს კი, წარმოადგენს „ბავშვის უფლებათა კონვენცია“, რომელიც ბავშვის უფლებების დაცვის იმ მინიმალურ სტანდარტებს აწესებს, რომლებიც საზოგადოების არასრულწლოვანი წევრის ღირსეულ პიროვნებად ჩამოყალიბებისა და ნორმალური განვითარების ამოცანას ემსახურება და ავალდებულებს წევრ სახელმწიფოებს, ყველა ღონე იხმარონ არასრულწლოვნის უპირატესი ინტერესების დაცვისათვის. კონვენციის მე-18 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, მონაწილე სახელმწიფოებმა უნდა უზრუნველყონ ბავშვის

¹⁹⁰გაგუა ი., სადისერტაციო ნაშრომი, მტკიცების ტვირთი სამოქალაქო საპროცესო სამართალში, 2012 წელი, 101.

¹⁹¹ ქურდაძე შ., სამოქალაქო საქმეთა განხილვა პირველი ინსტანციის სასამართლოში, მე-2 გამოცემა, თბილისი, 2006 წელი, 828.

¹⁹² Andrews N., The Three Paths of Justice, Published by Springer Science+Business Media B.V. 2012 y, 60.

¹⁹³ საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილება, საქმე Nას-675-631-2017, 16 ივნისი, 2017 წელი. გადაწყვეტილება ხელმისაწვდომია უზენაესი სასამართლოს ოფიციალურ ვებ-გვერდზე <<http://prg.supremecourt.ge/DetailViewCivil.aspx>> (05.06.2019).

აღზრდისა და განვითარებისათვის ორივე მშობლის საერთო და თანაბარი პასუხისმგებლობის პრინციპის აღიარება. ამგვარი ვალდებულება ვრცელდება სასამართლო განხილვაზეც. ამავე გადაწყვეტილებაში ასევე, აღნიშნულია, რომ სამოქალაქო სამართალწარმოებით განსახილველ სხვა კატეგორიის საქმეთაგან განსხვავებით, საოჯახო სამართლებრივი დავების განხილვა ინკვიზიციური კომპონენტებითაა გაჯერებული და საქართველოს საოჯახო დავების განხილვა შეჯიბრებითობის საერთო წესისგან განსხვავებულად მიმდინარეობს. დაუსწრებელი გადაწყვეტილება¹⁹⁴ კი წარმოადგენს ერთგვარ სანქციას გამოუცხადებელი ან შესაგებლის არ ან დაგვიანებით წარმდგენი მხარის წინააღმდეგ, ცხადია, მისი გამოტანის დასაშვებობის შემთხვევაში. ამიტომ, კანონმდებლის მიზანი, რომ შესაგებლის არწარმდგენი მხარე დაისაჯოს, საოჯახო კატეგორიის დავებში მეტად მყიდვია, რადგან ამ ტიპის სამართალწარმოებისას სასამართლოს პოზიტიურ ვალდებულებას წარმოადგენს მისი გულმოდგინე მცდელობა, რათა ზედმიწევნით სწორად დაადგინოს არასრულწლოვნის ჭეშმარიტი ინტერესები - რა მოთხოვნილებები აქვს მას, საჭიროებები და რა ფარგლებში შეიძლება დაკმაყოფილდეს ისინი. ამ საკითხების გადაწყვეტა კი დაუსწრებელი გადაწყვეტილების მიღებით, რა დროსაც, არ ხდება მტკიცებულებების შემოწმება, ეწინააღმდეგება ბავშვის უფლების უპირატესად გათვალისწინების პრინციპს.

ამასთან, შესაფასებელია, დაუსწრებელი გადაწყვეტილება¹⁹⁵ არ გამოიყენება ყველა ტიპის საოჯახო საქმეზე თუ კონკრეტულ საქმეებზე. დოქტრინაში აღნიშნულია ზოგადად, რომ დაუსწრებელი გადაწყვეტილება არ გამოიყენება საოჯახო საქმეების განხილვისას¹⁹⁶. ცხადია, ეს შეხედულება აბსტრაქტული ხასიათისაა¹⁹⁷, ხოლო სასამართლო პრაქტიკაში, ისეთ საოჯახო საქმეებზე არ გამოიყენება, სადაც ბავშვის ინტერესები ფიგურირებს. სასამართლოს ეს მიდგომა გასაზიარებელია, რადგან სსკ-ს 352-356-ე მუხლების სისტემურად ისეა დეკლარირებული, რომ ძირითადად, დაკავშირებულია ბავშვის უფლების გადაწყვეტის საკითხებთან¹⁹⁸. ასევე, მოგვეხსენება, რომ სასამართლო პრაქტიკა

¹⁹⁴ *Glannon J.*, Civil Procedure, Published by Wolters Kluwer Law & Business in New York, 2013 y. 50-52.

¹⁹⁵ *Gerlis S.*, County Court Procedure, published in Great Britain by Cavendish, 2001 y, 46.

¹⁹⁶ *ქურდაძე შ.*, სამოქალაქო საქმეთა განხილვა პირველი ინსტანციის სასამართლოში, მე-2 გამოცემა, თბილისი, 2006 წელი, 828.

¹⁹⁷ *გაგუა ი.*, სადისერტაციო ნაშრომი, მტკიცების ტვირთი სამოქალაქო საპროცესო სამართალში, 2012 წელი, 100-101.

¹⁹⁸ საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილება, საქმე Nსს-198-2019, 28 მაისი, 2019 წელი. გადაწყვეტილება ხელმისაწვდომია უზენაესი სასამართლოს ოფიციალურ ვებ-გვერდზე <<http://prg.supremecourt.ge/DetailViewCivil.aspx>> (05.06.2019).

უზრუნველყოფს ნორმის მოქმედებას დროში და ხშირად დოქტრინა და პრაქტიკა არ არის თავსებადი. შესაბამისად, დაუსწრებელი გადაწყვეტილება არ უნდა გამოიყენებოდეს ისეთ საოჯახო საქმეზე, სადაც უნდა შეფასდეს ბავშვის საუკეთესო ინტერესები და გადაწყდეს მისი უფლებრივი მდგომარეობა. ცხადია, ეს ნაკარნახევია ბავშვის უფლებებიდან, როგორც უმთავრესი დაცვის სამართლებრივი სიკეთე საოჯახო საქმეებზე.

დასკვნა

ყოველივე ზემოხსენებულიდან გამომდინარე, წინამდებარე ნაშრომით გათვალისწინებული საკვლევი საკითხი განხილულია დოქტრინალური და სათანადო პრაქტიკული მაგალითების საფუძველზე. ხაზგასმით უნდა ითქვას, რომ სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობაში ცალკეული სამართლებრივი ნორმები გაჯერებულია ინკვიზიციურობის ელემენტებით, რომლებიც მოქმედებს სამოქალაქო საქმეთა განხილვის დროს. ამასთან, კვლევამ აჩვენა, რომ საოჯახო სამართლებრივი ურთიერთობიდან წარმოშობილი დავები ინკვიზიციური ბუნებისაა. შესაბამისად, საოჯახო დავების განხილვისას სასამართლო ვალდებულია აქტიურად ჩაერთოს დარღვეული უფლებისა და ინტერესების სრულყოფილად და ეფექტურად დაცვაში. ძირითადად, სასამართლო პრაქტიკამ აჩვენა, რომ საოჯახო სამართლებრივ საქმეზე ინკვიზიცია გამოიყენება მაშინ, როცა საკითხი ეხება ბავშვის საუკეთესო ინტერესებს. თუმცა, სასამართლო თავს არიდებს გადაწყვეტილებებში, კონკრეტიზირებას, იმის შესახებ, თუ რა ტიპის საოჯახო საქმეზე უნდა გამოვიყენოთ ინკვიზიცია. შესაბამისად, სასამართლომ სსკ-ს 354.1 მუხლით განსაზღვრული დომინირებული მდგომარეობა უნდა გამოიყენოს ისეთ კატეგორიის საოჯახო დავაზე, სადაც ბავშვის ინტერესები ფიგურირებს, ხოლო სხვა საოჯახო საქმეებზე იგი არ გავრცელდება. ბავშვის საუკეთესო ინტერესებში მოქმედება ნაკარნახევია „ბავშვის უფლებების შესახებ“ კონვენციიდან, რომლის ანარეკლი მოცემულია, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 352-356-ე მუხლებში. აღნიშნული კი, წარმოადგენს პროცესუალურსამართლებრივ ინსტრუმენტს საოჯახო საქმეთა განხილვისას. ამდენად, საოჯახო დავებზე სასამართლო არ არის შეზღუდული შეჯიბრებითობის პრინციპით, მაშინაც კი, თუ მხარეები განსაზღვრულ

საკითხებთან მიმართებით არასწორ ან არამყარ სამართლებრივ პოზიციას ირჩევენ. კანონიერი და დასაბუთებული გადაწყვეტილების მიზნით სასამართლომ უნდა იმოქმედოს ინკვიზიციურობის პრინციპით - თავის ინიციატივით უტყუარად უნდა გამოარკვიოს და დაადგინოს ფაქტები, რაც უზრუნველყოფს ბავშვის დარღვეული უფლებებისა და ინტერესების სრულყოფილად და ეფექტურად დაცვას. შესაბამისად, ბავშვის ინტერესების სრულფასოვანი დაცვა და მისი რეალიზაცია, უმთავრესი ღირებულებაა საოჯახო საქმეთა განხილვის დროს. ბავშვთან დაკავშირებით გადაწყვეტილების მიღებისას ნებისმიერი ორგანო ვალდებულია, ბავშვის ჭეშმარიტი ინტერესებიდან გამომდინარე იმოქმედოს და პრიორიტეტი ბავშვის პიროვნების სრულ და ჰარმონიულ განვითარებას მიანიჭოს, რაზედაც არსებით გავლენას ახდენს, სწორედ, ოჯახური გარემოს შექმნა. იმ შემთხვევაშიც კი, როდესაც კანონი ითვალისწინებს გარკვეული მოქმედების განხორციელებას კომპეტენტური ორგანოების მიერ, უპირველესად, უნდა გაირკვეს, ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში შეესაბამება თუ არა ეს მოქმედება ბავშვის ინტერესებს. ბავშვის საუკეთესო ინტერესების მახასიათებლები არ არის განსაზღვრული დოქტრინალურ და ნორმატიულ დონეზე. უმჯობესი იქნება თუკი ამ კუთხით, გადაიდგემა შესაბამისი ნაბიჯები. ჩემი ღრმა რწმენით, საუკეთესო ინტერესების განმსაზღვრელი ფაქტორები უმეტესწილად დამოკიდებულია კულტურაზე, რელიგიაზე, ტრადიციებზე და მისი ძირითადი დებულებები გამომდინარეობს „ბავშვის უფლებების შესახებ“ კონვენციიდან.

კვლევა ახდენს, რომ დაუსწრებელი გადაწყვეტილება არ გამოიყენება ისეთ საოჯახო საქმეებზე, სადაც ბავშვის ინტერესები ფიგურირებს, წინააღმდეგ შემთხვევაში უგულებელყოფილი იქნებოდა ბავშვის უფლებების უპირატესობა. ცხადია, ეს გამომდინარეობს ბავშვის უფლებებიდან, როგორც ყველაზე მნიშვნელოვანი დაცვის სამართლებრივი სიკეთე. მსჯელობის შედეგად დადგინდა, რომ სასამართლოს საოჯახო საქმეებზე აქვს შეუზღუდავი ფარგლები. შესაბამისად, ეს შეუზღუდავი ფარგლები არ უნდა იყოს თვითმიზანი, არამედ განსაზღვრული მიზნის მიღწევის საშუალება, კერძოდ, ბავშვის საუკეთესო ინტერესებში მოქმედება.

ბიბლიოგრაფია

სამეცნიერო ლიტერატურა

ავტორთა კოლექტივი, საქართველოს კონსტიტუციის კომენტარები, გამომცემლობა შპს „პეტიტი“, თბილისი, 2013 წელი.

ავტორთა კოლექტივი, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი პირველი, გამომცემლობა „სამართალი“, თბილისი, 1999 წელი.

ახლაძე მ., საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის პრაქტიკის ანალიზი, გამომცემლობა „საქართველოს უზენაესი სასამართლოს ეროვნული სასამართლო პრაქტიკის შესწავლისა და განზოგადების განყოფილება“, თბილისი, 2018 წელი.

ბავშვის უფლებების კომიტეტის ზოგადი კომენტარი, „ბავშვის უფლებების შესახებ“ კონვენციის მუხლი 12-ის შესაბამის ნაწილებში, გამოქვეყნებულია CRC/C/GC/12, 20 ივლისი, 2009 წელი.

ბასილაია ფ., საოჯახო საქმეთა განხილვის თავისებურებანი და დაუსწრებელი გადაწყვეტილება, ჟურნ. „მართლმსაჯულება და კანონი“, საქართველოს მოსამართლეთა ასოციაცია, N4 (23), 2009.

გაგუა ი., სადისერტაციო ნაშრომი, მტკიცების ტვირთი სამოქალაქო საპროცესო სამართალში, 2012 წელი.

ზოიძე ბ., ძველი ქართული ქართული მემკვიდრეობითი სამართალი, თბილისი, 2000 წელი.

თოდუა მ., ქურდაძე შ., ცალკეული კატეგორიის საქმეებზე გადაწყვეტილების მიღების მეთოდოლოგია, თბილისი, 2005 წელი.

კობახიძე ა., სამოქალაქო საპროცესო სამართალი, თბილისი, 2003 წელი.

ლილუაშვილი თ., სამოქალაქო საპროცესო სამართალი, II გამოცემა, თბილისი, 2005 წელი.

ლილუაშვილი თ., სამოქალაქო საპროცესო სამართლის საკითხები საქართველოს სსრ სასამართლოების პრაქტიკაში. კრებული საბჭოთა სამოქალაქო სამართლისა და პროცესის აქტუალური საკითხები, გამომცემლობა „მეცნიერება“, თბილისი, 1977 წელი.

ლორია ვ., საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო სამართალი, გამომცემლობა „მერიდიანი“, თბილისი, 2002 წელი.

მერებაშვილი ი., სასამართლოში სამოქალაქო საქმეთა განხილვისას, მხარეთა შეჯიბრებითობისა და მოსამართლეთა აქტიურობის პრინციპების მოქმედება. ჟურნალი „მართლმსაჯულება და კანონი“, საქართველოს მოსამართლეთა ასოციაცია, 2009 წელი, N4 (23).

საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებანი სამოქალაქო, სამეწარმეო და სხვა კატეგორიის დავებზე, 2009 წელი, N9.

ქირია გ., რეკეტული ქონების ან ქურდული სამყაროს წევრის ქონების ჩამორთმევისა და სახელმწიფოსათვის გადაცემასთან დაკავშირებული წარმოების კომენტარი საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მიხედვით, გრიგოლ რობაქიძის სახელმწიფო უნივერსიტეტი, 2006 წელი, 26.

ქურდაძე შ., ხუნაშვილი ნ., საქართველოს სამოქალაქო საპროცესო სამართალი, გამომცემლობა „მერიდიანი“, თბილისი, 2015 წელი.

ქურდაძე შ., სამოქალაქო საქმეთა განხილვა პირველი ინსტანციის სასამართლოში, II გამოცემა, თბილისი, 2006 წელი.

შენგელია რ., ჭანტურია ლ., ახვლედიანი ზ., საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარები, წიგნი მეხუთე, საოჯახო და მემკვიდრეობითი სამართალი, გამომცემლობა „სამართალი“, თბილისი, 2000 წელი.

შენგელია რ., შენგელია ე., საოჯახო და მემკვიდრეობის სამართალი, გამომცემლობა „მერიდიანი“, თბილისი, 2017 წელი.

ცერცვაძე გ., მედიაცია დავის გადაწყვეტის ალტერნატიული ფორმა (ზოგადი მიმოხილვა), თბილისი, 2010 წელი.

ჭანტურია ლ., სამოქალაქო სამართლის ზოგადი ნაწილი, გამომცემლობა „სამართალი“, თბილისი, 2011 წელი.

ხრუსტალი ვ., ლილუაშვილი თ., ძლიერიშვილი ზ., ლილუაშვილი გ., სამოქალაქო საპროცესო სამართალი, I ნაწილი, გამომცემლობა „სამართალი“, თბილისი, 2014 წელი.

ხრუსტალი ვ., ლილუაშვილი თ., საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის კომენტარები, გამომცემლობა „სამართალი“, თბილისი, 2007 წელი.

Andrews N., The Three Paths of Justice, Published by Springer Science+Business Media B.V. 2012 y.

Andrews N., English Civil Procedure, 2006 y.

Apodaca C., Child Hunger and Human Rights, First published 2010 by Routledge 2 Park Square, Milton Park, Abingdon, Oxon OX14 4RN Simultaneously published in the USA and Canada.

Consideration of Reports Submitted by States Parties Under Article 44 of the Convention, Committee on the Rights of the Child (11 November 1999), CRC/C/65/Add. 9.

Eemeren F., Krabbe E., Jacobs S., Woods J., ARGUMENTATIVE INDICATORS IN DISCOURSE, Published by Springer, P.O. Box 17, 3300 AA Dordrecht, The Netherland, 2007 y.

Falch-Eriksen A., Backe-Hansen E., Human Rights in Child Protection, Norway 2018 y.

Freeman M., A Commentary on the United Nations Convention on the Rights of the Child, the best interes of child, Published by Martinus Nijhoff, Boston, 2007 y.

Glannon J., Civil Procedure, Published by Wolters Kluwer Law & Business in New York, 2013 y.

Goldstein J., Freud A., Solnit A., the Best Interests of the Child, Published by Free Press, New York, 1979 y.

Guggenheim M., What'sWrong with Children's Rights, Published by HARVARD UNIVERSITY PRESS, 2005 y.

Gerlis S., County Court Procedure, published in Great Britain by Cavendish, 2001 y.

Machnikowska A., Stawarska-rippel A., THE PRINCIPLES OF CIVIL PROCEDURE IN POLAND IN THE TWENTIETH CENTURY. DOCTRINE, DRAFTS AND LAW IN A COMPARATIVE PERSPECTIVE, 2016 y.

Maleshin D., THE RUSSIAN STYLE OF CIVIL PROCEDURE, Published by Emory International Law Review, 2007.

Michael B., PRINCIPLES OF LAW, Published by D. Reidel Publishing Company, P.O. Box 17,3300 AA Dordrecht, Holland, 1987 y.

Nunner-Krautgasser B., Anzenberger P., Evidence in civil law Austria, published 2015 by Institute for Local Self-Government and Public Procurement Maribor.

Parkinson P., Family Law and the Indissolubility of Parenthood, Published by cambridge university press, 2011 y.

Quintero S., CHILD WELFARE ISSUES AND PERSPECTIVES, Published by Nova Science Publishers, Inc. New York, 2009 y.

Swennen F., Contractualisation of Family Law Global Perspectives, Published by AG Switzerland is part of Springer Science+Business Media (www. springer.com), Belgium 2015 y.

See General Notice 37 GG 33946 of 21 January 2011. The 2010 MMB is available at www.justice.gov.za/legislation/bills/2010_muslim-marriages-bill.pdf.

Wolf C., Zeibig N., Evidence in civil law Germany, published 2015 by Institute for Local Self-Government and Public Procurement Maribor.

Yassari N., Möller L., Gallala-Arndt I., Parental Care and the Best Interests of the Child in Muslim Countries, Published by t.m.c. assen press, The Hague, The Netherlands www.assenpress.nl, 2017 y.

А. Г. Давтян, Гражданское процессуальное право Германии, М., 2000.

А.К. Романов, Правовая система Англии, М., 2002.

Гражданское процессуальное право Германии, М., 2000.

Жюлио Л. де ла Морандьер Гражданское право Франции, Т. 1, Перевод с французского, М., 1958.

О.Н. Здрок, Грожданский процесс зарубежных стран, М., 2005.

Хрестоматия по гражданскому процессу Под М.К Треушникова.

სასამართლოს გადაწყვეტილებები

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის გადაწყვეტილება, საქმე №2ბ/5993-15, 27 მაისი, 2016 წელი.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის განჩინება, საქმე N2ბ/3459-16, 13 ივლისი, 2016 წელი.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის განჩინება, საქმე 2ბ/4372-16, 25 ნოემბერი, 2016 წელი.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილება, საქმე Nას-1213-1064-2010, 14 მარტი, 2011 წელი.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილება, საქმე Nას-440-417-2012, 3 მაისი, 2012 წელი.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილება, საქმე Nას-1062-996-2012, 22 იანვარი, 2013 წელი.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილება, საქმე Nას-750-704-2012, 22 ივნისი, 2012 წელი.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილება, საქმე Nას-1239-1184-2013, 28 აპრილი, 2014 წელი.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილება, საქმე Nას-1117-1051-2015, 20 იანვარი, 2016 წელი.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილება, საქმე Nას-967-916-2015, 25 თებერვალი, 2016 წელი.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილება, საქმე Nას-476-450-2014, 9 ოქტომბერი, 2015 წელი.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილება, საქმე Nას-53-51-2016, 6 ივლისი, 2016 წელი.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილება, საქმე Nას-458-440-2016, 15 ივლისი, 2016 წელი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილება, საქმე Nას-749-717-2016, 12 ოქტომბერი, 2016 წელი.

საქართველოს უზენესი სასამართლოს გადაწყვეტილება Nას-1003-964-2016, 25 იანვარი, 2017 წელი.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს განჩინება, საქმე Nას-605-579-2016, 17 თებერვალი, 2017 წელი.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს დიდი პალატის გადაწყვეტილება, საქმე Nას-664-635-2016, 2 მარტი, 2017 წელი.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილება, საქმე Nას-929-894-2016, 12 ივნისი, 2017 წელი.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილება, საქმე Nას-675-631-2017, 16 ივნისი, 2017 წელი.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილება, საქმე Nას-22-20-2017, 7 ივლისი, 2017 წელი.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილება, საქმე Nას-1139-1095 2016, 25 სექტემბერი, 2017 წელი.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილება, საქმე Nას-749-701-2017, 29 სექტემბერი, 2017 წელი.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილება, საქმე Nას-604-563-2017, 13 ოქტომბერი, 2017 წელი.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილება, საქმე Nას-85-81-2017, 27 ოქტომბერი, 2017 წელი.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილება, საქმე Nას-1011-931-2017, 16 იანვარი, 2018 წელი.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილება, საქმე Nას-1285-1205-2017, 30 იანვარი, 2018 წელი.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილება, საქმე Nას-1210-1130-2017, 7 მარტი, 2018 წელი.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილება, საქმე Nას-1011-931-2017, 16 იანვარი, 2018 წელი.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილება, საქმე Nას-552-552-2018, 4 ივლისი, 2018 წელი.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილება Nას-1027-2018, 21 სექტემბერი, 2018 წელი.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილება, საქმე Nას-1231-2018, 30 ნოემბერი, 2018 წელი.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილება, საქმე Nას-1273-2018, 14 დეკემბერი, 2018 წელი.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილება, საქმე Nას-1283-2018, 12 მარტი, 2019 წელი.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილება, საქმე Nას-1322-2018, 4 აპრილი, 2019 წელი.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილება, საქმე Nას-96-2019, 8 მაისი, 2019 წელი.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილება, საქმე Nას-198-2019, 28 მაისი, 2019 წელი.

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილება, საქმე S.D., D.P. და A.T. გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ, No. 23715/94, 20 მაისი, 1996 წელი.

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილება, საქმე ოლსონი შვედეთის წინააღმდეგ (No.1), § 59, სერიები A No.130, 24 მარტი, 1988 წელი;

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილება, ილჰანი თურქეთის წინააღმდეგ [GC], No.22277/93, §§ 49-55, ECHR 2000-VII.

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილება, Y.F. თურქეთის წინააღმდეგ, No.24209/94, § 31, ECHR 2003-IX.

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილება, საქმე კარნერი ავსტრიის წინააღმდეგ, No.40016/98, §§ 24-28, ECHR 2003-IX.

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილება, საქმე მონორი რუმინეთისა და უნგრეთის წინააღმდეგ, No. 71099/01, § 70, 5 აპრილი, 2005 წელი.

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილება, საქმე გიუსტო, ბორნაჩინი და ვ. იტალიის წინააღმდეგ, No.38972/06, 15 მაისი, 2007 წელი.

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილება, საქმე მიკალეფი მალტას წინააღმდეგ, No. 17056/06, §§ 44-51, 15 იანვარი, 2008 წელი.

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილება, საქმე No.1638/03 MASLOV v. AUSTRIA, 23 ივნისი, 2008 წელი.

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილება, საქმე ა.კ. და ლ. ხორვატიის წინააღმდეგ, No. 37956/11, § 47, 8 იანვარი, 2013 წელი.

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილება, საქმე ნ.წ. და სხვები საქართველოს წინააღმდეგ, 2 თებერვალი, 2016 წელი, 17.

ნორმატიული აქტები

საქართველოს სამოქალაქო კოდექსი, პარლამენტის უწყებანი, 31, 24/07/1997

<https://matsne.gov.ge/document/view/31702>

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი, პარლამენტის უწყებანი, 47-48, 31/12/1997

<https://matsne.gov.ge/document/view/29962>

საქართველოს კონსტიტუცია, საქართველოს პარლამენტის უწყებები, 31-33, 24/08/1995

<https://matsne.gov.ge/ka/document/view/30346>

გერმანიის სამოქალაქო საპროცესო კოდექსი

https://www.gesetze-im-internet.de/englisch_zpo/englisch_zpo.html

საფრანგეთის სამოქალაქო საპროცესო კოდექსი

<https://www.jus.uio.no/lm/france.arbitration.code.of.civil.procedure.1981/1502.html>

რუსეთის სამოქალაქო საპროცესო კოდექსი

<https://www.wipo.int/edocs/lexdocs/laws/en/ru/ru081en.pdf>

ავსტრიის სამოქალაქო საპროცესო კოდექსი

<https://www.jus.uio.no/lm/austria.code.of.civil.procedure.fourth.chapter.as.modified.1983/doc.html>

ინტერნეტ-წყაროები

<https://ka.wikipedia.org/wiki/8>

<https://www.jus.uio.no/lm/austria.code.of.civil.procedure.fourth.chapter.as.modified.1983/doc.html>

<https://www.jus.uio.no/lm/france.arbitration.code.of.civil.procedure.1981/1502.html>

<https://www.wipo.int/edocs/lexdocs/laws/en/ru/ru081en.pdf>